

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო
სამართლის ინსტიტუტი**

მარინა მესხი

**„აღამიანთ გაჭრების (ტრეფიკინგის) სამართლებრივი
ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები,
გამოცდილება და პრესპექტივათა ხედვა“**

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

**სამართლის დოქტორი, პრფესორი ქეთევან
ხუციშვილი**

**სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპყრობლად**



**უნივერსიტეტის
გამომცემლობა**

თბილისი

2014 წელი

თემის სტრუქტურა:

1. შესავალი 5-11
2. თავი პირველი: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მასშტაბები და წარმოშობის მიზეზები 12-16
3. თავი მეორე: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რეგულირება საერთაშორისო სამართალში 17-52
 - 2.1. საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები მონობის წინააღმდეგ 17-23
 - 2.2. საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები იძულებითი და სავალდებულო შრომის შესახებ 23-26
 - 2.3. საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ 26-43
 - 2.4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კანონმდებლობის ანალიზი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე 43-52
 - 2.4.1. დანიშნულების (მიმღები) ქვეყნები
 - 2.4.2. წარმოშობის ქვეყნები
 - 2.4.3. სატრანზიტო ქვეყნები
4. თავი მესამე: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სტადიები, ადგილი სისხლის სამართლის სისტემაში 53-61
 - 3.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სტადიები 54-57
 - 3.1.1. გადაბირება, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პირველი სტადია
 - 3.1.2. გადაყვანა, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სტადია
 - 3.1.3. ექსპლუატაცია – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სტადია

3.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმები 57-62

3.2.1. სექსუალური და შრომითი ექსპლუატაცია, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმა

3.2.2. არასრულწლოვნის ექსპლუატაცია, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმა

3.2.3. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით

5. თავი მეოთხე: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიზანი, ხერხი და საშუალებები საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით 62-94

4.1. ექსპლუატაცია, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიზანი პალერმოს ოქმის მიხედვით 62-64

4.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ქმედებები და საშუალებები პალერმოს ოქმის მიხედვით 64-67

4.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რეგულირება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით 67-82

4.3.1. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლი

4.3.2. არასრულწლოვნით ვაჭრობა და სისხლის სამართლის კოდექსის 143² მუხლის თავისებურებანი

4.3.3. დამამძიმებელი გარემოებები 143¹ და 143² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის

4.4. 143¹ და 143² მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამიჯვნა მსგავს სამართალდარღვევათაგან 82-90

4.5. საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობების ანალოგიები და განსხვავებანი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიზანთან, ქმედებასთან და საშუალებებთან მიმართებით 90-94

6. თავი მეხუთე: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეების გამოძიება და შესაბამისი მეთოდები 94-106

- 5.1. სამართალდამცავი ორგანოების სტრატეგია და გამოძიების მეთოდები 95-99
- 5.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მტკიცებულებები 99-102
- 5.3. ადამიანით მოვაჭრე და მისი დასჯისათვის აუცილებელი ღონისძიებები 102-106

6. თავი მეექვსე: მსხვერპლთა დაცვა და რეფერირების სისტემა

107-124

- 6.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის იდენტიფიცირება 109-114
- 6.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და დახმარება 114-121
- 6.3. მსხვერპლთა უსაფრთხო და ნებაყოფლობითი რეპატრიაცია და დაბრუნება 121 - 124

8. დასკვნა 124-127

9. ბიბლიოგრაფია 128-136

შესავალი

ადამიანის მონურ მდგომარეობაში ჩაყენება და მისი თავისუფლების უარყოფა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ძირითადი უფლების – იყოს თავისუფალი – დარღვევაა. „მონობის თანამედროვე ფორმად“ წოდებული ეს დანაშაული ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ აღიარებული, საერთაშორისო ინსტრუმენტებით განმტკიცებული ყველა სხვა უფლებისა და თავისუფლების უზღუდელყოფის საფუძველიც არის.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სიმძიმე, პატივისა და ღირსების შელახვა, ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის მოშლა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა და თავისუფლებათა უხეშ დარღვევად აქცევს.¹ ნაშრომის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ადამიანის უფლებათა დარღვევის ტრილში განხილვა, მსოფლიოში არსებული საერთაშორისო და ეროვნული ინსტრუმენტების ანალიზის საფუძველზე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებული და ჩრდილოვანი მხარეების გამოკვეთა და შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოდელისა და მექანიზმების სრულყოფის მიზნით.

ნაშრომის პირველი თავი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრობლემას, მის გამომწვევ მიზეზებსა და ფაქტორებს ეთმობა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გავრცელების მასშტაბების ანალიზის პარალელურად. ეკონომიკური მიზეზების განხილვისას საუბარია იაფი მუშახელის მოთხოვნაზე, როგორც გლობალიზაციისათვის დამახასიათებელ ფაქტორზე, რომელიც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საერთაშორისო შრომით მიგრაციაზე და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია. სოციალური მიზეზების ანალიზისას, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ძირითადად ნაკლებადანაზღაურებად სამუშაოზე ან სამუშაო პირობების არარსებობაზე, რასაც ხშირ შემთხვევაში თან ერთვის განათლების დაბალი დონე. ეს უკანასკნელი კი კიდევ უფრო ართულებს მატერიალური კეთილდღეობის მოპოვების შესაძლებლობას და ზრდის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად გახდომის რისკს. რაც შეეხება პოლიტიკურ მიზეზებს, მათი ანალიზის საფუძველზე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) არნახული მასშტაბით გავრცელებას ხელს უწყობს სახელმწიფოთა მიერ

¹ *ib.*: Hua, J. (2011) *Trafficking Women's Human Rights*, University of Minnesota press, გვ. 10-11.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიმართ არასათანადო ყურადღება და სახელმწიფოს მიერ არასაკმარისი ფინანსური მხარდაჭერა. ნაშრომზე მუშაობისას ჩატარებული კვლევის შედეგად, ტექნოლოგიების გამოყენების ანალიზი კი კიდევ უფრო ცხადყოფს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ზრდაში ტექნოლოგიური საშუალებების როლს. ნაშრომში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევი მიზეზებისა და ფაქტორების სხვადასხვა რაკურსით განხილვა და გაანალიზება, შესაძლებლობას გვაძლევს მკაფიო რეკომენდაციები ჩამოვაყალიბოთ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიმართ გასატარებელი ზომების შესახებ.

წინამდებარე ნაშრომის მეორე თავი ეთმობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო ხელშეკრულებების შემუშავების კონტექსტურ ანალიზს. მიუხედავად იმისა რომ ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მონობის თანამედროვე ფორმად არის აღიარებული, ამ სფეროში მიღებულ პირველ სპეციალურ საერთაშორისო დოკუმენტად მხოლოდ 2000 წლის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენცია² და მისი მეორე დამატებითი ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ³ ითვლება. მოგვიანებით, ევროპის საბჭოს ფარგლებში შემუშავებული იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ ევროპული კონვენცია⁴, რომელიც ძალაში შევიდა 2008 წელს. აღნიშნული კონვენციის მიღებამდე, ევროპის სამართლებრივ სივრცეში ადამიანების იძულებითი შრომისგან დაცვა გათვალისწინებული იყო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის⁵ მე-4 მუხლით და სწორედ ამ მუხლზე დაყრდნობით იქნა გამოტანილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ცნობილი გადაწყვეტილება 2005 წელს *სილიადინი საფრანკეთის წინააღმდეგ*⁶.

წინამდებარე ნაშრომის მეორე თავი ასევე ეთმობა იმ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ანალიზს, რომლებიც

² იხ.: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ
http://www.childtrafficking.org/eng/conventions_end_guidelenes/ctoc_palermo_protocol.pdf

³ იხ.: ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ დამატებითი ოქმი. მე-3 მუხლი.
http://www.childtrafficking.org/eng/conventions_end_guidelenes/ctoc_palermo_protocol.pdf

⁴ იხ.: ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ (ევროპის საბჭოს ხელშეკრულებების სერია, (CETS No.197)
www.coe.int/trafficking

⁵ იხ.: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია,
<http://www.conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=005&CM=8&DF=24/05/2014&CL=ENG>

⁶ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *სილიადინი საფრანკეთის წინააღმდეგ (Silidan v. France)* (26.10.2005) *European Court of Human Rights*, N. 77316/01.

ა) მონობის, ბ) იძულებითი შრომისა და გ) ადამიანით ვაჭრობის აკრძალვას ეხება. ნაშრომის მეორე თავში განხილული ყველა ამ საერთაშორისო სამართლებრივი აქტის გაანალიზება შესაძლებლობას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციის ეტაპობრივი განვითარება გასული საუკუნის მანძილზე, როცა ჩამოყალიბდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხთან დაკავშირებით სპეციალური კონვენციები, რომელთა შემუშავებამ გამოიწვია სახელმწიფოთა მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობისა და ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ეროვნული მექანიზმების შექმნა. მონობის წინააღმდეგ საერთაშორისო დოკუმენტების შესახებ ქვეთავში განხილულია შემდეგი დოკუმენტები: „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“ 1904 წლის ხელშეკრულება⁷ და 1910 წლის კონვენცია „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“⁸, 1921 წლის საერთაშორისო კონვენცია „ქალებით და ბავშვებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“⁹, 1926 წლის მონობის შესახებ კონვენცია¹⁰, ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდება, რომელიც მიღებულია 1993 წელს და რომელშიც მოცემულია ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებების განმარტება, რომელიც ასევე მოიცავს დამონებასაც, თუმცა აღნიშნულია რომ დამონების განმარტებას ტრიბუნალი არ ახდენს და ამ ნაწილში საერთაშორისო სამართლის კომისიის განმარტებას ეყრდნობა¹¹. ამავე ქვეთავში, მონობასთან მიმართებაში ასევე განვიხილავთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებას (რომის სტატუტი)¹², მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვის შესახებ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას (შემდგომში *ევროპული კონვენცია*)¹³. იძულებითი და სავალდებულო შრომის შესახებ საერთაშორისო დოკუმენტების ქვეთავში განხილულია შემდეგი დოკუმენტები: კონვენცია იძულებითი შრომის აკრძალვის შესახებ¹⁴, 1959 წლის კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ (N105), რომელიც საინტერესოა იმ მიმართებით, რომ არ შეუცვლია იძულებითი შრომის განმარტება. ქვეთავში განხილულია ასევე კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვის და

⁷ იხ.: თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულება, 18.05.1904, <http://www1.umn.edu/humanrights/instreet/whiteslavetraffic1904.html>

⁸ იხ.: თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის კონვენცია, 4.05.1910, <http://www1.umn.edu/humanrights/instreet/whiteslavetraffic1910.html>

⁹ იხ.: ქალებით და ბავშვებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საერთაშორისო კონვენცია, 30.09.1921, <http://www.paclii.org/pits/en/treatydatabase/1921/2.html>

¹⁰ იხ.: საერთაშორისო კონვენცია მონობის შესახებ, 25.09.1926, 1 მუხლი. <http://www.ohchr.org/english/law/slavery.html>

¹¹ იხ.: Draft Code of Crimes against the Peace and Security of Making with commentaries, UNDocA/51/10 at 48.

¹² იხ.: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება http://www.icc-cpr.int/library/about/officialjournal/Rome_Statute_English.pdf

¹³ იხ.: სქოლიო 5.

¹⁴ იხ.: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია იძულებითი შრომის აკრძალვის შესახებ №29, მე-2(1) მუხლი. <http://www.umn.edu/humanrights/instreet/ilo29.html>

დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ (N182)¹⁵, რომელმაც განმარტა ბავშვთა შრომის უკიდურესად მძიმე ფორმები, ხოლო მოგვიანებით, რამდენიმე ელემენტი არასრულწლოვნით ვაჭრობის დეფინიციის ჩამოყალიბებისას იქნა გამოყენებული. ქვეთავი ეხება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის მოსაზრებას იძულებითი შრომის შემადგენელი ნაწილების თაობაზე.

აღნიშნული ორი ქვეთავით განხილული საერთაშორისო დოკუმენტების ანალიზის შემდეგ, მომდევნო ქვეთავი უკვე უშუალოდ ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებს ეხება, როგორცაა: საერთაშორისო კონვენცია „სრულწლოვან ქალთა ვაჭრობის წინააღმდეგ“¹⁶, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1949 წლის კონვენცია ადამიანით ვაჭრობის და მესამე პირის მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციასთან ბრძოლის შესახებ. აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტები მხოლოდ ქალთა ტრეფიკინგის საკითხებს ეხება, ადამიანებით ტრეფიკინგის თანამედროვე გაგება დამკვიდრდა მოგვიანებით მიღებული დოკუმენტებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ კონვენციითა¹⁷ და დამატებითი ოქმით „ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“¹⁸, ასევე, კიდევ ერთი საერთაშორისო დოკუმენტი, ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ (შემდგომში „ევროპის საბჭოს კონვენცია“) მიღებული იქნა 2005 წელს.¹⁹

ფაქტობრივად, ამ დოკუმენტების შექმნამ ჩაუყარა საფუძველი სახელმწიფოთა მიერ კანონმდებლობის შექმნას და პრაქტიკის დამკვიდრებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ, ამიტომ ნაშრომის აღნიშნულ ქვეთავში ეს დოკუმენტები დეტალურადაა განხილული. ამავე დროს, ქვეთავი ეხება ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის შესახებ ევროკავშირის პარლამენტის საბჭოს დირექტივას²⁰. ამ და ზემოაღნიშნული სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების განხილვა ნაშრომში მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ ამ საერთაშორისო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები სახელმწიფოს მიერ თავისი ვალდებულებების – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის და დანაშაულის წინააღმდეგ გამოსაყენებელი ზომების თაობაზე.

¹⁵ იხ.: კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ; მე-3 (ა,ბ) მუხლი http://www.childtrafficking.org/eng/conventions_end_guidelienes/ctoc_palermo_protocol.pdf

¹⁶ იხ.: საერთაშორისო კონვენცია სრულწლოვან ქალთა ვაჭრობის წინააღმდეგ, 11.10.1933, <http://www.oas.org/Juridico/MLA/entreaties-inter-woman/1933.pdf>

¹⁷ იხ.: სქოლიო 2.

¹⁸ იხ.: იქვე.

¹⁹ იხ.: სქოლიო 4.

²⁰ იხ.: ევროკავშირის პარლამენტის და საბჭოს დირექტივა ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ, ABI.L 101, 15.04.2011. ამ დირექტივამ ჩაანაცვლა მანამდე მოქმედი ჩარჩო გადაწყვეტილება (ABI. L 203, 1.08.2002, 1).

მეორე თავში ასევე მოცემულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კანონმდებლობის ანალიზი სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე და მსჯელობა ჩამოყალიბებულია სახელმწიფოთა დანიშნულების (მიმღებ), წარმოშობისა და სატრანზიტო ქვეყნებად დაყოფის საფუძველზე. დანიშნულების (მიმღები) ქვეყნების კანონმდებლობათაგან მოკლედ არის გაანალიზებული ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, ავსტრიის, ჰოლანდიის, იტალიის, შვედეთის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ისრაელის, დანიის, პორტუგალიის, თურქეთის კანონმდებლობა. წარმოშობის ქვეყნების ნაწილში გაანალიზებულია რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, მოლდოვის კანონმდებლობა, თუმცა პოსტსაბჭოთა ქვეყნების გარდა მსჯელობა მოკლედ ეხება ავსტრალიის კანონმდებლობასაც. რაც შეეხება სატრანზიტო ქვეყნებს, მოკლედაა განხილული ბულგარეთის, პოლონეთის და ჩეხეთის კანონმდებლობები. აღნიშნული თავი ნაშრომისათვის მნიშვნელოვანია იმ კუთხით რომ განხილულ კანონმდებლობათა წარმატებული და ჩრდილოვანი მხარეების ანალიზის საფუძველზე ნაშრომში შემუშავებულია რეკომენდაციები საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით.

წინამდებარე ნაშრომის მესამე თავი ეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სტადიებს და ადგილს სისხლის სამართლის სისტემაში. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პროცესისათვის დამახასიათებელია შემდეგი სტადიები: გადაბირება, გადაყვანა და ექსპლუატაცია. შესაბამისად, აღნიშნულ თავში განხილულია გადაბირება, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პირველი სტადია; გადაყვანა, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სტადია, რომელიც მოსდევს გადაბირების სტადიას და შემდეგი, უმნიშვნელოვანესი სტადია – ექსპლუატაცია.

მესამე თავი ასევე ეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემდეგ ფორმებს: სექსუალური და შრომითი ექსპლუატაცია, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმები; არასრულწლოვნის ექსპლუატაცია, როგორც ტრეფიკინგის ფორმა; ადამიანით ვაჭრობა ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით, როგორც ტრეფიკინგის ფორმა. აღნიშნული თავის მნიშვნელობა ნაშრომისათვის განპირობებულია იმით, რომ მესამე თავში განხილულ საკითხებში გაანალიზებულია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საერთაშორისოდ აღიარებულ სტადიებსა და ფორმებთან მიმართებით.

ნაშრომის მეოთხე თავი ეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიზანს, ხერხსა და საშუალებებს საერთაშორისო და ქართული კანონმდებლობის მიხედვით. აღნიშნულ თავში დეტალურადაა განხილული ექსპლუატაცია, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიზანი, ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ქმედებები და საშუალებები პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მიხედვით. მეოთხე თავში ასევე დეტალურადაა განხილული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რეგულირება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ და 143² მუხლები, რომელთაც მოხდა ადამიანით

ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაცია. ამ თავში ასევე დეტალურად განიხილება არასრულწლოვნით ვაჭრობის თავისებურებანი და განვითარებულია მსჯელობა, რომელიც ეყრდნობა პოზიციას, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვნით ვაჭრობის თავისებურებებიდან გამომდინარე, აუცილებელი არაა არასრულწლოვნის მიმართ ზემოქმედების რომელიმე საშუალების გამოყენება. თავი ასევე ეხება დამამძიმებელ გარემოებებს ამ აღნიშნული მუხლებისათვის. მეოთხე თავი დეტალურად განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ და 143² მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამიჯვნა მსგავს სამართალდაღვევათაგან, რაც ზოგ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობისას პრობლემატურია. გარდა ამისა, ამ თავში განხილულია საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობების ანალოგიები და განსხვავებანი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიზანთან, ქმედებასთან და საშუალებებთან მიმართებაში, რომელთა შეპირისპირების საფუძველზე ჩამოყალიბებულია ის ზომები, რაც უნდა გატარდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიმართ სახელმწიფოს მიერ სამომავლო პოლიტიკის დაგეგმვისას.

მეხუთე თავი ეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეების გამოძიებასა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენებულ მეთოდებს ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული საქმეების გამოძიების პროცესში. სამართალდამცავი ორგანოების სტრატეგიის ნაწილში განხილულია გამოძიების პროაქტიური და რეაქტიური მეთოდები, თითოეული მეთოდის უპირატესი და ნაკლოვანი მხარეები, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მტკიცებულებები, ინფორმაციის წყაროები. ამავე თავში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა ადამიანით მოვაჭრის პროფილი და მისი დასჯისათვის აუცილებელი ღონისძიებები, ვინაიდან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიებისას ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანით მოვაჭრის იდენტიფიცირება დანაშაულის მიზნის, ქმედებებისა და საშუალებების გათვალისწინებით.

მექექსე თავის მსჯელობა აგებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და რეფერირების სისტემის მნიშვნელობაზე, ყურადღება გამახვილებულია საქართველოს კანონმდებლობით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის განმარტების თავისებურებების იდენტიფიცირებასა და საქართველოს კანონმდებლობით „მსხვერპლის“ და „დაზარალებულის“ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ქმედებაში მოქცეული პირის განსხვავებულ სამართლებრივ სტატუსზე. შესაბამისად, დეტალურადაა განმარტებული „მსხვერპლის“ სტატუსის მინიჭების პროცედურები. ამავე თავშია განხილული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების პროგრამები, ასევე განხილულია რეფერირების მექანიზმის მნიშვნელობა მსხვერპლის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად და დაზარალებულად იდენტიფიცირების მომენტიდან რეაბილიტაციის ეტაპის ჩათვლით, პირის სრულ რეინტეგრაციამდე. აღნიშნული თავი ასევე ეხება მსხვერპლის სამართლებრივი დევნიდან განთავისუფლების მნიშვნელობას ადამიანით

ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის და მსხვერპლთა დაცვის სისტემაში. მეექვსე თავში განხილული საკითხების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე ჩამოყალიბებულია შესაბამისი რეკომენდაცია.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის, როგორც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ჭრილში განხილვა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობებით გათვალისწინებულ დეფინიციათა შეპირისპირება, დეფინიციის წარმატებული და ჩრდილოვანი მხარეების გამოკვეთა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე. ამ მიზნით, ნაშრომში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიზნის, ქმედებისა და საშუალებების თეორიულ ასპექტში განხილვის გარდა, მსჯელობა განვითარებულია ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული საქმეების გამოძიების პროცესში სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენებული მეთოდებისა და მსხვერპლთა დაცვის კუთხითაც, ვინაიდან ორივე ეს ასპექტი შეიძლება განხილული იქნეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ეროვნულ კანონმდებლობით გათვალისწინებული დეფინიციის წარმატებულობის თუ წარუმატებლობის ინდიკატორად.

ნაშრომი არ ეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე სასამართლო პრაქტიკას, რაც გამოწვეულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეთა სიმცირით და ერთგვაროვნებით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული რამდენიმე საქმე მოყვანილია ნაშრომის შესაბამის თავში, მსჯელობის თემატიკის გათვალისწინებით, ხოლო ეროვნული სასამართლო პრაქტიკა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებთან მიმართებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად ერთგვაროვანია და გავლენას ვერ მოახდენს ნაშრომის მთავარ მიზანზე, გამოვლენილი იქნას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დეფინიციის და დანაშაულთან ბრძოლის წარმატებული თუ ჩრდილოვანი მხარეები და შემუშავებულ იქნეს შესაბამისი რეკომენდაციები.

თავი პირველი: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მასშტაბები და წარმოშობის მიზეზები

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ადამიანის უფლებების უგულებელყოფის ერთ-ერთი უმძიმესი გამოვლინება და შესაბამისად, სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ყურადღების მისაქცევი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო თანამეგობრობის მიერ ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის აქტიურად განვითარების მიუხედავად, ათასობით ადამიანი ხდება ყოველწლიურად სექსუალური ექსპლუატაციისა და სხვადასხვა მიზნით უკანონო ვაჭრობის მსხვერპლი როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე უცხოეთში²¹. საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთება ამ დანაშაულთან მიმართებაში ძირითადად რამდენიმე ფაქტორითაა გამოწვეული.

პირველი და მთავარი არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სიმძიმე. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ჩადენისას უხეშად ირღვევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, თავისუფლება, პატივი და ღირსება²², ასევე, საფრთხე ექმნება ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ვინაიდან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დამახასიათებელი ნიშნები უმეტეს შემთხვევაში სწორედ ისეთ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაშია გამოსატული, როგორცაა თავისუფლების აღკვეთა, იძულება, მონურ მდგომარეობაში ჩაყენება და ა.შ.²³

შემდეგი ფაქტორი დანაშაულის გავრცელების მასშტაბია. ამერიკის შეერთებული შტატების წლიური ანგარიშების²⁴ მონაცემებით, ყოველწლიურად დაახლოებით 800 000 ადამიანი ხდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, მათ შორის 80 პროცენტი ქალები და გოგონები არიან, ხოლო აქედან 50 პროცენტი – მოზარდები.²⁵ ასევე, მნიშვნელოვანი გარემოებაა დანაშაულის შემოსავლიანობის მასშტაბი. იარაღისა და ნარკოტიკის უკანონო ბრუნვის შემდეგ, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) არალეგალურ ბიზნესს ყოველწლიურად

²¹ იხ.: Duong, K.A. (2012) *Human Trafficking in a Globalized World: Gender Aspects of the Issue and Anti-Trafficking Politics*, Journal of Research in Gender Studies, 2(1), გვ. 48.

²² იხ.: სქოლიო 1, გვ. 12-13.

²³ იხ.: Birkenthal, S. (2011) *Human Trafficking: A Human Rights Abuse with Global Dimenstios*, Interdisciplinary Journal of Human Rights Law, Vol.6, გვ. 27-28.

²⁴ დანიშნულების (მიმღებ) სახელმწიფოდ ითვლება ის ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის ექსპლუატაცია.

²⁵ იხ.: სქოლიო 21, გვ. 48.

დაახლოებით 7 მილიარდი დოლარის მოგება მოაქვს დანაშაულებრივი სამყაროსათვის.²⁶

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევი მიზეზები შეიძლება სხვადასხვა ნიშნით დაჯგუფდეს, როგორც არის, მაგალითად, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ტექნოლოგიური მიზეზები.

ეკონომიკურ მიზეზთაგან, ერთერთი მთავარი იაფ მუშახელზე მოთხოვნაა. გლობალიზაციის მახასიათებელი ნიშანი საზღვრებს გარეთ ბაზრის ინტეგრაციაა. სახელმწიფოს სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპის შენარჩუნების მიზნით, შრომითი რესურსების მიგრაციის რეგულირებისათვის მიღებული კანონების მიუხედავად, გლობალიზაციას მაინც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს საერთაშორისო შრომით მიგრაციაზე. შრომით მიგრაციას მრავალი ფაქტორი იწვევს, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი. ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია დანიშნულების (მიმღებ)²⁷ ქვეყნებში დამსაქმებელთა მოთხოვნა იაფ მუშახელზე, ადგილობრივი მუშახელისთვის არასასურველ სამუშაო ადგილებში ან არალეგალურად მომუშავე ან უცხოელი მუშახელის ნაკლები ხელფასი. როგორც აღვნიშნეთ, ეს გარემოება წარმოშობს მოთხოვნას იაფ მუშახელზე, რასაც სათავისოდ იყენებს დანაშაულებრივი სამყარო. „ისინი კარგად იცნობენ რა არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას, მიზანდასახულად ავითარებენ დანაშაულებრივი საქმიანობის ისეთ მიმართულებებს, რომლებიც შედარებით ნაკლები რისკისა და მცირე ინვესტიციის პირობებში დიდი მატერიალური შემოსავლის მიღების საშუალებას იძლევიან“²⁸. ეს ორგანიზაციები ქმნიან საკუთარ საერთაშორისო ქსელებს და ახდენენ ისეთი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ბიზნესის განვითარებას, რომელიც ნაკლებად ხელსაყრელი რეგიონიდან უფრო შემოსავლიან რეგიონებში მუშახელის გადაყვანაში გამოიხატება.²⁹

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისათვის განვითარებადი ქვეყნები წარმოშობის³⁰ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, საიდანაც მსხვერპლი სატრანზიტო³¹ ქვეყნების გავლით ან პირდაპირ გადაჰყავთ დანიშნულების (მიმღებ) სახელმწიფოში, სადაც მისი ექსპლუატაცია ხდება. ხშირ შემთხვევაში, მსხვერპლი თავად, ლეგალური საშუალებების გამოყენებით ახორციელებს ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადასვლას. ასევე, ხშირია შემთხვევები, როცა პირი

²⁶ იხ.: შაგულაშვილი, თ. (2008) *ტრეფიკინგი ანუ მონობა ოცდამეერთე საუკუნეში*, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი“, ტ.2 No.3, გვ. 140.

²⁷ იხ.: Gallagher, A.T (2010) *The International Law of Human Trafficking*, Cambridge University Press, გვ. 60-63.

²⁸ იხ.: *სქოლიო 1*, გვ. 45-46.

²⁹ იხ.: *იქვე*, გვ. 50-53.

³⁰ წარმოშობის სახელმწიფოდ ითვლება ქვეყანა, რომლის მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები პირი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გახდა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი.

³¹ ტრანზიტულ სახელმწიფოდ ითვლება ის ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზე გავლითაც განხორციელდა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემადგენელი ქმედებები.

მსხვერპლი ხდება თავისივე სახელმწიფოში. მოუწესრიგებელი საიმპერაციო კანონმდებლობა და საზღვარგარეთ სამუშაო პირობების შესახებ არარეალური და არასაიმედო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემა კიდევ უფრო ზრდის დასაქმების მსურველთა დაუცველობის ხარისხს.

ეკონომიკური მიზეზების განხილვისას, მნიშვნელოვანია შევეხოთ სპეციალური კვალიფიკაციის მუშახელზე მოთხოვნასაც, რაც გულისხმობს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში ისეთი სამუშაოს შესრულების მოთხოვნას, რომელიც მხოლოდ გარკვეული ცოდნითაა შესაძლებელი. ასეთი სპეციალობის ადამიანთა შრომა მაღალანაზღაურებადია, შესაბამისად, მიმზიდველია ადამიანით მოვაჭრეთათვის და მათ მიერ ხდება ადამიანის ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაცია.³²

სოციალურ მიზეზებში ძირითადად იგულისხმება ისეთი მოვლენები, როგორცაა უმუშევრობა და ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონი. სამუშაო ადგილების არარსებობა ან სიმცირე პირს აიძულებს ეძებოს ნაკლებად ანაზღაურებადი სამუშაო, ძირითადად ქვეყნის გარეთ ან სხვა რეგიონში. ხანგრძლივი უმუშევრობის პირობებში კი პირი კიდევ უფრო ადვილად თანხმდება შეასრულოს ნებისმიერი სამუშაო, მათ შორის, კრიმინალურ საქმიანობაში ჩაბმის ჩათვლით.

სოციალურ მიზეზს მიეკუთვნება ასევე მოსახლეობის განათლების დაბალი დონე. განათლება ადამიანს აძლევს როგორც დასაქმების უფრო მეტ შესაძლებლობას, ასევე იცავს მას უფლებების დარღვევისგან, რაც ძირითადად სამართლებრივი განათლების ხარჯზე მიიღწევა. მოსახლეობისათვის საკუთარი უფლებების ცოდნა, ასევე ცოდნა იმისა, რა ქმედებაა დასჯადი და რა ქმედება საფრთხის შემცველი, უფრო ზრდის პირის დაცულობის ხარისხს.

სხვადასხვა მატერიალურ სიკეთეზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობაც ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევ სოციალურ მიზეზად უნდა იქნეს მიჩნეული. სოციალურ მიზეზებში შეიძლება გაერთიანდეს ასევე ყველა სოციალური მოვლენა, რომელზეც გავლენას ახდენს რელიგიური მრწამსი და პატრიარქალური აღზრდა. ზოგ რელიგიურ მიმდინარეობაში ოჯახის წევრების მონურ მდგომარეობაში ყოლა თავად ქმედების ობიექტშიც არ იწვევს პროტესტს, შესაბამისად, ადგილი აქვს მათ ექსპლუატაციას.³³

პოლიტიკურ მიზეზებში ძირითადად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო ნების არარსებობა მოიაზრება. აღნიშნული შეიძლება გამოხატული იყოს ისეთ ფორმებში, როგორცაა საკანონმდებლო ბაზის არარსებობა ან არასრულყოფილება. კანონმდებლობის ხარვეზები შესაძლებლობას აძლევს ადამიანით ვაჭრობით დაკავებულ ორგანიზაციებს დაუსჯელად იმოქმედონ. ზოგჯერ

³² იხ.: Greenhill, K. (2007) *Human Trafficking and Migrant Smuggling - New Perspectives on an old Problem*, Harvard University Press, გვ. 29.

³³ იხ.: სქოლიო 1, გვ. 27-32.

ამას ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნებს შორის საკანონმდებლო რეგულაციებს შორის სხვაობა, რომელსაც სათავესოდ იყენებენ ტრანსნაციონალური კრიმინალური დაჯგუფებები.

სახელმწიფოში არასაკმარისი ფინანსური მხარდაჭერა კანონმდებლობის იმპლემენტაციისათვის ან დანაშაულის წინააღმდეგ მასშტაბური ბრძოლისათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევ პოლიტიკურ მიზეზებთა კატეგორიას ეკუთვნის. ამავ ჯგუფში განიხილება ქვეყანაში კორუფციის არსებობა. ადამიანით მოვაჭრეებს მაღალშემოსავლიანი ბიზნესის წყალობით შესაძლებლობა აქვთ მოისყიდონ პოლიტიკური ელიტა და შეუხლუდავად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა.

პოლიტიკური მიზეზია ქვეყნებს შორის არსებული კონფლიქტები და პოლიტიკური წინააღმდეგობა, რაც გამორიცხავს თანამშრომლობას ქვეყნებს შორის. ეს ხელს უწყობს დამნაშავეთა სამყაროს, თავი შეაფარონ მტრული ქვეყნის ტერიტორიას და იქედან აწარმოონ დანაშაულებრივი საქმიანობა.³⁴

ტექნოლოგიურ მიზეზებს ძირითადად განეკუთვნება ისეთი ფაქტორები, როგორცაა კავშირგაბმულობის საშუალებების და გადაადგილების გამარტივება. კომუნიკაციის საშუალებების განვითარებამ გაამარტივა კავშირი დანაშაულებრივ დაჯგუფებებს შორის, რამაც, იმავდროულად გაართულა მათი გამოვლენა და დასჯა. სატრანსპორტო საშუალებების მრავალფეროვნებამ კიდევ უფრო ხელშემწყობი გარემო შეუქმნა ადამიანით მოვაჭრე დანაშაულებრივ დაჯგუფებებს მსხვერპლთა ერთი ადგილიდან, რეგიონიდან ან ქვეყნიდან მეორეში გადასაცვანად.

ტექნოლოგიური მიზეზების ჩამონათვალში მთავარი ადგილი მაინც ინტერნეტ-ტექნოლოგიებს ეთმობა, რაც ადამიანის კონტროლის თითქმის განუზომელ შესაძლებლობებს იძლევა. ინტერნეტ-ტექნოლოგიების განვითარებამ ადამიანით ვაჭრობის ისეთი მომსახურებების გაწევის შესაძლებლობები შექმნა, როგორცაა პორნო და ვირტუალური სექსუალური მომსახურების საიტები. ტექნოლოგიების გამოყენებით ხდება ცრუ რეკლამების გავრცელება, რაც აიოლებს მსხვერპლთა გადაბირების და გადაყვანის ღონისძიებებს.³⁵

ტექნოლოგიურ მიზეზებში მოიაზრება მაღალტექნოლოგიური ქირურგიული ოპერაციების, ორგანოთა ტრანსპლანტაციის, სუროგატული დედობისათვის საჭირო მანიპულაციების ჩატარება. მედიცინის განვითარებასთან ერთად იზრდება ორგანოთა გადანერგვის შესაძლებლობები, მათი შენახვის ტექნოლოგიები. ღონორთა სიმცირე დამატებით ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ამ მიმართულებით უკანონო ბიზნესის აყვავებისათვის.

³⁴ იხ.: იქვე, გვ. 32.

³⁵ იხ.: იქვე, გვ. 35.

ადამიანით მოვაჭრეები იყენებენ შექმნილ ხარვეზებს და ადამიანებს პირდებიან ისეთ სამუშაო ადგილებს, როგორც არ არსებობს, ან რეალობისაგან სრულიად განსხვავებულია. ამას ხელს ის გარემოებაც უწყობს, რომ ხშირად თითქმის შეუძლებელია ზღვარის გაფლგობა ადამიანით ვაჭრობასა და მიგრანტების არალეგალურ გადაყვანას შორის, ასევე, იძულებით შრომასა და არასტანდარტულ სამუშაო პირობებს შორის.³⁶

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფოთა მიერ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაციას, ამ მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობას და სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის იმპლემენტაციისათვის გადადგმული ნაბიჯების მასშტაბურობას.

ამრიგად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) როგორც პრობლემისა და როგორც დანაშაულის სიმძიმის სრულად წარმოჩენისათვის, განხილული იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გავრცელების მასშტაბები და გამომწვევი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ტექნოლოგიური მიზეზები.

³⁶ იხ.: დაღუნაშვილი, ი. (2008) *საქართველო, როგორც შრომითი მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის წყარო ქვეყანა*, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი“, ტ.2 No.3, გვ. 152.

თავი მეორე: ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რეგულირება საერთაშორისო სამართლის აქტების მიხედვით

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პირველ საერთაშორისო დეფინიციად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2000 წელს მიღებული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ³⁷ შესაბამისი დებულებებით შემოთავაზებული დეფინიცია ითვლება. თუმცა, გასულ საუკუნეში, მსოფლიო თანამეგობრობა სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარად ცდილობდა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) აკრძალვისთვის სამართლებრივი ბაზის შექმნას, რისი დადასტურებაცაა რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებიც მონობას, იძულებითი შრომის აკრძალვას და ადამიანთ ვაჭრობას (ტრეფიკინგს) ეხება. ნაშრომისათვის მნიშვნელოვანია მიმოხილულ იქნეს ისინი, რათა უფრო ნათლად წარმოჩინდეს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციის ჩამოყალიბების საუკუნოვანი პროცესი, რაც განხილულია მონობიდან ადამიანთ ვაჭრობამდე (ტრეფიკინგამდე) განვითარების ჭრილში და არა ქრონოლოგიურად, არამედ თემატურად, შემდეგი თანმიმდევრობით: საერთაშორისო დოკუმენტები მონობის, იძულებითი შრომის და ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ.

2.1. საერთაშორისო დოკუმენტები მონობის წინააღმდეგ

თავდაპირველად განვიხილოთ მონობის წინააღმდეგ მიღებული საერთაშორისო დოკუმენტები, როგორც ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ სამართლებრივი ბაზის შექმნის, პირობითად პირველი ეტაპი.

გასული საუკუნის ადრეულ ეტაპზე შემუშავებული იქნა ორი დოკუმენტი: „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“ 1904 წლის 18 მაისის ხელშეკრულება და 1910 წლის კონვენცია „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“. 1904 წლის ხელშეკრულება ეხებოდა ევროპის სახელმწიფოებში სექსუალური ექსპლუატაციისგან ქალთა დაცულობას. მოგვიანებით, 1908 წელს ამ ხელშეკრულებას ამერიკის შეერთებული შტატებიც მიუერთდა.³⁸ აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით ქვეყნები პასუხისმგებლობას იღებდნენ გაეკონტროლებინათ საექვო პირთა მიმოსვლა საზღვრებზე, პორტებსა და სადგურებში.

1910 წლის კონვენცია „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“ ასევე ევროპის ქვეყნებსა და მათ კოლონიებს ეხებოდა, თუმცა

³⁷ იხ.: სქოლიო 2, მე-3 მუხლი.

³⁸ იხ.: სქოლიო 7.

ამ კონვენციას, 1904 წლის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებული შტატები აღარ მიერთებია. აღნიშნული კონვენციის თანახმად, ქვეყნები ვალდებულია იღებდნენ დაესაჯათ პირი ან პირები, რომლებიც ქალის სექსუალურ ექსპლუატაციას მოახდენდნენ, მიუხედავად იმისა რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე, რა ხერხების და საშუალებების გამოყენებით იქნებოდა აღნიშნული ქმედება ჩადენილი: მოტყუებით, მსხვერპლის თანხმობით თუ ზეწოლის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით. ქვეყნები ასევე იღებდნენ ვალდებულებას კანონმდებლობაში შეეტანათ შესაბამისი ცვლილებები.³⁹

უფრო მოგვიანებით, ერთა ლიგის ჩამოყალიბების შემდეგ, 1921 წელს ერთა ლიგის ფარგლებში მიღებული საერთაშორისო კონვენციით „ქალებით და ბავშვებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“⁴⁰, კიდევ უფრო გაფართოვდა ქვეყნების ჩამონათვალი ევროპული მასშტაბით, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატები არც ამ კონვენციას მიერთებია. წინა ორი დოკუმენტისაგან განსხვავებით, აღნიშნული კონვენციით ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება უზრუნველყონ კონტროლის დაწესება ქალების და ბავშვების დაცულობასა და უსაფრთხო გადაადგილებაზე არა მხოლოდ საზღვაო ან სარკინიგზო საზღვრებზე, არამედ გადაადგილების ნებისმიერ საშუალებაზე და ამგზავრობის მთელი პერიოდის განმავლობაში.⁴¹

შემდეგი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ მონობის აკრძალვას ეხება, 1926 წელს იქნა მიღებული. ამ კონვენციის მიღებას წინ გარკვეული სამუშაო უძღოდა, კერძოდ, აფრიკელი მონებით ვაჭრობის აღკვეთის მიზნით, ერთა ლიგის მიერ საკითხის მოწესრიგებისათვის 1924 შექმნა დროებითი კომისია, რომელსაც დაევალა ანგარიშის წარმოდგენა. 1926 წელს, ერთა ლიგის მიერ მიღებული იქნა კონვენცია მონობის შესახებ, რომელიც ძალაში 1927 წელს შევიდა. მონობის შესახებ კონვენცია ჩვენთვის საინტერესოა იმით, რომ იგი პირველი საერთაშორისო სამართლებრივი აქტია, სადაც განმარტებულია მონობის მნიშვნელობა. კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით „მონობა არის ადამიანის სტატუსი ან მდგომარეობა და მის ყველა ან რომელიმე უფლებას მასზე მესაკუთრის უფლების მქონე პირი განაგებს“⁴². კომისიის წევრებს შორის იყო მსჯელობა, რომ მონობა იძულებითი შრომის კატეგორიაში ყოფილიყო განხილული, მაგრამ საბოლოოდ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მონობა ცალკე საკითხად ყოფილიყო განმარტებული. მე-2 მუხლის მიხედვით, მონობა განმარტებულია როგორც ყოველგვარი მოქმედება, დაკავშირებული ადამიანის შექენასთან ან განკარგვასთან, ყოველგვარი მოქმედება: გადაყვანა, მოტყუება, გაცვლა, ყიდვა, გაყიდვა ითვლება მონებით ვაჭრობად. ასევე, აღნიშნული კონვენციის თანახმად, ქვეყნები ვალდებულია იღებდნენ

³⁹ იხ.: სქოლიო 8.

⁴⁰ იხ.: სქოლიო 9.

⁴¹ იხ.: იქვე, მე-3 მუხლი.

⁴² იხ.: სქოლიო 10.

„უმოკლეს ვადაში განახორციელონ მონობის აბსოლუტურად ყველა ფორმის გაუქმება“.⁴³

1956 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული იქნა დამატებითი კონვენცია მონობის, მონათვაჭრობის, მონობის მსგავსი მდგომარეობისა და ჩვეულების გაუქმების შესახებ⁴⁴, რომლის შესავალშივე აღნიშნულია რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არის გაუქმებული მონობა, მონათვაჭრობა, მონობის მსგავსი მდგომარეობა, როგორც ეს ჩამოყალიბებული იქნა 1926 წლის კონვენციაში. აღნიშნული პუნქტი საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში ჩამოთვლილი ელემენტები მოგვიანებით მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობაშიც იქნა აღიარებული როგორც ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ელემენტი.⁴⁵

ეს კონვენცია იმითაცაა აღსანიშნავი რომ უკანონოდ იქნა აღიარებული სავალო კაბალა, ნების საწინააღმდეგოდ ქორწინება და ბავშვთა შრომის გარკვეული ფორმები. კონვენციის პირველივე მუხლის მიხედვით⁴⁶, „ყველა წევრმა სახელმწიფომ, რომელიც მიერთებულია კონვენციას, უნდა გაატაროს პრაქტიკული და საჭირო სამართლებრივი ქმედებები, რათა თანმიმდევრულად და დროის უმოკლეს ვადაში გააუქმოს მონობა ან უარი თქვას მონობის მსგავს ინსტიტუტებზე და საქმიანობაზე.“ პირველივე მუხლში ასევე ნათქვამია, რომ აღნიშნული ეხება ყველა ქვეყანას, სადაც ჯერ კიდევ არსებობს მონობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, განსაკუთრებით საინტერესოა სავალო კაბალის განმარტება. კონვენციის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად: „სავალო კაბალა ეს არის სტატუსი ან მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნება მევალის დაპირების შედეგად, შეასრულოს მომსახურება ვალის სანაცვლოდ იმ პირებისგან, რომლებიც წარმოადგენენ ვალის გადახდის გარანტს“⁴⁷. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სავალო კაბალა მონობის მსგავსი მდგომარეობის ერთ-ერთი სახეა და გულისხმობს პირის ისეთ მდგომარეობას ან სტატუსს, რომელიც მოვალისთვის ვალის უზრუნველყოფის მიზნით აღმოცენდება და ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად საკუთარი ან მის დამოკიდებულებაში მყოფი პირის მომსახურების გამოყენება ხდება, თუკი ამ მომსახურების ღირებულება შეუძლებელია ვალის აღმოსაფხვრელად იქნას გამოყენებული.⁴⁸

⁴³ იხ.: იქვე, მე-2(ბ) მუხლი.

⁴⁴ იხ.: მონობის, მონური შრომისა და მონობის მსგავსი მდგომარეობის გაუქმების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1956 წლის 7 სექტემბრის დამატებითი კონვენცია.

<http://www.ohchr.org/english/law/slavery.html>

⁴⁵ იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლის შენიშვნა.

⁴⁶ იხ.: სქოლიო 44.

⁴⁷ იხ.: იქვე, 1 (ა) მუხლი.

⁴⁸ იხ.: მესხი, მ., ბაქაური, ნ., (2006) ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი)- თეთრი მონობა ოცდამეერთე საუკუნეში – ტრეფიკინგთან ბრძოლის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, გვ. 21.

მონობის განმარტების თვალსაზრისით, კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტია ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდება, რომელიც მიღებულია 1993 წელს და მოიცავს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების ჩამონათვალს, მათ შორის არის დამონება, რომელიც ტრიბუნალის იურისდიქციაში შედის, მაგრამ მის განმარტებას ტრიბუნალი არ ახდენს და ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ 1996 წელს მიღებულ მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა კოდექსით მოცემულ „დამონების“ განმარტებას.⁴⁹

აღნიშნული დოკუმენტის მე-18 მუხლის მიხედვით, მონობა ნიშნავს დაუდგინო ან შეუნარჩუნო პირს მონის სტატუსი, ამყოფო ყმის ან იძულებითი შრომის პირობებში, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს და ისეთ დოკუმენტებს, როგორცაა მონობის შესახებ კონვენცია; კონვენცია მონობის, მონათვაჭრობის, მონობის მსგავსი მდგომარეობისა და ჩვეულების გაუქმების შესახებ; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია იძულებითი და სავალდებულო შრომის შესახებ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა 1998 წლის 18 ივლისს რომში. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების ხელმოსაწერად გახსნის კონფერენციის რომში გამართვის შედეგად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებას „რომის სტატუტსაც“ უწოდებენ. რომის სტატუტმა განსაზღვრა სასამართლოს იურისდიქციას მიკუთვნებული შემდეგი საკითხები: გენოციდის დანაშაული, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, სამხედრო დანაშაულები და აგრესიის დანაშაული.⁵⁰ რომის სტატუტის მე-7 მუხლში ჩამოთვლილია ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩამონათვალი, მათ შორის „დამონებაც“, რომელიც განმარტებულია როგორც ადამიანის მიმართ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ან ყველა უფლების განხორციელება და „მოიცავს ასეთი უფლებამოსილების განხორციელებას ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებით და ბავშვებით ვაჭრობის დროს“⁵¹. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ სტატუტის ხელმოსაწერად გახსნის კონფერენციის მონაწილეებმა სასამართლოსთვის უნივერსალური იურისდიქციის მინიჭებას მხარი არ დაუჭირეს, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქე შეიძლება გასამართლებული ყოფილიყო საერთაშორისო დანაშაულის

⁴⁹ იხ.: სქოლიო 11.

⁵⁰ იხ.: სქოლიო 12.

⁵¹ იხ.: იქვე მე-7 (1) (c) მუხლი.

ჩადენისათვის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ, ხელშეკრულებაში მისი სახელმწიფოს მონაწილეობის მიუხედავად.⁵²

ცალკე უნდა გამოიყოს მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვის შესახებ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში *ევროპული კონვენცია*)⁵³ განმარტება, რომლის მე-4 მუხლის მიხედვით: „1. არავინ შეიძლება იყოს მონობაში ან ყმობაში⁵⁴“. აღნიშნული ცნება „მონობის“ განსაზღვრის გარეშე, ძირითადად ეხება პატიმრობაში მყოფ პირებს და მათი პატიმრობის პერიოდში მუშაობის ვალდებულებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტერმინები „მონობა“ ან „ყმობა“ არ გამოიყენება პატიმრების შრომის მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს რომ პატიმართა შრომა ევროპული კონვენციის მიხედვით არათუ მონობად ან ყმობად არ შეიძლება იქნას განხილული, არამედ იგი არ განიხილება არც იძულებით ან სავალდებულო შრომად.

მიუხედავად იმისა, რომ იძულებითი ან სავალდებულო შრომის მიმართულებით საერთაშორისო დოკუმენტების შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის ერთობლიობაში განხილვა, იძულებითი და სავალდებულო შრომის ჩათვლით. შესაბამისად, ევროპული კონვენციის თანახმად: „არავის შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი ან სავალდებულო შრომის განხორციელება⁵⁵“, ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილში ჩამოყალიბებულია ოთხი კატეგორია, რომელიც არ ჩაითვლება იძულებით ან სავალდებულო შრომად და გარკვეული სამუშაოები სახელმწიფოს მიერ შეიძლება იქნეს დადგენილი მე-2 პუნქტით განსაზღვრული ამკრძალავი ნორმების გათვალისწინების გარეშე.⁵⁶ კერძოდ, პირველი კატეგორია მოიცავს თავისუფლება აღკვეთილი პირების საქმიანობას და ევროპული კონვენციის აღნიშნული მუხლი⁵⁷ ადგენს რომ შრომა ციხეებსა და ანალოგიურ დაწესებულებებში არ არის აკრძალული. მეორე კატეგორიის მიხედვით, იძულებითი ან სავალდებულო შრომა არ მოიცავს „სამხედრო ხასიათის ნებისმიერ სამსახურს, ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად დაკისრებულ სამსახურს იმ ქვეყნებში, სადაც შინაგანი მრწამსის გამო, სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმის უფლება აღიარებულია⁵⁸“. მესამე კატეგორია ეხება სამსახურს, რომლის დაკისრებაც შეიძლება გამოწვეული იყოს საგანგებო

⁵² იხ.: ხუციშვილი, ქ. (2011) *გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციები*, გვ. 13.

⁵³ იხ.: *სქოლიო 5*.

⁵⁴ იხ.: *იქვე*, მე-4(1) მუხლი.

⁵⁵ იხ.: *იქვე*, მე-4(2) მუხლი.

⁵⁶ იხ.: კორკელია, კ., მჭედლიძე, ნ. და სხვ., (2005) *საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან*, გვ. 69.

⁵⁷ იხ.: *სქოლიო 5*, მე-4 (3)(ა) მუხლი.

<http://www.conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=005&CM=8&DF=24/05/2014&CL=ENG>

⁵⁸ იხ.: *იქვე*, მე-4 (ბ) მუხლი.

მდგომარეობის ან ბუნებრივი კატასტროფის დროს, რომლითაც საფრთხე ექმნება საზოგადოების სიცოცხლეს ან კეთილდღეობას⁵⁹. ამგვარ შემთხვევაში „სამსახურს“ შეიძლება მიენიჭოს სავალდებულო ხასიათი.⁶⁰ რაც შეეხება მე-4 კატეგორიას, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის მიხედვით, იგი მოიცავს ნებისმიერ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც „ჩვეულებრივ სამოქალაქო ვალდებულებათა“ ნაწილია. თუ მოთხოვნილი სამუშაოს შესრულება პროფესიული საქმიანობის ნაწილია, იგი არ შეიძლება შეფასდეს იძულებით ან სავალდებულო შრომად. აქვე უნდა აღინიშნოს რომ „იძულებითი ან სავალდებულო შრომა“ ეხება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენილ ვალდებულებებს და აქ არ მოიაზრება კერძო სტრუქტურების მიერ დადგენილი ვალდებულებები. იძულებითი ან სავალდებულო შრომის კომპონენტებზე საუბარი შეგვიძლია მაშინ, როცა სამუშაოს შემსრულებელი შრომით საქმიანობაში ჩაბმულია თავისი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ ან შრომის პირობები გაუმართლებლად გადაჭარბებულ დატვირთვასთანაა დაკავშირებული, ან დესპოტურია.⁶¹

მონობის თანამედროვე გაგება ნიშნავს ადამიანის ნივთის დანიშნულებით გამოყენებას, რომელიც შეიძლება ჩააბა როგორც იძულებით შრომაში, ასევე სექსუალურ ინდუსტრიაში, ლეგალურ თუ არალეგალურ სამეწარმეო საქმიანობაში, სამხედრო კონფლიქტებში კომბატანტებად. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ქმედებებს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სპეციფიკა ჰქონდა, ხოლო გამოყენების სფეროები დღითიდღე მრავალფეროვანი ხდება. კაცობრიობის განვითარების ისტორია ადასტურებს ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის პრაქტიკას, რაც ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე არათუ არ იწვევდა საზოგადოების უარყოფით შეფასებას, არამედ პირიქით, გარკვეული საზოგადოებრივი დაკვეთაც კი არსებობდა საამისოდ. მონათმფლობელური ფორმაციის ეტაპზე, მონობა გულისხმობდა ადამიანის მიერ ადამიანის შექენას, მის იურიდიულ მფლობელობაში ყოლას, რაც ასევე მატერიალურ მხარესთანაც იყო დაკავშირებული, ითვალისწინებდა მონის მოვლის ვალდებულებას, რადგანაც შექენილი მონის დაღუპვა გარკვეულ მატერიალურ ზიანთან იყო დაკავშირებული.

რაც შეეხება მონობის თანამედროვე ფორმას - ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), რომელსაც „თეთრი მონობის“ სახელით იხსენიებენ, ამ შემთხვევაში ადამიანით მოვაჭრე მსხვერპლის მოსაპოვებლად მოტყუებას და იძულებას იყენებს, როგორც დამონების თანამედროვე საშუალებას. ასევე, ადამიანით მოვაჭრეთათვის თითქმის არ წარმოიშობა მსხვერპლის მოვლის ვალდებულება, რაც დანახარჯის სიმცირითაა გამოწვეული.

⁵⁹ იხ.: იქვე, მე-4(3) (ვ) მუხლი.

⁶⁰ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *ივერსენი ნორვეგიის წინააღმდეგ (Iversen v NORWAY) (17.12.1963) European Court of Human Rights, 1468/62.*

⁶¹ იხ.: *სქოლიო 56*. გვ. 69.

ამერიკელმა მეცნიერმა ბეილისმა ტრეფიკინგის მსხვერპლებს უწოდა „ერთჯერადი ადამიანები“ (Disposable People). ამ მეცნიერის თეორია ავითარებს მოსაზრებას, რომ თანამედროვე პირობებში მსხვერპლთა გამოყენება ხდება თითქმის მათი სიცოცხლის ბოლომდე და მსხვერპლის გარდაცვალება ადამიანით მოვაჭრისათვის დიდ დანაკარგებს არ წარმოშობს, გარდაცვლილის სანაცვლოდ ახალი მსხვერპლის იოლად ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე.⁶² ასევე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მსხვერპლი შეიძლება შემოსავლის წყაროდ გარდაცვალების შემდეგაც იქცეს, ვინაიდან შეიძლება გამოყენებული იქნეს მისი ორგანოები. თუ მონობის კლასიკური ფორმის არსებობის პერიოდში მონობა ძირითადად სხვა სახელმწიფოში გაყვანით და ექსპლუატაციით ხდებოდა, თანამედროვე, თეთრი მონობის პერიოდში ადგილი აქვს ადამიანებით ვაჭრობას შიდასახელმწიფოებრივად, ერთი რეგიონიდან მეორეში, სადაც შეიძლება სახელმწიფო კონტროლი შედარებით ძნელად ხორციელდებოდეს. განსაკუთრებით ხელსაყრელია ამ დანიშნულებით კონფლიქტის ზონების გამოყენება.

2.2. საერთაშორისო დოკუმენტები იძულებითი და სავალდებულო შრომის შესახებ

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, წინამდებარე თავის შემდეგ, პირობითად მეორე ეტაპს იძულებითი და სავალდებულო შრომის შესახებ საერთაშორისო დოკუმენტები მიეკუთვნება.

პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, კონვენცია იძულებითი შრომის აკრძალვის შესახებ, მიღებულ იქნა 1930 წელს. იძულებით შრომად ითვლება ნებისმიერი სამუშაო, რომელსაც ადამიანი დასჯის მუქარის ქვეშ ასრულებს საკუთარი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ. იძულებითი შრომისათვის ხშირად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორცაა: ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობა; გადაადგილების შეზღუდვა; თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების ჩამორთმევა; გამომუშავებული თანხის დაკავება.⁶³ ეკონომიკური ექსპლუატაცია ძირითადად შემდეგ ეკონომიკურ სექტორებზე მოდის: მშენებლობა, შინამეურნეობა, ჯანდაცვა, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი, სოფლის მეურნეობა, პლანტაციაში მუშაობა და ა.შ.

იძულებითი შრომისგან თავისუფლების უფლება ავალდებულებს სახელმწიფოს აქტიურად იმოქმედოს, უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა და ჩაერიოს ადამიანის უფლების ამგვარი დარღვევის შემთხვევაში. სახელმწიფო არა მხოლოდ ვალდებულია აღკვეთოს ამგვარი ქმედება, არამედ ვალდებულია განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა. კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს იძულებითი შრომის კრიმინალიზაციას, ადგენს სახელმწიფო ორგანოების მიერ იძულებითი შრომის გამოყენების ფარგლებს, კრძალავს

⁶² *იხ.*: Bales, K. (1999) *Disposable People: New Slavery in the Global Economy*, გვ. 37.

⁶³ *იხ.*: იქვე, გვ. 153.

არასრულწლოვნის შრომის გამოყენებას. კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით, იძულებითი და სავალდებულო შრომა განმარტებულია როგორც ნებისმიერი სამუშაო და მომსახურება, რომლის შესრულებისთვისაც სასჯელის მუქარაა გამოყენებული პირის მიმართ და რომელსაც პირი ნებაყოფლობით არ შეასრულებდა.⁶⁴ კონვენცია ასევე განსაზღვრავს გარკვეულ გამონაკლისებს, როცა სახელმწიფოს შეუძლია კანონიერების ფარგლებში გამოიყენოს იძულებითი შრომა, თუმცა მაქსიმალურ ვადად განსაზღვრავს 60 დღეს. კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პარაგრაფით, იძულებით შრომად არ განიხილება შემდეგი: სამხედრო სავალდებულო სამსახური; სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულებები; საგანგებო სიტუაციების შემთხვევები; მცირე მეურნეობები, რომელიც შედგება თემის წევრებისაგან და უშუალოდ ამ თემის ინტერესებს ემსახურება.⁶⁵

კონვენციის 25-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფოების მიერ დასჯად ქმედებად უნდა გამოცხადდეს იძულებითი და სავალდებულო შრომის უკანონო მოთხოვნა და ნებისმიერი ქვეყანა, სადაც კონვენციის რატიფიცირება მოხდება, ვალდებულია უზრუნველყოს კანონით დაწესებული სასჯელის ადეკვატურობა და მისი მთელი სიმკაცრით აღსრულება.⁶⁶

მოგვიანებით, 1959 წელს მიღებული იქნა კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ N 105, რომელსაც არ შეუცვლია იძულებითი შრომის განმარტება. ექსპერტთა კომიტეტის მოსაზრების შესაბამისად, ეს ორი კონვენცია ერთმანეთს ავსებს⁶⁷, „105-ე კონვენცია შედარებით ახალი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც ეყრდნობა 29-ე კონვენციის საფუძველს, რათა აღკვეთოს იძულებითი და სავალდებულო შრომა მისი მნიშვნელობის შესაბამისად, 29-ე კონვენცია აღგენს იძულებითი და სავალდებულო შრომის ძირითად აკრძალვებს, რამდენიმე გამონაკლისის გათვალისწინებით“.⁶⁸

105-ე კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, იძულებითი და სავალდებულო შრომა არ შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც: ა) პოლიტიკური ზეწოლის საშუალება, როგორც დამსჯელი ღონისძიება განსხვავებული პოლიტიკური აზრის გამოხატვისათვის და/ან არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური სისტემის საწინააღმდეგო იდეოლოგიური მრწამსის გაზიარებისათვის; ბ) ეკონომიკური განვითარების საჭიროებისათვის სამუშაო ძალის მობილიზაციისა და გამოყენების მეთოდი; გ) შრომის დისციპლინის დაცვის საშუალება; დ) დასჯის საშუალება გაფიცვებში მონაწილეობისათვის;

⁶⁴ იხ.: სქოლიო 14. მე-2(1) მუხლი.

⁶⁵ იხ.: იქვე, მე-2(2) მუხლი.

⁶⁶ იხ.: იქვე, მე-2(5) მუხლი.

⁶⁷ იხ.: *Eradication of forced labour, General survey of 2007, para.11* (Convention N 105 does not constitute a revision of Convention N 29, but was designed to supplement it).

⁶⁸ იხ.: *იძულებითი შრომა და ადამიანი ვაჭრობა (ტრეფიკინგი)- სასამართლო გადაწყვეტილებების პრეცედენტების კრებული* (2010) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრებული, გვ. 11.

ე) დისკრიმინაციის საშუალება რასობრივი, სოციალური, ეროვნული ნიშნების ან სარწმუნოების მიხედვით.⁶⁹

1999 წელს მიღებულ იქნა კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვის და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ N182⁷⁰, რომელშიც ბავშვთა შრომის უკიდურესად მძიმე ფორმა განიმარტა. მოგვიანებით, რამდენიმე ელემენტი ქვეყნების მიერ გამოყენებულ იქნა არასრულწლოვნთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციის ჩამოყალიბებისას. კერძოდ, კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, ბავშვთა შრომის უკიდურესად მძიმე ფორმად განიხილება „ა) მონობის ან მონობის მსგავსი პრაქტიკის ყველა ფორმა, როგორცაა, მაგალითად, ბავშვების გაყიდვა და ბავშვებით ვაჭრობა, სავალო კაბალა და ბატონყმური დამოკიდებულება, აგრეთვე იძულებითი ან სავალდებულო შრომა, მათ შორის ბავშვების იძულებითი ან სავალდებულო დაქირავება შეიარაღებულ კონფლიქტებში მათი გამოყენების მიზნით; ბ) ბავშვის გამოყენება, შეთავაზება ან დაქირავება პროსტიტუციაში, პორნოგრაფიული პროდუქციის შექმნისათვის ან პორნოგრაფიული წარმოდგენისათვის.“⁷¹ ამავე კონვენციის მე-7 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა კონვენციის ეფექტურად ამოქმედებისათვის, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზომების ჩათვლით.

მნიშვნელოვანია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის მოსაზრება იძულებითი შრომის შემდეგი შემადგენელი ნაწილების თაობაზე: იძულებითი შრომა ან მომსახურება; სამუშაოს შესრულება შიშის ან მუქარის ქვეშ; სამუშაო, რომელსაც პიროვნება არ შეასრულებდა თავისი ნებით. ექსპერტთა კომიტეტის მოსაზრებებით, საჭიროა მოხდეს თითოეული კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი იძულებით ან სავალდებულო შრომას მუქარის შიშის ქვეშ. ეს მოსაზრება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით რომ ზოგ შემთხვევაში შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა შესაძლოა ემთხვეოდეს ან გასცდეს 29-ე კონვენციით დადგენილი იძულებითი შრომის განმარტებას, მაგრამ რეალურად ადგილი არ ჰქონდეს შრომის უფლების დარღვევას. ამდენად, კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, საჭიროა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე გარემოებათა შეფასების საფუძველზე დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი იძულებითი შრომას.⁷²

რაც შეეხება სასჯელის მუქარას, ექსპერტთა კომიტეტის აზრით, მუქარა ფართო გაგებით უნდა იქნეს განსაზღვრული და არ უნდა იგულისხმებოდეს მხოლოდ დასჯის ფორმები. სასჯელის მუქარაში ასევე უნდა იგულისხმებოდეს უფლების ან რაიმე პრივილეგიის

⁶⁹ იხ.: იქვე, გვ.11.

⁷⁰ იხ.: სქოლიო 15, მე-3(ა,ბ) მუხლი.

⁷¹ იხ.: იქვე, მე-3 მუხლი.

⁷² იხ.: *Abolition of forced labour, General Survey by the Committee of Experts on the application of Convention and Recommendations* (1979) ILC, 65th Session, Geneva, para 20.

ჩამორთმევა, რაც შეიძლება იყოს დაწინაურების, სხვა ადგილას გადაყვანის შეზღუდვა.⁷³

არანაკლებ საინტერესოა ექსპერტთა კომიტეტის მოსაზრება იმის თაობაზე, მიეკუთვნება თუ არა სასჯელის ფორმას ფსიქოლოგიური ზეწოლა ან ეკონომიკური იძულება. ზოგადად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სადამკვირვებლო ორგანოების მიერ ფსიქოლოგიური ზეწოლა აღიარებულია როგორც დასჯის მუქარის ფორმა. თუმცა ეკონომიკურ იძულებასთან დაკავშირებით მათ ცალსახა პოზიცია არ გააჩნიათ.⁷⁴

ექსპერტთა კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს რომ დასაქმებულს ყოველთვის უნდა ჰქონდეს თავისუფალი არჩევანის უფლება დატოვოს სამსახური. შესაბამისად, სამუშაოს ხასიათი იძულებითია თუ ნებაყოფლობითი, საჭიროა შემდეგი გარემოებების შესწავლა: დასაქმებაზე გამოთქმული თანხმობა არის თუ არა პირის თავისუფალი არჩევანი და აქვს თუ არა დასაქმებულს უფლება უარი თქვას საკუთარ თანხმობაზე.⁷⁵

2.3. საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ

ზემოთ განხილული ქვეთავების შემდეგ, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა დაგვეჩვენა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციის შექმნის და განვითარების პროცესი, ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ საერთაშორისო დოკუმენტების შექმნა საბოლოო ეტაპად შეიძლება განვიხილოთ.

საერთაშორისო კონვენცია „სრულწლოვან ქალთა ვაჭრობის წინააღმდეგ“, რომელიც მიღებული იქნა 1933 წელს, არის ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი, რომელიც საზღვრის გადაკვეთასთან ერთად ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მსხვერპლის თანხმობას მნიშვნელობა არ შეიძლება მიენიჭოს დანაშაულის კვალიფიკაციისას და დამნაშავეთა დასჯისას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც აღნიშნული კონვენცია შეეხებო, არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მომზადებისა და მცდელობის დასჯად ქმედებად აღიარება.⁷⁶

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსების შემდეგ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანით ვაჭრობაში (ტრეფიკინგში) საწყის ეტაპზე მოიაზრებდა მხოლოდ ქალთა და ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციას. ამის ერთ-ერთი მაგალითია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1949

⁷³ იხ.: ILO, Report of the Committee set up to examine the Article 24 representation concerning Portugal (1985) para. 97

⁷⁴ იხ.: იქვე.

⁷⁵ იხ.: სქოლიო 68, გვ. 13.

⁷⁶ იხ.: სქოლიო 16.

წლის კონვენცია ადამიანით ვაჭრობის და მესამე პირის მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციასთან ბრძოლის შესახებ. კონვენციის მიხედვით, აღნიშნულს განეკუთვნება პირის მიერ მეორე პირის დაყოლიება, გარყვნა პროსტიტუციის მიზნით ან მეორე პირის პროსტიტუციის ექსპლუატაცია, თუნდაც მისივე თანხმობით. ასევე, პირის მიერ საროსკიპოს დაფინანსება ან დაფინანსებაში მონაწილეობა; შენობის ან ფართის ნაწილის ქირავნობა და გაქირავება პირის მიერ პროსტიტუციის მიზნებისათვის.⁷⁷

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დიდხანს მიმდინარეობდა მსჯელობა თუ რა არის ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ადამიანის კონტრაბანდა თუ ადამიანით ვაჭრობა.⁷⁸ სამეცნიერო ლიტერატურაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სხვადასხვა განმარტებას ვხვდებით: ქმედება, რომელიც სრულდება ძალადობით, მუქარით, ვალით დაკაბალებით, მოტყუებით, იძულების სხვადასხვა ხერხების გამოყენებით, ადამიანების გადმობირებით ქვეყნის შიგნით სამუშაოდ ან საზღვარგარეთ სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად. მკვლევართა აზრით, „ადამიანის კონტრაბანდა“ უნდა განიხილებოდეს როგორც „მონობის თანამედროვე სახესხვაობა“.⁷⁹

თუკი ადრეული საერთაშორისო ინსტრუმენტები მოიცავდა მხოლოდ ქალთა ტრეფიკინგის საკითხებს და ეხებოდა ძირითადად ევროპელი ქალების სექსუალურ ექსპლუატაციას, 90-იანი წლების ბოლოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულში უკვე მოიაზრება მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა როგორც სექსუალური, ისე შრომითი ექსპლუატაციაც. 1998 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცდა რეზოლუცია საგანგებო კომიტეტის შექმნის შესახებ, რომელმაც თავისი საქმიანობა დაასრულა 2000 წელს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ კონვენციისა და ორი დამატებითი ოქმის მომზადებით. ჩვენთვის საინტერესოა მეორე, დამატებითი ოქმი „ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“.

ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ სახელმწიფოს ბრძოლის ვალდებულებას ითვალისწინებს ქალის ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია⁸⁰, რომლის მე-6 მუხლის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას, მათ შორის საკანონმდებლოს, ქალებით ვაჭრობისა და ქალთა პროსტიტუციის ექსპლუატაციის ყოველგვარ სახეობათა აღსაკვეთად“⁸¹.

⁷⁷ იხ.: სქოლიო 27, გვ. 119-123.

⁷⁸ იხ.: იქვე, გვ. 125.

⁷⁹ იხ.: ლობჯანიძე, გ. (2005) ტრეფიკინგის კრიმინოლოგიური ასპექტები, ტრანსნაციონალური დანაშაული და კორუფცია საქართველოში, ავტორთა კრებული, გვ. 183.

⁸⁰ იხ.: ქალის ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია www.un.org/DPCSD/daw/cedaw.htm (ნანახია: 7.11.2012).

⁸¹ იხ.: იქვე, მე-6 მუხლი.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პირველ საერთაშორისო დეფინიციად ითვლება გაერთიანებული ერების ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ 2000 წლის კონვენციისა⁸² (*შემდგომში* – „*პალერმოს კონვენცია*“) და მისი დამატებითი ოქმის ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ (*შემდგომში* „*პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმი*“) შესაბამის მუხლებში ჩამოყალიბებული დეფინიცია.⁸³ ამ ორი დოკუმენტის მიღებამ, ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოთა მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის შექმნას და ამ მიზნით, პალერმოს კონვენციისა და პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის ბევრი დებულება იქნა გამოყენებული⁸⁴. შესაბამისად, ინტერესმოკლებული არ იქნება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა, რომელიც კონვენციაშია მოცემული და გაზიარებული და ასახული იქნა სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობებში.

მიუხედავად იმისა, რომ პალერმოს კონვენცია უშუალოდ არ ეხება ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) თავად წარმოადგენს ორგანიზებულ დანაშაულს, შესაბამისად, პალერმოს კონვენცია უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტია, სადაც ჩამოყალიბებულია თუ რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე. პალერმოს კონვენციაშივეა განმარტებული თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს დანაშაული ტრანსნაციონალურ დანაშაულად: 1) ჩადენილია ერთზე მეტ სახელმწიფოში; 2) ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი მომზადების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობის ან კონტროლის ძირითადი ნაწილი ხორციელდება სხვა სახელმწიფოში; 3) ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ დამნაშავეთა ორგანიზებული ისეთი ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა ერთზე მეტ სახელმწიფოში; 4) ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ შედეგები ვლინდება მეორე სახელმწიფოში.⁸⁵ ფაქტობრივად, სახელმწიფოთა კანონმდებლობებში ასეცაა გაზიარებული და ტრანსნაციონალური დანაშაულის გაგება ზემოაღნიშნულ პრინციპებს ეყრდნობა, რაც ხელს უწყობს არამარტო ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ დებულებათა ჩამოყალიბებას ეროვნული კანონმდებლობების მიერ საერთაშორისო

⁸² იხ.: სქოლიო 2.

⁸³ იხ.: სქოლიო 3, მე-3(ა) მუხლი.

http://www.childtrafficking.org/eng/conventions_end_guidelines/ctoc_palermo_protocol.pdf
[Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, Supplementing the United Nations Convention Against Transnational Organized Crime, UN Convention \(Palermo Protocol\)](#)

⁸⁴ იხ.: Todres, J. (2011-2012) *Widening our lens: Incorporating Essential Perspectives in the Fight Against Human Trafficking*. Michigan Journal of International Law, Vol.53, გვ. 54.

⁸⁵ იხ.: სქოლიო 2, მე-(2) მუხლი.

სტანდარტების შესაბამისად, ამავე დროს, ერთგვაროვანი გაგება აიოლებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პერსპექტივას⁸⁶.

პალერმოს კონვენციის მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, სახელმწიფოებმა აღკვეთონ და გამოიძიონ შემდეგი ქმედებები: 1) დამნაშავეთა მონაწილეობა ორგანიზებულ ჯგუფებში; 2) დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლების გათეთრება; 3) კორუფცია; 4) მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; 5) მძიმე დანაშაულები რომლებიც ტრანსნაციონალურ ხასიათს ატარებს და ჩადენილია დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ.⁸⁷ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული ბოლო ორი პუნქტის სფეროში ხვდება, ხოლო პალერმოს კონვენცია სახელმწიფოებს მიუთითებს რა ქმედებების კრიმინალიზაცია უნდა მოხდეს მათი კანონმდებლობით. გარდა ამისა, პალერმოს კონვენცია სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევს მოახდინოს დანაშაულებრივად მოპოვებული შემოსავლების გათეთრების კრიმინალიზაცია⁸⁸; კანონმდებლობით დაარეგულიროს იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი⁸⁹; განსაზღვროს სისხლისსამართლებრივი დევნა და შესაბამისი სანქციების დაწესება;⁹⁰ კონფისკაცია და ყადაღა დანაშაულებრივად მოპოვებულ ქონებაზე;⁹¹ თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებს შორის სამართლებრივი ურთიერთდახმარების მიზნით⁹². პალერმოს კონვენცია ასევე ავალდებულებს სახელმწიფოებს, ეროვნული კანონმდებლობით მკაცრად დაისაჯოს კონვენციით გათვალისწინებული ყველა დანაშაული.

მნიშვნელოვანია პალერმოს კონვენციის იმ დებულებათა განხილვა, რომელიც გარკვეულ სტანდარტებს აწესებს და სახელმწიფოებს ავალდებს ისეთი კანონმდებლობის მიღებას ან სხვა ზომების გატარებას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მოახდინოს შემდეგი განზრახ ჩადენილ ქმედებათა კრიმინალიზაცია: „ა) ქვემოთ დასახელებულ ქმედებათაგან ერთ-ერთი ან ორივე დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის მიკუთვნებულად და დანაშაულებრივი ქმედების ფაქტობრივი ჩადენის მიუხედავად; ი) ერთ ან რამდენიმე პირთან შეთანხმება მძიმე დანაშაულის ჩასადენად, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, და თუ ამას ითვალისწინებს შიდა კანონმდებლობა, ასევე იგულისხმება ერთერთი მონაწილის მიერ რაიმე ქმედების ფაქტობრივი განხორციელება შეთანხმების რეალიზაციისათვის ან დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობა; იი) ქმედება ჩადენილი პირის მიერ, რომელიც

⁸⁶ იხ.: Bruch, E.M. (2009) *Models Wanted: The Search for Effective Response to Human Trafficking*, 40 *Stanford Journal of International Law*, ტ.1, N.41, გვ. 7.

⁸⁷ იხ.: *სქოლიო* 2, 1 მუხლი.

⁸⁸ იხ.: *იქვე*, მე-6 მუხლი.

⁸⁹ იხ.: *იქვე*, მე-10 მუხლი.

⁹⁰ იხ.: *იქვე*, მე-11 მუხლი.

⁹¹ იხ.: *იქვე*, მე-12 მუხლი.

⁹² იხ.: *იქვე*, მე-18 მუხლი.

აცნობიერებს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიზანს და საერთო დანაშაულებრივ საქმიანობას, ან ამ ჯგუფის განზრახვას, ჩაიდინოს შესაბამისი დანაშაულები, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს: ა) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობაში; ბ) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის სხვა საქმიანობაში იმის გაცნობიერებით, რომ მისი მონაწილეობა ხელს შეუწყობს ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი მიზნების მიღწევას; გ) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით ჩადენილი მძიმე დანაშაულის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, ხელშეწყობა, წაქეზება, დახმარება ან რჩევის მიცემა⁹³.

პალერმოს კონვენციის მოთხოვნაა კორუფციის დასჯადობის უზრუნველყოფა სახელმწიფოთა მიერ და ამ მიზნით იმ საკანონმდებლო თუ სხვა ზომების გამოყენება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს დასჯადად გამოაცხადოს შემდეგი დანაშაულებრივი ქმედებები: „ა) საჯარო მოხელისათვის, პირდაპირ და არაპირდაპირ, რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება ან მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირების სასარგებლოდ, იმისათვის რომ ამ მოხელემ მისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისათვის განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისაგან; ბ) პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა საჯარო მოხელის მიერ, პირადად ამ მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირების სასარგებლოდ იმისათვის, რომ ამ მოხელემ მისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისაგან.“⁹⁴ პალერმოს კონვენციის ამ მოთხოვნის გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, რომელთა პოლიტიკური განვითარების დონე და სოციალ-ეკონომიკური ფონი ხელსაყრელ პირობებს ქმნის კორუფციის აყვავებისათვის.⁹⁵

პალერმოს კონვენციის არანაკლებ მნიშვნელოვანი მოთხოვნაა იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი. პალერმოს კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოებმა თავიანთ სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა მიიღონ ზომები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის დაწესება, რომელიც ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი⁹⁶, ხოლო იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი ან ადმინისტრაციული⁹⁷. რაც მთავარია, „ამგვარი პასუხისმგებლობის

⁹³ იხ.: იქვე, მე-5(1) მუხლი.

⁹⁴ იხ.: იქვე, მე-8(1) (a b) მუხლი.

⁹⁵ იხ.: Dunne, J.I. (2011-2012) *Hijacked: How Efforts to Redefine the International Definition of Human Trafficking Threaten its Purpose*, *Williamette Law Review*, N 48 გვ. 404.

⁹⁶ იხ.: სქოლიო 2, მე-10(1) მუხლი.

⁹⁷ იხ.: იქვე, მე-10(2) მუხლი.

დაკისრება, ზიანს არ უნდა აყენებდეს დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას⁹⁸.

ბევრი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობითაც მოხდა პალერმოს კონვენციის ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინება, ვინაიდან პალერმოს კონვენციითვეა მოცემული სახელმწიფოთა მიერ კონკრეტული საკითხების იურიდიული გადაწყვეტა. ამავე დროს, პალერმოს კონვენციის ზემოაღნიშნული საკითხები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, ვინაიდან პალერმოს კონვენციით განხილული ისეთი საკითხები როგორცაა კორუფცია, იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა, ტრანსნაციონალურობა, დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების კონფისკაცია, სამართლებრივი ურთიერთდახმარება და ა.შ. ამ საკითხების ასახვა სახელმწიფოთა კანონმდებლობების მიერ, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სრულმასშტაბიანად წარმართვისათვის.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საერთაშორისო დოკუმენტების ჩამონათვალში ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციას და ბრძოლის სტანდარტებს ერთობლიობაში ქმნიან ზემოაღნიშნული კონვენცია და კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ, რომლის მიღების მიზანი იყო ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) აღკვეთა და მის წინააღმდეგ ბრძოლა, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მათი უფლებების სრული პატივისცემის გათვალისწინებით დაცვა და დახმარება, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა და აღნიშნული მიზნების მისაღწევად, მონაწილე სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.⁹⁹ პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმი მნიშვნელოვანია არამარტო იმით, რომ ამ ოქმით მოცემული ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიცია ითვლება ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პირველ საერთაშორისოდ აღიარებულ დეფინიციად, რომელიც მრავალი სახელმწიფოს კანონმდებლის მიერ იქნა გაზიარებული, არამედ იმითაც რომ პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმი გვთავაზობს ადამიანთ ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის ეფექტურობის, ერთიანობისა და კოორდინაციის ამდღების მიზნით სახელმწიფოთა მიერ გასათვალისწინებელ აუცილებელ სტანდარტებს. ამ მიზნით, პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმი სახელმწიფოს ავალდებულებს: 1) მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები, რომლებიც აუცილებელია სამართლის დანაშაულად გამოცხადდეს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ტიპის დანაშაულის ჩადენა როგორც განზრახ, ისე მისი მცდელობა, თანამონაწილეობა და ასევე, დანაშაულებრივი ორგანიზაციის ფორმირება. 2) დაიცვას ადამიანთ ვაჭრობის

⁹⁸ იხ.: იქვე, მე-10(3) მუხლი.

⁹⁹ იხ.: სქოლიო 84, გვ. 54.

(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა პირადი ცხოვრება და ვინაობა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული სამართალწარმოების კონფედენციალურობის ჩათვლით; 3) შექმნას პირობები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ გამოჯანმრთელებას, მათ უსაფრთხოებას და ა.შ.

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი უადრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ აღნიშნული დეფინიციით გათვალისწინებული ელემენტები იქნა გაზიარებული ბევრი ქვეყნის კანონმდებლობის მიერ. დეტალურად განვიხილოთ აღნიშნული მუხლი, რომლის მიხედვითაც:

„ა) „ტრეფიკინგი“ ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმ, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას.“¹⁰⁰

აღნიშნული დეფინიცია მიზნის, ხერხისა და საშუალებების გათვალისწინებით, პირობითად სამ ნაწილად შეიძლება იქნას განხილული:

დეფინიციის პირველ ნაწილში მოცემულია ხერხები, კონკრეტული მოქმედებები, რომლებიც ადამიანის ექსპლუატაციის მიზნით არის გამოყენებული. ეს მოქმედებებია ადამიანების გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება. აღნიშნული მოქმედებები შესაძლოა ჩადენილი იყოს როგორც ცალკე, ისე ერთობლიობაში.

დეფინიციის მე-2 ნაწილში მოცემულია ის საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც ზემოაღნიშნული მოქმედებები იქნა ჩადენილი და ეს საშუალებებია მუქარა, ძალის გამოყენება, იძულება, გატაცება, თაღლითობა, მოტყუება, საკუთარი უფლებამოსილების ან სხვისი უმწეობის ბოროტად გამოყენება, იმ პირისათვის საფასურის მიცემა, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა ადამიანზე.

დეფინიციის მე-3 ნაწილი ეხება დანაშაულის მიზანს. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიზანს პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის ზემოაღნიშნული ქვეპუნქტების მიხედვით ადამიანის ექსპლუატაცია წარმოადგენს.

¹⁰⁰ იხ.: სქოლიო 9.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მუხლის (ბ) ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც:

„ბ) თუ გამოყენებულია ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება, ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლის თანხმობას აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს.“¹⁰¹

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) იდენტიფიკაციისას ეს ქვეპუნქტი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მთავარია დამტკიცდეს ის გარემოება, რომ თუ გამოყენებული იქნა მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება, მაშინ მსხვერპლის თანხმობას მნიშვნელობა არ ენიჭება, მსხვერპლის თანხმობა არ შეიძლება განხილული იქნას როგორც დამნაშავის შემამსუბუქებელი, მით უმეტეს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება.

ძალიან მნიშვნელოვანია მუხლის (გ) და (დ) ქვეპუნქტები, რომელიც ეხება არასრულწლოვანს და შესაბამისად, ცალკე უნდა იყოს აღნიშნული:

„გ) ბავშვის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით უნდა ჩაითვალოს „ტრეფიკინგად“ მაშინაც კი, როდესაც გამოყენებული არ ყოფილა ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება.“¹⁰²

გარდა პალერმოს კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმისა, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა. არასრულწლოვნით ვაჭრობა თანდათან ფართოვდება და იძენს ისეთ ფორმებს, როგორცაა ორგანიზებული პროსტიტუცია, პორნოგრაფია, სექსტურიზმი და სხვა. არასრულწლოვნის ექსპლუატაცია ძირითადად შემდეგ ფორმებშია გამოხატული: არასრულწლოვნის შრომის ექსპლუატაცია, კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია, ორგანოებით ვაჭრობა (იძულებითი დონორობა), შეიარაღებულ კონფლიქტებში გამოყენება, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (წვრილმანი ქურდობა, მათხოვრობა და ა.შ) ჩართვა, კომერციულ სექსუალურ ექსპლუატაციაში ჩართვა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ მოიცავს ბავშვთა პროსტიტუციას, ბავშვთა პორნოგრაფიას, ბავშვთა სექსტურიზმს და სხვ.¹⁰³ ზემოაღნიშნული გარემოებები კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს არასრულწლოვნის ტრეფიკინგის საკანონმდებლო რეგულირებას როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ კანონმდებლობებში. აქედან გამომდინარე, შემდეგი საერთაშორისო

¹⁰¹ იხ.: იქვე, მე-3(ბ) მუხლი.

¹⁰² იხ.: იქვე, მე-3 (ვ) მუხლი.

¹⁰³ იხ.: მამულაშვილი, გ. (2012) არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგი)

სამართლებრივ-სოციოლოგიური ანალიზი; ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, ავტ.კრებული, გვ. 397.

დოკუმენტი, რომელიც მოგვიანებით ასახული იქნა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობებში, არის გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ.¹⁰⁴ პალერმოს კონვენციის დამატებითმა ოქმმა განმარტა ბავშვებით ვაჭრობა, ბავშვთა პროსტიტუცია და ბავშვთა პორნოგრაფია, ვინაიდან ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად განსაკუთრებული სისწრაფით ფართოვდება მსგავსი ქმედებები.

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით, ოქმის მიზნებისათვის: ა) ბავშვებით ვაჭრობა ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას ან გარიგებას, რომლის შედეგადაც ხდება ბავშვის გადაცემა ნებისმიერი პირისათვის ან პირთა ჯგუფის მიერ სხვა პირის ან პირთა ჯგუფისათვის ფულადი ან სხვა ანაზღაურების ფასად; ბ) ბავშვთა პროსტიტუცია ნიშნავს ბავშვის გამოყენებას სექსუალური ხასიათის ქმედებებში ფულადი ან სხვა ანაზღაურების ფასად; გ) ბავშვთა პორნოგრაფია ნიშნავს სხვადასხვა საშუალებებით იმ ბავშვის ნებისმიერ გამოსახვას, რომელიც ასრულებს რეალურ ან მოდელირებულ აშკარა სექსუალურ ქმედებებს, ან ბავშვის სასქესო ორგანოების გამოსახვას ძირითადად სექსუალური მიზნებისათვის.¹⁰⁵

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი ეხება უშუალოდ ბავშვებით ვაჭრობის დეფინიციას, რომელიც შემდგენიარადაა ჩამოყალიბებული: „ი) ნებისმიერი საშუალებით ბავშვის შეთავაზება, გადაცემა ან მიღება შემდეგი მიზნებისათვის: ა. ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია; ბ. ბავშვის ორგანოების გადაცემა ანაზღაურების მისაღებად; გ. ბავშვის გამოყენება იძულებით სამუშაოებზე“¹⁰⁶. ამავდროულად, ბავშვებით ვაჭრობად ჩაითვლება შეილად აყვანის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების დარღვევით შეილად აყვანისათვის იძულებითი თანხმობის უკანონოდ მოპოვება შუამავლისაგან,¹⁰⁷ პროსტიტუციის მიზნით ბავშვის შეთავაზება, მიღება, მიწოდება,¹⁰⁸ ასევე, ბავშვთა პორნოგრაფიის წარმოება, გავრცელება, იმპორტი, ექსპორტი, შეთავაზება, გაყიდვა ან შენახვა ზემოაღნიშნული მიზნებისათვის.¹⁰⁹

აღამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის და ბავშვთა პორნოგრაფიის კუთხით, საინტერესოა კიდევ ერთი საერთაშორისო დოკუმენტი - საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებული შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც ხელი მოეწერა 1996 წლის 22 აპრილს. გამომდინარე იქედან, რომ აღამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ხშირად ორგანიზებული დანაშაულობის ფარგლებში ხორციელდება,

¹⁰⁴ იხ.: ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, 2000, http://www.childtrafficking.org/eng/conventions_end_guidelines/ctoc_palermo_protocol.pdf

¹⁰⁵ იხ.: იქვე, მე-2 მუხლი.

¹⁰⁶ იხ.: იქვე, მე-3(1,1) მუხლი.

¹⁰⁷ იხ.: იქვე, მე-3 (ii) მუხლი.

¹⁰⁸ იხ.: იქვე, მე-3(b) მუხლი.

¹⁰⁹ იხ.: იქვე, მე-3(c) მუხლი.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის მასთან ბრძოლა მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია.¹¹⁰ ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის შესახებ ევროკავშირის პარლამენტის საბჭოს დირექტივა¹¹¹ (*შემდგომში – დირექტივა*) სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყონ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და აკრძალონ შემდეგი ქმედებები: გადაბირება, გადაყვანა, თავშესაფრის მიცემა, პირზე კონტროლის სხვა პირისათვის გადაცემა, თუ ისინი ჩადენილია მუქარის, იძულების სხვა ფორმების, გატაცების, მოტყუების, თაღლითობის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ან პირის უმწიფობის გამოყენების გზით, ასევე საზღაურის ან სარგებლის მიცემის, ან აღების გზით იმ მიზნით, რათა მიღწეულ იქნეს იმ პირის თანხმობა, რომელიც სხვა პირზე კონტროლს ახორციელებს და აღნიშნული ქმედებები ჩადენილია ექსპლუატაციის მიზნით¹¹².

დირექტივაში ასევე განმარტებულია ექსპლუატაცია, რომელიც გულისხმობს სხვის გამოყენებას პროსტიტუციაში ან სხვა სექსუალურ ქმედებებში ჩაბმის, იძულებითი შრომის, მომსახურების გაწევის, მათხოვრობის, მონობის ან მონობის მსგავს პირობებში ჩაყენების, დანაშაულში ჩაბმის ან ორგანოების ამოჭრის გზით. რაც შეეხება მსხვერპლის თანხმობას, ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება თუ გამოყენებულია ზემოაღნიშნული, მე-2 მუხლის პირველ აბზაცში ჩამოთვლილი რომელიმე საშუალება. 18 წლამდე პირთან მიმართებაში კი, ქმედების კვალიფიკაციისათვის საერთოდ არაა აუცილებელი აღნიშნული საშუალებების გამოყენება. იგივე ნორმის მიხედვით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მცდელობაც დასჯადია და სისხლისსამართლებრივი წესით პასუხი უნდა აგოს წამქეხებელმა და დამხმარემ. აქვე უნდა აღინიშნოს ასევე ის გარემოებაც, რომ გარდა ფიზიკური პირების პასუხისმგებლობისა, დირექტივა იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხსაც ეხება. ევროკავშირის სხვა დოკუმენტების მსგავსად, დირექტივაში მითითებული არ არის იურიდიული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი ღონისძიების გამოყენების შესახებ, არამედ საუბარია ქმედით და დამაშინებელ სანქციებზე. იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება მაშინ, როცა ფიზიკური პირის მიერ დანაშაული ჩადენილი იქნა მის სასარგებლოდ და რომელიც დამოუკიდებლად ან როგორც მისი ორგანოს ნაწილი ისე მოქმედებდა.¹¹³

დირექტივა ასევე ეხება სახელმწიფოების მიერ სანქციების გამოყენების საკითხსაც და ითვალისწინებს სახელმწიფოთა მიერ მინიმუმ 5 წლიანი სასჯელის გამოყენებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისათვის, ხოლო დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას, უფრო მკაცრი სასჯელის დაწესებას. ამავე დროს,

¹¹⁰ იხ.: ჯიშკარიანი, ბ. (2013) *ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში*, გვ. 187.

¹¹¹ იხ.: *სქოლიო 20*.

¹¹² იხ.: *იქვე*, მე-2 მუხლი.

¹¹³ იხ.: *სქოლიო 110*, გვ. 188.

დირექტივით ასევე გათვალისწინებულია მსხვერპლთა დაცვის ზომების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან.

არანაკლებ საინტერესოა ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის დირექტივა¹¹⁴ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (*შემდგომში – 2011 წლის დირექტივა*), სადაც ჩამოყალიბებულია დეფინიცია, დანაშაულის ნიშნები და საუბარია სანქციებზე. აღნიშნული დირექტივის მიხედვით, წევრი სახელმწიფოები ბავშვთა ექსპლუატაციასა და ბავშვთა პორნოგრაფიას აღიარებენ მძიმე დანაშაულად, ასევე, გამომდინარე იქედან, რომ ექსპლუატაციის ერთ-ერთი უმძიმესი ფორმა-ბავშვთა პორნოგრაფია კიდევ უფრო ფართო გასაქანს იძენს ინტერნეტ-ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტ გააქტიურებას საჭიროებენ.

2011 წლის დირექტივის მე-2 მუხლის მიხედვით, ბავშვთა პორნოგრაფიად ჩაითვლება „ნებისმიერი მასალა ბავშვის გამოსახულებით, რომელიც რეალურ ან სიმულირებულ, ერთმნიშვნელოვნად სექსუალურ ქმედებებში მონაწილეობს; ბავშვის სასქესო ორგანოების პირდაპირ სექსუალური მიზნებით წარმოდგენა ნებისმიერი ფორმით; ნებისმიერი მასალა ბავშვის შესახედაობის მქონე პირის გამოსახულებით, რომელიც რეალურ ან სიმულირებულ, ერთმნიშვნელოვნად სექსუალურ ქმედებებში მონაწილეობს, ან ამ პირის სასქესო ორგანოების პირდაპირი სექსუალური მიზნებით წარმოდგენა ნებისმიერი ფორმით, ან ბავშვის რეალისტური წარმოდგენა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად სექსუალურ ქმედებებში მონაწილეობს, ან მისი სასქესო ორგანოების პირდაპირ სექსუალური მიზნებით რეალისტური წარმოდგენა¹¹⁵“. რაც შეეხება ბავშვთა პროსტიტუციის განმარტებას, 2011 წლის დირექტივის მიხედვით, ბავშვთა პროსტიტუციად ჩაითვლება ბავშვის ჩაბმა სექსუალურ ქმედებებში ფულის ან სხვა სახის ანაზღაურების დაპირების ან შეთავაზების საფუძველზე, იმის მიუხედავად, ეს ანაზღაურება ბავშვს უნდა მიეცეს თუ მესამე პირს¹¹⁶.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „პორნოგრაფიული წარმოდგენის“ განმარტება 2011 წლის დირექტივის მიხედვით, ვინაიდან აღნიშნული ტერმინი ბევრ საერთაშორისო დოკუმენტში არ გვხვდება. 2011 წლის დირექტივის მიხედვით, პორნოგრაფიული წარმოდგენა არის „რეალურ ან სიმულირებულ, პირდაპირი სექსუალური შინაარსის ქმედებებში მონაწილე ბავშვის ან მისი სქესობრივი ორგანოების პირდაპირ სექსუალური მიზნებით პუბლიკისათვის საჯარო, ცოცხალი წარმოდგენა, მათ შორის კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით¹¹⁷“.

¹¹⁴ იხ.: ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის დირექტივა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ABI.L 335, 17.12.2011,1; მოცემული დირექტივა ჩაენაცვლა მანამდე მოქმედ ჩარხო გადაწყვეტილებას (ABI.L 13,20.1.2044,44).

¹¹⁵ იხ.: იქვე, მე-2 (გ) მუხლი.

¹¹⁶ იხ.: იქვე, მე-2 (დ) მუხლი.

¹¹⁷ იხ.: იქვე, მე-2 (ე) მუხლი.

აღნიშნული დეფინიციების გარდა, 2011 წლის დირექტივა ასევე ითვალისწინებს სხვა ტერმინებსაც, როგორცაა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციასთან, ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულები და სხვ.

წინა დირექტივის მსგავსად, 2011 წლის დირექტივაც სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას დასაჯოს დანაშაულის წამქეზებელი და დამხმარე, დასჯადად გამოაცხადოს დანაშაულის მცდელობა; ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისათვის მინიმალურ სანქციად დააწესოს 5 წელი, სხვადასხვა სანქციები დაწესდეს ბავშვთა პორნოგრაფიისათვის, ბავშვთა სექსუალური კონტაქტის დამყარებისათვის და სხვა. მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიაში მსჯავრდებული ფიზიკური პირის პროფესიული საქმიანობისაგან გარკვეული ვადით ჩამოშორება, თუ მისი პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ბავშვთან პირდაპირ კონტაქტში იმყოფება. ასევე, ფიზიკური პირების გარდა, სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხიც.

კიდევ ერთი საერთაშორისო დოკუმენტი, ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ (შემდგომში „ევროპის საბჭოს კონვენცია“) მიღებული იქნა 2005 წელს.¹¹⁸ ამ კონვენციის დეფინიცია თითქმის იდენტურია პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მიერ მოცემული დეფინიციისა და შემდგენიარადაა ჩამოყალიბებული: „ა) „ადამიანებით უკანონო ვაჭრობა“ ნიშნავს ექსპლუატაციის მიზნით პირთა სამუშაოზე აყვანას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, თავშესაფრის მიცემას ან მიღებას, მუქარის ან ძალის ან იძულების სხვა ფორმის გამოყენების, ან თაღლითობის, ან მოტყუების ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ან უმწეო მდგომარეობით სარგებლობის ან საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან მიღების გზით, რომლის მიზანია იმ პირის თანხმობის მიღება, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა პირზე. ექსპლუატაცია, ყველაზე შეზღუდული განმარტებით, გულისხმობს სხვა პირთა ექსპლუატაციას პროსტიტუციის მიზნით ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონურ ან სხვა მდგომარეობაში ჩაყენებას, კატორღულ მუშაობას ან ორგანოების ამოცლას.“¹¹⁹

როგორც აღვნიშნეთ, ევროპის საბჭოს კონვენციის დეფინიცია თითქმის არ განსხვავდება პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიციისაგან. ევროპის საბჭოს კონვენციის მიხედვითაც, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიზანს წარმოადგენს ადამიანის ექსპლუატაცია.¹²⁰ რაც შეეხება ხერხებს, რომელთა გამოყენებითაც მოქმედება განხორციელდა, თითქმის იდენტურია პალერმოს კონვენციის

¹¹⁸ იხ.: სქოლიო 4.

¹¹⁹ იხ.: იქვე, მე-4 მუხლი.

¹²⁰ იხ.: Chaudory, S. (2011) *Trafficking in Europe: An Analysis of the Effectiveness of European Law*, Michigan Journal of International Law, Vol. 33, გვ. 83-85.

დამატებითი ოქმისა, კერძოდ, ტრანსპორტირება, გადაცემა, მიღება. იგივე შეიძლება ითქვას საშუალებების თაობაზეც: მუქარა, მოტყუება, ძალის გამოყენება, თაღლითობა, ძალაუფლების ან სხვისი უმწეობის ბოროტად გამოყენება, იმ პირისათვის საზღაურის მიცემა რომელიც კონტროლს ახორციელებს სხვა პირზე. საშუალებათა ეს ჩამონათვალი იდენტურია პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმით განსაზღვრული ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის საშუალებებისა.¹²¹ ასევე, ორივე დეფინიცია აღიარებს ადამიანთა ტრეფიკინგს ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით.¹²²

შემდეგი საკითხია მსხვერპლის თანხმობა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის კვალიფიკაციისას. ევროპის საბჭოს კონვენციის მე-4 მუხლის (ბ) ქვეპუნქტის თანახმად: „ადამიანთ უკანონო ვაჭრობის მსხვერპლის თანხმობა, გამოყენებული იქნას ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის, არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ ეს თანხმობა მიღებული იქნა (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე საშუალებით“¹²³. როგორც აღნიშნული ადასტურებს, მსხვერპლის თანხმობის საკითხი ექსპლუატაციაზე, ევროპის საბჭოს კონვენციითაც პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მსგავსადაა გადაწყვეტილი და მას დანაშაულის კვალიფიკაციისათვის ან დამნაშავის დასჯისათვის, მნიშვნელობა არ ენიჭება.

თითქმის იგივე შეიძლება ითქვას არასრულწლოვნთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თაობაზე. ევროპის საბჭოს კონვენციის მე-4 მუხლის (გ) ქვეპუნქტის მიხედვით „ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის სამუშაოზე აყვანა, ტრანსპორტირება, გადაცემა, თავშესაფრის მიცემა ან მიღება განიხილება როგორც „ადამიანებით უკანონო ვაჭრობა“ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოყენებული არ ყოფილა ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე საშუალება“¹²⁴.

გარდა ზემოაღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტებისა, ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ (*შემდგომში-ჩარჩო გადაწყვეტილება*)¹²⁵. აღნიშნული გადაწყვეტილება არის ევროკავშირის მცდელობა წევრი სახელმწიფოების კანონების სისხლის სამართლის საკითხებში ჰარმონიზაციის და პოლიციის ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების თანამშრომლობის მიზნით. შესაბამისად, ჩარჩო გადაწყვეტილება ეხება ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაციას, სანქციებსა და სასჯელებს. ჩარჩო გადაწყვეტილების პირველი მუხლის თანახმად, ყველა ქვეყანამ დასჯადად უნდა გამოაცხადოს შემდეგი ქმედებები: „ადამიანების გადაბირება,

¹²¹ იხ.: იქვე

¹²² იხ.: იქვე

¹²³ იხ.: სქოლიო 4.

¹²⁴ იხ.: იქვე, მე-4 (გ) მუხლი.

¹²⁵ იხ.: ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ, 2002 წლის 19 ივლისი. ნანახია: <http://europa.eu.int/eur-lex/pri/en/oj/dat/2002/l-203/l-20320020801en00010004.pdf>

ტრანსპორტირება, გადაყვანა, თავშესაფრის მიცემა, შემდგომი მიღება, ადამიანზე კონტროლის გაცვლის ან გადაცემის ჩათვლით¹²⁶, როდესაც გამოყენებული იყო ძალა ან ძალის მუქარა, მოტაცების ჩათვლით¹²⁷, გამოყენებული იქნა თადლითობა ან მოტყუება¹²⁸, ძალაუფლების ან მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რომლითაც შეიქმნა ნებისმიერი სიტუაცია, როცა პირს არ გააჩნია სხვა ალტერნატივა გარდა იმისა, რომ დაემორჩილოს ამგვარ მოპყრობას¹²⁹, პირის თანხმობის მისაღწევად გამოყენებული იქნა გასამრჯელოს ან რაიმე სარგებლის დაპირება იმ პირის მიერ, ვისაც კონტროლი აქვს სხვა ადამიანზე ამ უკანასკნელის ექსპლუატაციის მიზნით. იქვეა განმარტებული ექსპლუატაცია, როგორც იძულებითი შრომა ან სამსახური, მონობის ან ყმობის მსგავსი მდგომარეობა, პროსტიტუციის ექსპლუატაცია ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმა, პორნოგრაფიის ჩათვლით¹³⁰.

ჩარჩო გადაწყვეტილება ფაქტობრივად იმეორებს პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიციით გათვალისწინებულ იმ გარემოებას, რომ ბავშვის მიმართ ტრეფიკინგის დანაშაულის კვალიფიკაციისათვის აუცილებელი არაა გამოყენებული იყოს პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება¹³¹. ასევე, ჩარჩო გადაწყვეტილების მიხედვითაც, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის თანხმობას ექსპლუატაციაში მისი ჩართვის შესახებ მნიშვნელობა არ აქვს, თუ გამოყენებული იქნა პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება.¹³² გარდა ამისა, ჩარჩო გადაწყვეტილება ეხება იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობისა და სანქციების საკითხს. ასევე, სახელმწიფოებს ევალება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ განახორციელოს ყველა ზომა, თუ დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ მის ტერიტორიაზეა ჩადენილი; დამნაშავე მისი მოქალაქეა ან დანაშაული ჩადენილია მის ტერიტორიაზე არსებული იურიდიული პირის სასარგებლოდ.¹³³

მსგავსების გარდა, ჩარჩო გადაწყვეტილება გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში განსხვავდება პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმისგან. ჩარჩო გადაწყვეტილების დეფინიცია არ მოიცავს ორგანოთა ამოღებას, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმას.¹³⁴ ასევე, რაც შეეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვას, ჩარჩო გადაწყვეტილება დეტალურად არ შეეხება და სახელმწიფოებისაგან მხოლოდ მართლსაწესების პროცესში მათი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას მოითხოვს.

¹²⁶ იხ.: იქვე, 1 მუხლი.

¹²⁷ იხ.: იქვე, 1(a) მუხლი.

¹²⁸ იხ.: იქვე, 1(1)(ბ) მუხლი.

¹²⁹ იხ.: იქვე, 1(1)(გ) მუხლი.

¹³⁰ იხ.: იქვე, 1(1)(დ) მუხლი.

¹³¹ იხ.: იქვე, 1(3) მუხლი.

¹³² იხ.: იქვე, 1(2) მუხლი.

¹³³ იხ.: იქვე, მე-6 მუხლი.

¹³⁴ იხ.: სქოლიო 125.

ამრიგად, ევროკავშირის ყველა ქვეყანას, ახალი წევრი სახელმწიფოების ჩათვლით, ევალება შეიმუშაოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური კანონმდებლობა, ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით გაითვალისწინონ შესაბამისი მუხლები.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიმართ სპეციალური კანონების მიღებამდე, დევნისა და დასჯის მიზნით სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ სისხლის სამართლის ნორმები მონობის, მონობის მსგავსი მდგომარეობის, იძულებითი შრომის ან პროსტიტუციის ექსპლუატაციის, თავისუფლების უკანონო შეზღუდვის და სხვა მსგავსი ქმედებების დასჯის მიზნით.¹³⁵ მონობა, მონობის მსგავსი მდგომარეობა, იძულებითი ან სავალდებულო შრომა, იძულებითი ქორწინება და იძულებითი აბორტი, წამება, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა, სექსუალური დანაშაულები, სხეულის დაზიანება, მკვლელობა, ადამიანის მოტაცება, თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, შრომითი ან პროსტიტუციის ექსპლუატაცია, მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების ჩამორთმევა და სხვა ამგვარი, ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული დანაშაულები დასჯადია სახელმწიფოების მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობით და ცალკე კანონის არარსებობის შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი გამოყენება. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნულ დანაშაულთა ჩამონათვალი და მათ შესახებ მსჯელობა რამდენიმე მიმართულებით უნდა იქნეს განხილული.

ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მონობის კონტექსტი, როცა სახელმწიფოთა მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური კანონმდებლობის მიღებამდე, გამოყენებული უნდა იქნეს მონობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით არსებული ნორმები, რომლებიც მოიცავს არამარტო მონობას, როგორც პიროვნების მიმართ მფლობელობის უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას, არამედ უნდა ითვალისწინებდეს მონობის მსგავს მდგომარეობასაც.¹³⁶

არანაკლებ საინტერესოა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შრომითი ექსპლუატაციის კონტექსტი, რაც გულისხმობს დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის წინააღმდეგ ჩადენილი შემდეგი ქმედებების დასჯადობას სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობით: ფიზიკური ძალადობა, გადაადგილების უფლების შეზღუდვა, სავალდებულო კაბალის მდგომარეობა ან ფულადი ვალდებულების მდგომარეობაში ჩაყენება, ანაზღაურების გადახდაზე უარის თქმა, მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების ჩამორთმევა და სხვა.¹³⁷ რაც შეეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სექსუალური ექსპლუატაციის კონტექსტს, სექსუალური ექსპლუატაციის განზრახვით ჩადენილი ქმედების დევნისა

¹³⁵ იხ.: სქოლიო 120, გვ. 84.

¹³⁶ იხ.: Plant, R. (2004) *Human Trafficking: The Forced Labour Dimensions*, გვ. 61.

¹³⁷ იხ.: იქვე

და დასჯის მიზნით, სახელმწიფოების მიერ გამოყენებული უნდა იყოს კანონმდებლობა სექსუალური დანაშაულების შესახებ.¹³⁸ იმ ქვეყნებში, სადაც პროსტიტუცია აკრძალულია, არ შეიძლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის დასჯა პროსტიტუციისათვის, თუ მან ეს ქმედება ჩაიდინა როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლმა, და თუ მის მიმართ გამოყენებული იყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დეფინიციით გათვალისწინებული ხერხი და საშუალება.¹³⁹

ცალკე უნდა აღინიშნოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი მის მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებათა კონტექსტში და მისი სასჯელისაგან გათავისუფლება. არ შეიძლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის დასჯა მის მიერ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისას, ან ყალბი პასპორტის მოხმარებისათვის, ისევე როგორც კრიმინალურ გაერთიანებაში მისი მონაწილეობისათვის, თუ მის მიერ ეს ქმედებები ჩადენილი იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი დაისაჯოს დამნაშავე და არა მსხვერპლი და ეს სახელმწიფოების მიერ ეროვნული კანონმდებლობის მოწყობისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ასპექტია გამოძიების პროცესში მსხვერპლის თანამშრომლობა, რომლის მისაღწევად სერიოზული დაბრკოლებაა მსხვერპლის შიში მის მიერ ჩადენილი პროსტიტუციის, საზღვრის უკანონო კვეთის, ფარული შრომის და სხვა მსგავსი სამართალდარღვევების გამო¹⁴⁰. სწორედ ამის გამო გახდა საჭირო კანონმდებლობაში მსხვერპლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ სპეციალური ნორმ(ებ)ის შემოღება, რომლებიც, როგორც წესი, უნდა მოიცავდნენ დანაშაულებს, რომელიც ჩადენილია მსხვერპლის მიერ მისი მსხვერპლად ყოფნის გამო.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ადამიანის უფლებათა სტანდარტული პრინციპების შექმნა, რომელიც თავის მხრივ, საფუძვლად დაედო რიგ საერთაშორისო დოკუმენტებს და რომელიც ზემოთ იყო განხილული. სწორედ აღნიშნული სტანდარტები ითვალისწინებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განსაზღვრას, სისხლის სამართლებრივ დევნას და სახელმწიფოებისაგან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელებას.¹⁴¹ ზემოაღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ჩაითვალოს, რომ სახელმწიფოები გარკვეულწილად შეთანხმდნენ იმაზე, რომ ადამიანით ვაჭრობა ნიშნავს ყველა იმ ქმედებას ან განზრახვას, რომელიც უკავშირდება პირის ან

¹³⁸ იხ.: სასწავლო მასალა მონამართლეოთა და პროკურორთათვის ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ (2006), ICMPD, გვ. 78.

¹³⁹ იხ.: იქვე, გვ. 78.

¹⁴⁰ იხ.: იქვე, გვ. 79.

¹⁴¹ იხ.: სქოლიო 79, გვ. 184.

პირთა ჯგუფის მიერ პირის ყიდვას, გატაცებას, ამგვარი ქმედებით მოგების მიღებას, რაც მიღწეული იქნა მისი მოტყუებით, იძულებით ან შანტაჟის გზით.¹⁴² რაც შეეხება ექსპლუატაციას, ექსპლუატაცია ნიშნავს პროსტიტუციას ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით მუშაობას ან მომსახურებას, მონობას ან მონობასთან გაიგივებულ მდგომარეობას, ასევე, სხეულის ორგანოების, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის ამოკვეთას გაყიდვის ან გადანერგვის მიზნით.¹⁴³

საერთაშორისო დოკუმენტების და ტერმინთა განმარტებების განხილვის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა სტანდარტებისა, სახელმწიფოთა კანონმდებლობებში დაინერგა ტერმინთა გარკვეულწილად ერთგვაროვანი გაგება. მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელიც ძალადობის, მოტყუების, მონობის ობიექტს წარმოადგენს და რაც მთავარია, მას დაკარგული აქვს საკუთარი სხეულისა და შრომის გაკონტროლების უფლება და საშუალება¹⁴⁴.

რაც შეეხება ვაჭრობას, შანტაჟსა და სავალო კაბალას, ვაჭრობის ძირითად ელემენტებად მიიჩნევა მოტყუება, მსხვერპლი შეიძლება თანახმა იყოს სექსინდუსტრიაში ჩაბმაზე, მაგრამ მისთვის მიუღებელია მონობა, მინიმალური ანაზღაურება, საცხოვრებელი პირობები და სხვ.¹⁴⁵ სავალო კაბალად მიიჩნევა მდგომარეობა, სადაც ვალის გადაუხდელობის ნაცვლად შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ვალის დაფარვად არ ითვლება და არც სამუშაოს ხანგრძლივობა და დროა განსაზღვრული.¹⁴⁶ შანტაჟი გულისხმობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მიერ რაიმე მოქმედების იძულებით ჩადენას, მსხვერპლის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავების ქონების დაზიანების ან განადგურების მუქარით ან ინფორმაციის გავრცელებით, რომელიც მაკომპრომენტირებელი ხასიათისაა.¹⁴⁷

გარდა ამისა, საერთაშორისო დოკუმენტებისა და მათში გამოყენებული ტერმინების განხილვის შედეგად შესაძლებელია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რამდენიმე ასპექტის ხაზგასმა, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანთა ტრანსპორტირებასთან; სამუშაოს შესრულების ან სხვა საქმიანობის იძულებასთან; მატერიალურ სარგებელთან და სხვა.¹⁴⁸ რაც შეეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ცნებას, იგი შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: ერთი პირის მიერ მეორის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა მატერიალური ან სხვა სახის მოგების მიღების მიზნით; მსხვერპლისთვის მაიდენტიფიცირებელი საბუთების ჩამორთმევა; სავალო კაბალის მდგომარეობაში ჩაყენება; შრომის იძულება; გადაადგილების

¹⁴² იხ.: სქოლიო 95, გვ. 405.

¹⁴³ იხ.: იქვე.

¹⁴⁴ იხ.: სქოლიო 120, გვ. 82.

¹⁴⁵ იხ.: იქვე

¹⁴⁶ იხ.: სქოლიო 27, გვ. 215-219.

¹⁴⁷ იხ.: იქვე, გვ. 184.

¹⁴⁸ იხ.: Arbor. A, (2011) *Successes and Failures in International Human Trafficking Law*, Michigan Journal of International Law. Vol 33. N 37, გვ. 41.

თავისუფლებისა და ინფორმაციის შეზღუდვა; ნდობის ბოროტად გამოყენება; მოტყუება.

საერთაშორისო დოკუმენტების, ასევე მრავალი მსჯელობის და თეორიის განხილვის შემდეგ, სახელმწიფოთა მიერ ფაქტობრივად აღიარებული იქნა რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული აუცილებლად სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობით უნდა იქნას დასჯადი, რომ აუცილებელია მოხდეს მისი კრიმინალიზაცია.¹⁴⁹ რაც შეეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიურ ასპექტს, კრიმინოლოგები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგ პრინციპებს აყალიბებენ: ა) ადამიანით მოვაჭრეთა დასჯა: სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ის გარემოება რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პროცესში შესაძლოა დამნაშავეთა სამყაროსთან ერთად ჩართული იყოს პოლიტიკური თანამდებობის პირებიც, რომლებიც დაუსჯელი არ უნდა დარჩნენ¹⁵⁰, ბ) ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), როგორც ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შელახვა: აუცილებელია სახელმწიფოთა მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის/პრობლემის სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად განხილვა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, ასევე სახელმწიფოს თანამშრომლობა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან¹⁵¹, გ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის დისკრიმინაციისაგან დაცვა მისი სტატუსის გამო: აუცილებელია სახელმწიფოთა მიერ შესაბამისი ზომების გატარება იმისათვის რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი მორალური ან სოციალური დისკრიმინაციის ობიექტი არ გახდეს¹⁵², დ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვა, ასევე იურიდიული და სხვა მომსახურების უზრუნველყოფა¹⁵³ და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა¹⁵⁴.

2.4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კანონმდებლობის ანალიზი სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე

ყველა სახელმწიფოს მოვალეობაა უზრუნველყოს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, მათ შორის იმ ადამიანთა უფლებების დაცვა, რომლებიც განიცდიან ექსპლუატაციას და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი არიან¹⁵⁵. სახელმწიფოთათვის პრიორიტეტული უნდა იყოს დაიცვას ადამიანის

¹⁴⁹ იხ.: სქოლიო 84, გვ. 63.

¹⁵⁰ იხ.: იქვე

¹⁵¹ იხ.: იქვე

¹⁵² იხ.: სქოლიო 79, გვ. 195.

¹⁵³ იხ.: იქვე

¹⁵⁴ იხ.: იქვე

¹⁵⁵ იხ.: სქოლიო 148, გვ. 43.

სიცოცხლის უფლება, თავისუფალი გადაადგილების უფლება, პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის, პატივისა და ღირსების დაცვა და სხვა უფლებები, რომელთა დარღვევა თითქმის გარდაუვალია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დროს.

საინტერესოა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის განხილვა, ზემოაღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტების პრინციპების და მოთხოვნების ასახვის ასპექტში. სხვადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო პრაქტიკის განხილვა, ასევე, იძლევა ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული და გასათვალისწინებელი საკითხების ანალიზის შესაძლებლობას.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრობლემასთან მიმართებაში ქვეყნები იყოფიან სამ კატეგორიად- წარმოშობის, დანიშნულების (მიმღებ) და ტრანზიტულ ქვეყნებად¹⁵⁶. წარმოშობის სახელმწიფოდ ითვლება ქვეყანა, რომლის მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები პირი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გახდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი; დანიშნულების (მიმღებ) სახელმწიფოდ ითვლება ის ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის ექსპლუატაცია; ტრანზიტულ სახელმწიფოდ ითვლება ის ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზე გავლითაც განხორციელდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემადგენელი ქმედებები.¹⁵⁷ აქვე უნდა აღინიშნოს რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ტრანსნაციონალური ბუნებიდან გამომდინარე, ზოგიერთი ქვეყანა, საქართველოს ჩათვლით, შეიძლება იყოს წარმოშობის, სატრანზიტო და მიმღები ქვეყანაც.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის და სახელმწიფოთა მიდგომების მეტნაკლებად სრულყოფილად წარმოდგენისათვის, უმჯობესი იქნება სხვა ქვეყნების კანონმდებლობის მოკლე განხილვა ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით. დანიშნულების (მიმღები) ქვეყნების კატეგორიაში განვიხილოთ ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, ავსტრიის, პოლანდიის, იტალიის, შვედეთის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ისრაელის, დანიის, პორტუგალიისა და თურქეთის კანონმდებლობა. წარმოშობის ქვეყნების კატეგორიაში შევხებით რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, მოლდოვასა და ავსტრალიის კანონმდებლობას, ხოლო სატრანზიტო ქვეყნებიდან განვიხილავთ ბულგარეთის, პოლონეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის კანონმდებლობას.

2.4.1.1. დანიშნულების (მიმღები) ქვეყნები

დანიშნულების (მიმღებ) ქვეყანათა ტოპ ათეულს განეკუთვნება ამერიკის შეერთებული შტატები.¹⁵⁸ შესაბამისად, დანიშნულების (მიმღები) ქვეყნების კანონმდებლობათა შორის ერთ-ერთ, ყველაზე დახვეწილ

¹⁵⁶ იხ.: სქოლიო 48, გვ. 3.

¹⁵⁷ იხ.: იქვე

¹⁵⁸ იხ.: Herburn.S., Simon.R.J. (2013) *Human Trafficking Around the World*, გვ. 14.

კანონმდებლობად ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა ითვლება¹⁵⁹. შეერთებული შტატების ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი დოკუმენტია ფედერალური კანონი თეთრი მონობის შესახებ¹⁶⁰. 2000 წელს, შეერთებულ შტატებში მიღებული იქნა ტრეფიკინგის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის აქტი (*შემდგომში – აქტი*)¹⁶¹, რომლითაც სახელმწიფომ აღიარა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მიმართ ადამიანის უფლებათა დარღვევები და სახელმწიფოს მიერ მათი დახმარების ვალდებულება. აქტი კრძალავს ადამიანთ ვაჭრობას (ტრეფიკინგს) და აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის ითვალისწინებს საკმაოდ მაღალ სანქციებს დამნაშავეთა მიმართ (20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან უვადო პატიმრობაც, თუ ტრეფიკინგის დანაშაულს შედეგად მოყვა სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი). ამავე აქტით გათვალისწინებულია ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სამართალდამცავებთან თანამშრომლობის შემთხვევაში მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გამოყენება, მათ შორის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე დროებითი ცხოვრების უფლება (თუმცა სამი წლის შემდეგ შესაძლებელია მუდმივი საცხოვრებლის მოთხოვნა)¹⁶². ზემოხსენებული აქტი საინტერესოა რეკომენდაციების თვალსაზრისით, რომლის მიხედვით, შეერთებული შტატების კანონმდებლობაში გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1) სისხლისსამართლებრივი დევნა, იმ პირთა პასუხისმგებლობის დაწესება და სანქციების გამკაცრება, რომელთა მიერ დანაშაულებრივი განზრახვით ქვეყნის ტერიტორიაზე შეყვანილი ადამიანები ჩაყენებული იქნენ მონურ მდგომარეობაში, მოხდა სექსბიზნესში არასრულწლოვანთა ჩართვა, მსხვერპლთათვის დოკუმენტების ჩამორთმევა და განადგურება, მათთვის გადაადგილების, ინფორმაციის თავისუფლების აკრძალვა.¹⁶³ 2) სპეციალური ფონდის შექმნა, სადაც მიემართება ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მუხლით გასამართლებულ პირთა კონფისკირებული ქონება და რომელიც მოხმარდება ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა რეაბილიტაციას. აქტი ასევე ითვალისწინებს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი ქალებისათვის არალეგალური იმიგრანტების სტატუსით ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენის შესაძლებლობას, საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვების სტადიებზე მათი მონაწილეობის მიზნით. 3) მსხვერპლის სტატუსი და მისი დაცვა, რომელიც რამდენიმე მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. სტატუსის მისაღებად პირი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შეფასებული უნდა იყოს როგორც მსხვერპლი და როგორც პროტენციური მოწმე სასამართლო პროცესზე, ქვეყნის ტერიტორიაზე ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შედეგად უნდა იმყოფებოდეს, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაზე თანახმა იყოს, სამშობლოში დაბრუნებისას საფრთხე

¹⁵⁹ *ib.*: Mattar.M. (2011) *Interpreting Judicial Interpretations of the Criminal Statutes of the Trafficking Victims Protection Act: Ten Years Later*, Journal of Gender, Social Policy and the Law, გვ. 1250.

¹⁶⁰ *ib.*: სქოლიო 27, გვ. 57.

¹⁶¹ *ib.*: იქვე, გვ. 60.

¹⁶² *ib.*: სქოლიო 159, გვ. 1253-1255.

¹⁶³ *ib.*: იქვე

უნდა ემუქრებოდეს. ასეთი პირობების არსებობისას, მსხვერპლს სტატუსთან ერთად მიენიჭება ქვეყნის ტერიტორიაზე დროებით ბინადრობის უფლება, რაც ამავედროულად ქვეყნის ტერიტორიაზე მსხვერპლის მუშაობის უფლებასაც ნიშნავს.¹⁶⁴ აქტში ყურადღება გამახვილებულია მსხვერპლის ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაზე, აგრეთვე სასამართლო პროცესში მისი სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზნით ადვოკატირების უფლებაზე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას პიროვნების და ვინაობის საიდუმლოდ შენახვაზე მთელი პროცესის განმავლობაში, სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმირებულობაზე, რაც მოიცავს ინფორმაციას ბრალდებულის, ბრალდების არსის, მსჯავრდებულისთვის სასჯელის ზომის განსაზღვრის ან დამნაშავეის გათავისუფლების შესახებ.¹⁶⁵ აღნიშნულ უფლებებთან ერთად, მნიშვნელოვანია მსხვერპლთა დახმარებისა და ზიანის ანაზღაურების უფლება, რაც გულისხმობს სასამართლოს მიერ ბრალდებულის მიმართ მსხვერპლის სასარგებლოდ არამართო მიყენებული ზიანის სრული ოდენობით გადახდის დაკისრებას, ასევე იმ ხელფასის ანაზღაურების გადახდაც, რაც მისი გაწეული სამუშაოსთვის უნდა გადახდილიყო. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა სრულყოფილი არც შეერთებული შტატების კანონმდებლობითაა, რაც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის კიდევ უფრო დახვეწას მოითხოვს¹⁶⁶.

ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაცია მოხდა **ბელგიაა**. სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა შესაბამისი მუხლები, რითაც მოხდა სქესობრივი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ვაჭრობის კრიმინალიზაცია. 1995 წელს მიღებული იქნა კანონი „ადამიანთა ტრეფიკინგისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ“. გარდა ამისა, იმიგრაციის კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულად ჩაითვლება ძალადობით, მუქარით, იძულებით ან მოტყუებით სხვა ქვეყნის მოქალაქის ბელგიის ტერიტორიაზე შეყვანა, ასევე, პირის უმწეობის გამოყენება რომელიც გამოწვეულია ქმედუნარობით, ავადმყოფობით ან ქვეყანაში მსხვერპლის არალეგალურად ყოფნის გამო.¹⁶⁷ ბელგიის კანონმდებლობით დასჯადია უცხო ქვეყნის მოქალაქის უმწეობის მდგომარეობის გამოყენებით მისი გაყიდვა, გაქირავება ან უკანონო შემოსავლების მიღების მიზნით სხვა საქმიანობის განხორციელება¹⁶⁸. მსხვერპლთა დაცვის აპრობირებული ფორმაა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობისათვის მოსაფიქრებელი ვადის პერიოდი მსხვერპლთათვის, რომელიც ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით, მათ შორის ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობითაც არის აღიარებული. ბელგიის კანონმდებლობა ამ მხრივ ყველაზე ლიბერალურია და მოსაფიქრებელი ვადის პერიოდის ხანგრძლიობა

¹⁶⁴ იხ.: სქოლიო 48, გვ. 12.
¹⁶⁵ იხ.: იქვე
¹⁶⁶ იხ.: სქოლიო 23, გვ. 37-38.
¹⁶⁷ იხ.: იქვე
¹⁶⁸ იხ.: იქვე

შეადგენს 45 დღეს, განსხვავებით შეერთებული შტატებისაგან, სადაც მოსაფიქრებელი ვადის პერიოდი განისაზღვრება 24 საათით.¹⁶⁹ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი ბელგიაშიც დროებითი ბინადრობის უფლებით სარგებლობს, თუმცა, თუ მსხვერპლის სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად მიიღწა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ჩამდენ პირთა დასჯა, ასეთ შემთხვევებში მსხვერპლზე გაიცემა მუდმივი ბინადრობის მოწმობა. პროსტიტუცია ბელგიაში აკრძალული და დასჯადი არ არის, თუმცა ისჯება მეძავთა ექსპლუატაცია და სუტენირობა.

საინტერესოა ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 217-ე მუხლის მიხედვით ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ითვლება სისხლის სამართლის წესით დასჯად დანაშაულად და ადამიანით ვაჭრობად (ტრეფიკინგად) ჩაითვლება ქალთა გადაბირება და არასწორად ინფორმირება სამუშაოსა და ანაზღაურების შესახებ, მაიდენტიფიცირებელი საბუთების ჩამორთმევა, შანტაჟი, შეურაცხყოფა, ცემა, ძალადობა, ანაზღაურების წართმევა, იძულებით დაკავება¹⁷⁰. ავსტრიული კანონმდებლობა აღიარებს ზემოთგანხილულ საერთაშორისო დოკუმენტებით დამკვიდრებულ პრინციპს და თვლის, რომ მსხვერპლის თანხმობას მნიშვნელობა არ ენიჭება, უფრო კონკრეტულად, ქალი მოატყუეს თუ თანახმა იყო პროსტიტუციაში მისი ჩართვის შესახებ, მნიშვნელობა არ აქვს.

ჰოლანდიის კანონმდებლობით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დეფინიცია მხოლოდ სექსუალურ ექსპლუატაციას მოიცავს, რაც მას არსებითად განასხვავებს პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიციისაგან. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი აქაც განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობს და შეუძლია მიიღოს დახმარება სახელმწიფოსაგან, რაც გამოიხატება სოციალურ, ფინანსურ, სამედიცინო, ფსიქოლოგიურ დახმარებაში, საცხოვრებელი უფლებით უზრუნველყოფაში, თუ ისინი სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას გადაწყვეტენ და გამოძიებაში და სასამართლო განხილვაში მიიღებენ მონაწილეობას.¹⁷¹

იტალია ითვლება როგორც დანიშნულების (მიმღებ), ასევე სატრანზიტო ქვეყნად ალბანეთის, ბულგარეთის, ჩინეთის, მოლდოვას, რუმინეთის, რუსეთის, უკრაინის, უზბეკეთის ქვეყნებიდან ჩაყვანილი მოსახლეობისათვის.¹⁷² იტალიის კანონმდებლობით აკრძალულია ადამიანით ვაჭრობა, ქალების ჩაბმა პროსტიტუციაში, მეძავის ექსპლუატაცია ან იძულებით ტრანსპორტირება ერთი ქვეყნიდან მეორეში სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით. იტალიის კანონმდებლობა მოსაფიქრებელი ვადის პერიოდს არ ითვალისწინებს. თუ მსხვერპლი გადაწყვეტს სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას, იგი იღებს დროებითი ცხოვრების უფლებას და

¹⁶⁹ იხ.: სქოლიო 95, გვ. 404.

¹⁷⁰ იხ.: სქოლიო 27, გვ. 230-235.

¹⁷¹ იხ.: იქვე, გვ. 237.

¹⁷² იხ.: სქოლიო 158, გვ. 175.

ერთგვება მსხვერპლთა დაცვის სპეციალურ პროგრამაში. დროებითი ცხოვრების უფლება მუდმივით შესაძლოა შეიცვალოს მაშინ, თუ მსხვერპლმა გაიარა რეინტეგრაციის პროგრამა, აქვს სამსახური და შეუძლია საკუთარი საჭიროებების უზრუნველყოფა, თუმცა პროგრამა ავტომატურად შეწყდება მსხვერპლის მიერ პროსტიტუციის დაწყების შემთხვევაში.¹⁷³ თუ მსხვერპლის სიცოცხლეს ადამიანით მოვაჭრის მხრიდან საფრთხე ემუქრება, დასაშვებია სასამართლო პროცესზე მისი ჩვენებების წერილობითი ან ვიდეოჩანაწერის სახით წარდგენა. იტალიის კანონმდებლობით პროსტიტუცია ლეგალურია, აკრძალულია პროსტიტუციაში ჩათრევა, პროსტიტუციის ფარული ორგანიზება, კლიენტთა მოსაზიდად მიმართული საქმიანობა და სხვ.¹⁷⁴

შვედეთის კანონმდებლობით ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი დანაშაულია და გულისხმობს ქალთა სექსუალურ ექსპლუატაციას, ასევე პროსტიტუციაში ჩათრევა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე.¹⁷⁵ ზემოთ განხილულ სხვა ქვეყნების კანონმდებლობის მსგავსად, შვედეთის კანონმდებლობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ ქალებს, სამართალდამცავ ორგანოებთან თანაშრომლობის შემთხვევაში, უფლებას ანიჭებს მიიღოს დახმარება და თავშესაფარი.

იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი იმ თავისებურებითაა საინტერესო, რომ კრძალავს იაპონელ ქალთა ტრეფიკინგს ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ასევე იმ შემთხვევებს, როცა დანაშაული ქვეყნის საზღვრებს გარეთაა დაწყებული და იაპონიის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის ექსპლუატაციის მიზნით შეყვანით დასრულდა. ჩვენთვის უფრო საინტერესოა 1956 წლის კანონი, რომლითაც აიკრძალა მეძაობა და კანონი მეძავეთან დაკავშირებულ მამაკაცსაც ისევე სჯის, როგორც მეძავს.¹⁷⁶ კანონით განსაზღვრულია მეძავთა რეაბილიტაციის შესაძლებლობა და გულისხმობს მეძავთა ექსთვიანი მეთვალყურეობის ქვეშ მოთავსებას.¹⁷⁷

დიდ ბრიტანეთში მოქმედებს კანონები, რომლითაც დასჯადია მოტაცება, ძალადობა, სუტენიურობა, ქვეყანაში არალეგალურად შესვლის და დარჩენის ხელშეწყობა.¹⁷⁸ ასევე, დიდ ბრიტანეთში 1956 წელს მიღებული იქნა კანონი სექსუალურ დანაშაულთა შესახებ, რომლითაც დასჯადია პროსტიტუციის გზით შემოსავლის მიღება და მეძავთა დაშინება მათი გაკონტროლების მიზნით.¹⁷⁹ კანონმდებლობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ არალეგალურად მყოფი

¹⁷³ იხ.: იქვე, გვ. 181.

¹⁷⁴ იხ.: იქვე

¹⁷⁵ იხ.: Waltmen, M. (2011) *Prohibiting Sex Purchasing and Ending Trafficking: The Swedish Prostitution Law*, Michigan Journal of International Law, Vol 33. გვ. 135-137.

¹⁷⁶ იხ.: სქოლიო 148, გვ. 53.

¹⁷⁷ იხ.: იქვე

¹⁷⁸ იხ.: Mandel, J. (2012) *Out of Sight, out of Mind: The Lax and Underutilized Prosecution of Sex Trafficking in the United Kingdom and Israel*, Tulane Journal of International and Comparative Law, N21. გვ. 207-210.

¹⁷⁹ იხ.: იქვე

ქალების დეპორტაცია 48 საათში ხდება, ხოლო თუ სამართალწარმოების ინტერესიდან გამომდინარე მათი დარჩენის საჭიროება დგას, ასეთ შემთხვევებში მათ „ცხოვრების განსაკუთრებული უფლება“ უნდა მიენიჭოთ.¹⁸⁰

გერმანიის კანონმდებლობით კრიმინალიზებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული და სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 181-ე მუხლები მაღალ სანქციებს ითვალისწინებს აღნიშნული დანაშაულისათვის¹⁸¹. გერმანიის კანონმდებლობა ასევე ცნობილია იმით, რომ ქვეყანაში შექმნილია მსხვერპლთა დაცვის სპეციალური სერვისები, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ დახმარებას და უსაფრთხო საცხოვრებელს. მსხვერპლს შეუძლია 4 კვირის განმავლობაში ისარგებლოს მოსაფიქრებელი ვადით, თუმცა ეს ვადა შესაძლოა გაიზარდოს 3 თვემდე, ხოლო თუ მსხვერპლი სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას გადაწყვეტს, მას ეძლევა ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის უფლება სამართალწარმოების დასრულებამდე. მსხვერპლის თავის ქვეყანაში დაბრუნებისას, მასზე რეალური საფრთხის არსებობის შემთხვევაში, მსხვერპლს შეუძლია მოითხოვოს გერმანიის ტერიტორიაზე უფრო ხანგრძლივად დარჩენის უფლება.¹⁸²

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული დასჯადია ასევე **ისრაელის** კანონმდებლობით. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის მიერ პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმი ხელმოწერილი იქნა 2001 წელს, ისრაელის მიერ მისი რატიფიცირება მხოლოდ 2008 წელს მოხდა.¹⁸³ ამავე წელს, კნესეტის მიერ, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ცვლილებით, მოხდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაცია¹⁸⁴. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დასჯადია ძალადობა, სექსუალური ექსპლუატაცია და ტრეფიკინგი. ისრაელის კანონმდებლობით დაცულია მსხვერპლის უფლებები სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობისას.¹⁸⁵

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) სისხლის სამართლის კანონმდებლობით შემდგენილია ჩამოყალიბებული სხვა ქვეყნებში, რომლებიც დანიშნულების (მიმღებ) ქვეყნების კატეგორიას ეკუთვნის: **დანიის** სადაც სპეციალური კანონი არ არსებობს, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია საზღვარზე ადამიანების უკანონო გადაყვანა, სუტენიორობა და პროსტიტუციაში იძულებითი ჩაბმა აკრძალულია, ისჯება ორგანიზებული პროსტიტუცია, ასევე, დანაშაულად ითვლება 18 წელს მიუღწეველი პირის სექსუალური მომსახურებით სარგებლობა.¹⁸⁶ **პორტუგალიის** სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დასჯადია ქალთა ტრეფიკინგი. პროსტიტუცია აკრძალული არ

¹⁸⁰ იხ.: იქვე

¹⁸¹ იხ.: სქოლიო 79, გვ. 203.

¹⁸² იხ.: იქვე

¹⁸³ იხ.: სქოლიო 178, გვ. 220-221.

¹⁸⁴ იხ.: იქვე

¹⁸⁵ იხ.: სქოლიო 158, გვ. 94-103.

¹⁸⁶ იხ.: იქვე

არის, თუმცა აკრძალულია მეძავთა ექსპლუატაცია, მისი ორგანიზება, ან პროსტიტუციაში ჩართვა.¹⁸⁷

საქართველოს მოქალაქეებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ყველაზე ხშირად **თურქეთის სახელმწიფოში** ხდება, სადაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის და მასთან ბრძოლის წინააღმდეგ სპეციალური კანონმდებლობა არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ 2000 წელს, თურქეთმა ხელი მოაწერა პალერმოს კონვენციის დამატებით ოქმს „ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“. 2002 წელს თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნა ცვლილებები და დამატებები, რომლის მიხედვითაც ადამიანით ვაჭრობისათვის (ტრეფიკინგისთვის) მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული. თურქეთის კანონმდებლობის მიხედვით, პროსტიტუცია ლეგალიზებულია შესაბამისი პირობების და წესების დაცვით, რაც გულისხმობს მეძავთა სავალდებულო რეგისტრაციას და რეგულარულ სამედიცინო შემოწმების გაწვას, თუმცა ლეგალიზაცია არ ვრცელდება უცხოეთის მოქალაქეებზე. თურქეთის საპასპორტო კოდექსის თანახმად, ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა აკრძალულია იმ პირთათვის, რომლებიც მანამდე ადამიანით ვაჭრობაში (ტრეფიკინგში) და პროსტიტუციაში იყვნენ მხილებული. პროსტიტუციაში ჩაბმა და სექსუალური ექსპლუატაცია იკრძალება სისხლის სამართლის კოდექსით და ორგანიზებულ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობით.¹⁸⁸

2.4.1.2. წარმოშობის ქვეყნები

წარმოშობის ქვეყნებს, სხვაგვარად მიმწოდებელ, დონორ ქვეყნებსაც უწოდებენ¹⁸⁹. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მასშტაბი სახელმწიფოებს აიძულებს შეიმუშაონ სრულყოფილი კანონმდებლობა, თუმცა კანონმდებლობათა შესწავლის შედეგად ქვეყნების, განსაკუთრებით წარმოშობის ქვეყნების კანონმდებლობები, არ შეიძლება შეფასდეს როგორც სრულყოფილი. ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება წარმოდგენილია კანონმდებლობის დახვეწის გარეშე. წარმოშობის ქვეყნებისათვის კი განსაკუთრებით აქტუალურია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის სრული სიმკაცრით ფორმირება და შესაბამისად, კანონმდებლობის შემუშავება და მისი იმპლემენტაცია. ინტერესმოკლებული არ იქნება ეს პრობლემა განხილული იქნას რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე.

რუსეთის ფედერაცია ითვლება როგორც დანიშნულების, ასევე სატრანზიტო ქვეყნად შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლთათვის.¹⁹⁰ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა თავისუფლების უკანონო

¹⁸⁷ იხ.: იქვე

¹⁸⁸ იხ.: სქოლიო 48, გვ. 25-27.

¹⁸⁹ იხ.: სქოლიო 23, გვ. 28.

¹⁹⁰ იხ.: სქოლიო 158, გვ. 396-397.

ადკვეთისათვის, ადამიანთა გატაცებისათვის, არასრულწლოვნით ვაჭრობისათვის, პროსტიტუციაში შანტაჟით ან მუქარის გზით ჩათრევისათვის, თუმცა აღნიშნული მუხლების გამოყენება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ადკვეთის მიზნით, ყოველთვის ეფექტური არ არის, ვინაიდან დამნაშავის მოქმედება ყოველთვის არ არის გამოსატყულები მსხვერპლის მიმართ ძალადობაში. დამნაშავეთა მიერ უფრო ხშირად ხდება ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორცაა ფსიქოლოგიური ზემოქმედება, მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების ჩამორთმევა, პოლიციისათვის ჩაბარების მუქარა, რისიც ძალიან ხშირად ეშინია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, რადგანაც თვლის რომ დამნაშავეს პოლიცია მფარველობს.¹⁹¹ ზოგ შემთხვევაში ქვეყნის ტერიტორიაზე არალეგალურად მყოფი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი თანამშრომლობაზე უარს ამბობს დამნაშავის მხრიდან შანტაჟის გამო, რაც მტკიცებულებათა მოპოვებას ერთობ აძნელებს. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლით, ისჯება არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვა ან მის მიმართ ჩადენილი სხვა გარიგება¹⁹², თუმცა აღნიშნული მუხლის არსებობა საკმარისი არაა არასრულწლოვნის ტრეფიკინგისგან დაცულობისთვის, ვინაიდან სუბიექტის განსაზღვრა სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლით გაძნელებულია, ამავე დროს, მკაფიოდ ფორმულირებული არ არის პასუხისმგებლობა გადაბირებასა და ვაჭრობაზე და ადამიანის გადაცემაზე ყიდვა-გაყიდვის მიზნით.

უკრაინის სახელმწიფოს მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაცია მოხდა 1998 წელს. სისხლის სამართლის კოდექსის 149-150-ე მუხლების მიხედვით, დასჯადია ადამიანის სექსუალური და შრომითი ექსპლუატაცია, დანაშაულებრივ ქმედებებში, სავალო კაბალაში ან შეარადებულ კონფლიქტებში ჩაბმა, შვილება ანგარებითი მიზნით. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებათა ჩადენა დასჯადია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.¹⁹³

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან **მოლდოვა** ერთ-ერთ მიმწოდებელ ქვეყნად ითვლება, საიდანაც მსხვერპლთა გადაყვანა ძირითადად გერმანიაში, ისრაელსა და აშშ-ში ხდება.¹⁹⁴ მოლდოვას კანონმდებლობით დასჯადია ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), თუმცა კანონმდებლობის და სანქციების გამკაცრების გარეშე, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა სრულყოფილად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ავსტრალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადია ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), თუმცა ჩვენთვის საინტერესოა სისხლის სამართლის კანონის ის პასაჟი, რომელიც მსხვერპლთა სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას ეხება. ავსტრალიის კანონმდებლობის მიხედვით, მსხვერპლს, თუ იგი იმყოფება ავსტრალიის

¹⁹¹ *იხ. იქვე*, გვ. 197.

¹⁹² *იხ. იქვე*

¹⁹³ *იხ. იქვე*, გვ. 198.

¹⁹⁴ *იხ. იქვე*

საზღვრებს გარეთ, უფლება აქვს საქმის განხილვის პროცესში მონაწილეობა მიიღოს ვიდუო ჩართვის საშუალებით.¹⁹⁵

2.4.1.3. სატრანზიტო ქვეყნები

სატრანზიტო ქვეყნებიდან საინტერესოა ბულგარეთის, პოლონეთისა და ჩეხეთის კანონმდებლობა. **ბულგარეთის** სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადია ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი). პალერმოს კონვენციის დამატებით ოქმში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2002 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომელიც გარდა დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივი დევნისა, ითვალისწინებს მსხვერპლთა დაცვის სისტემის შექმნას, მსხვერპლთა დაცვასა და რეაბილიტაციას, მათ დაცვას დეპორტაციისაგან და მათთვის დროებითი ცხოვრების უფლების მიცემას, მსხვერპლის მიერ სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაზე თანხმობის შემთხვევაში. ამ კატეგორიის მსხვერპლებს აქვთ მუშაობის უფლება.¹⁹⁶ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების შემდეგ, **პოლონეთი** ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიხედვით, მეორე ადგილზეა მსოფლიოში.¹⁹⁷ საინტერესოა პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ის ნიუანსი, რომ სასჯელი ეკისრება არამარტო იმ პირს, ვინც ექსპლუატაციის მიზნით პირი გაიყვანა ქვეყნიდან, არამედ იმ პირ(ებ)საც, ვინც ამ მოქმედებით მატერიალური სარგებელი მიიღო.¹⁹⁸ **ჩეხეთის** სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულია ქალებით ვაჭრობა მათი სექსუალურ ურთიერთობებში ჩართვის მიზნით, ყიდვა, გაყიდვა ან შანტაჟი, ძალადობა. მიუხედავად იმისა, რომ პროსტიტუცია დასჯადი არ არის, ისჯება პროსტიტუციაში ჩართვა ან პროსტიტუციის ორგანიზება. რაც შეეხება მსხვერპლთა დაცვას, ჩეხეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებს, უცხოელ მსხვერპლთა ჩეხეთის ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის უფლებას, სამართალდამცავ ორგანოებთან მათი თანამშრომლობის შემთხვევაში.

ამრიგად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საყოველთაოდ აღიარებული დეფინიციის არსებული სახით ჩამოყალიბებისა და სრულყოფილად გაგებისათვის, განხილული იქნა საერთაშორისო დოკუმენტები მონობიდან - ადამიანით ვაჭრობამდე (ტრეფიკინგამდე) განვითარების ჭრილში. აღნიშნული დოკუმენტები განხილული იქნა თემატურად, შემდეგი თანმიმდევრობით: საერთაშორისო დოკუმენტები მონობის, იძულებითი შრომის და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ. გარდა ამისა, წინამდებარე თავში განხილული იქნა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობათა ანალიზი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ჭრილში ქვეყანათა შემდეგი კატეგორიზაციის მიხედვით: დანიშნულების (მიმღები) ქვეყნები, წარმოშობისა და სატრანზიტო ქვეყნები.

¹⁹⁵ *ob.*: Serave, m., Milojevic, S. (2010) *Auduting the Australian Response to Trafficking*, Current Issues in Criminal Justice, N 22. გვ. 68-70.

¹⁹⁶ *ob.*: *სქოლიო* 79, გვ. 206.

¹⁹⁷ *ob.*: Weitzer, R. (2012) *Sex Trafficking and the Sex Industry: The Need for Evidence-Based Theory and Legislation*, Journal of Criminal Law and Criminology, N101, გვ. 1341-1350.

¹⁹⁸ *ob.*: *იქვე*

თავი მესამე: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სტადიები, ადგილი სისხლის სამართლის სისტემაში

3.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სტადიები

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დახასიათებისას მნიშვნელოვანია შემდეგ გარემოებებზე ყურადღების გამახვილება: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი შეიძლება გახდეს როგორც ქალი, ისე ბავშვიც და მამაკაციც; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი საკმაოდ ხშირად ქალია, რომელთა გამოყენება უმეტესად სექსბიზნესში ხდება¹⁹⁹.

საკმაოდ ხშირად, მრავალ ქვეყანაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული მეძავთა სექსუალურ ექსპლუატაციასთან არის გაიგივებული, რაც, ბუნებრივია, არასწორი შეხედულებაა.²⁰⁰ სახელმწიფოებმა კანონმდებლობა ისე უნდა ჩამოაყალიბონ რომ ზემოაღნიშნული სტერეოტიპისაგან თავისუფალი იყოს. ადამიანით ვაჭრობად (ტრეფიკინგად) მიიჩნევა არა მხოლოდ პროსტიტუციის ან სხვა სახის სექსუალური ექსპლუატაცია, არამედ ყველა სახის იძულებითი შრომა ან მომსახურება, მონობა ან მონობის მსგავსი მდგომარეობა.²⁰¹

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) შესაძლოა, განხორციელდეს როგორც სახელმწიფოთა საზღვრების გადაკვეთით, ისე ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე; შეიძლება იყოს როგორც ტრანსნაციონალური, ისე ლოკალური დანაშაული.²⁰²

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) კომპლექსური პროცესია, რომელიც იწყება ადამიანის გადაბირებით, ხშირ შემთხვევაში შესაძლოა, გაგრძელდეს სხვადასხვა მიმართულებით გადაყვანით და მთავრდება სხვადასხვა ფორმით ექსპლუატაციით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანით მოვაჭრეების მიერ გამოყენებული მეთოდები ხშირად იცვლება, რადგან ისინი ცდილობენ ახალ ტექნოლოგიებთან სწრაფი

¹⁹⁹ *ib.*: Day, K. (2012) *Addressing the Sex Trafficking Crisis: How Prostitution Laws Can Help*, *Creighton International and Comparative Law Journal*, N.2. გვ. 150-152.

²⁰⁰ *ib.*: სულაქველიძე, დ. (2012) *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სასამართლო პრაქტიკის ანალიზი*, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, ავტ. კრებული, გვ. 360-362;

²⁰¹ *ib.*: იქვე

²⁰² *შენიშვნა*: მართალია, გაერთიანებული ერების პალერმოს ოქმი ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ, ე.წ. საზღვრებს შიდა ტრეფიკინგზე პირდაპირ არაფერს ამბობს, მაგრამ მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, კანონმდებლობით ტრეფიკინგი დასჯადია არა მხოლოდ საზღვრის გადაკვეთისას, არამედ ქვეყნის შიგნითაც.

ადაპტირებით მოახდინონ იმ ბარიერების გადალახვა, რაც მათ საქმიანობაში შეიძლება, წარმოიქმნას.²⁰³

3.1.1. გადაბირება - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პირველი სტადია

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სტადიების განხილვისას, გადაბირება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პროცესის პირველ სტადიად ითვლება.²⁰⁴ ამ ეტაპზე ხდება პირთან კონტაქტი მისი ტრეფიკინგის პროცესში ჩართვის მიზნით. ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისათვის ტერმინი „გადაბირება“ მოიცავს არა მხოლოდ ადამიანის სამუშაოდ აყვანას, არამედ სხვა ისეთი ზომების გამოყენებასაც, როგორცაა მოტყუება, მოტაცება, ძალის გამოყენება და სხვა.²⁰⁵ ადამიანით მოვაჭრეთა მეთოდები განსხვავებულია და ყველა ზომის ჩამოთვლა ან წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. გავრცელებულია შემდეგი მეთოდების გამოყენება²⁰⁶: ა) გადაბირება ნაცნობ-მეგობრების საშუალებით; ბ) გადაბირება სარეკლამო განცხადებებით და სააგენტოების გამოყენებით, აგრეთვე ფიქტიური ქორწინებების გამოყენებით; გ) კაფეებში, ბარებში, დისკოთეკებზე, ბაზრებში, ავტოსადგურებში და სხვა ხალხმრავალ ადგილებში სამიზნე პირების შერჩევით და ა.შ. დ) ხშირად მსხვერპლი იცნობს გადაბირებელს, არცთუ იშვიათად ისინი ნათესავებიც კი არიან. ნაცნობობის ან ნათესაობის ფაქტორი წარმოშობს მსხვერპლის ნდობას გადაბირებლის მიმართ.²⁰⁷ გარდა ამისა, გადაბირების მომენტი მნიშვნელოვნად ადვილდება, თუ მსხვერპლს მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა აქვს და დასაქმების შესაძლებლობას უცხოეთში ეძებს. ქალებს, როგორც წესი, სთავაზობენ მაღალანაზღაურებად სამუშაოს საზღვარგარეთის რესტორნებში, სოფლის მეურნეობაში, ბავშვთა და მოხუცთა მოვლის სექტორში და ა.შ.²⁰⁸ ხშირ შემთხვევაში მხოლოდ დანიშნულების ქვეყნებში აშკარავდება ადამიანით მოვაჭრესთან დადებული შეთანხმების სიყალბე და პირი ექსპლუატაციის და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი ხდება. განვითარებად და მძიმე სოციალური მდგომარეობის მქონე ქვეყნებში არცთუ იშვიათია ქალების, განსაკუთრებით ბავშვების გაყიდვის შემთხვევები სახელმწიფო ინსტიტუციების (მაგალითად, ბავშვთა სახლების) მიერ.²⁰⁹ როგორც პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, მსხვერპლი ინფორმირებულია საზღვარგარეთ მისი სამუშაოს შესახებ (მაგალითად პროსტიტუცია), მაგრამ რეალური შრომის პირობები წარმოდგენილისაგან

²⁰³ იხ.: Stoyanova, V. (2011) *Complementary Protection for Victims of Human Trafficking under the European Convention on Human Rights*, Goettingen Journal of International Law, Vol.3. N.2. გვ. 778-780.

²⁰⁴ იხ.: იქვე

²⁰⁵ იხ.: იქვე, გვ. 781

²⁰⁶ იხ.: სქოლიო 68, გვ. 28.

²⁰⁷ იხ.: იქვე

²⁰⁸ იხ.: სქოლიო 203, გვ. 785.

²⁰⁹ იხ.: იქვე

განსხვავებული ხედება. როგორც ზემოთ აღინიშნა, მსხვერპლის თანხმობას მის ექსპლუატაციაზე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ თეორიაში (ქართველ თეორეტიკოსებშიც მათ შორის) არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ამ საკისის მიმართ. ნაწილი თვლის რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა უმეტესობისათვის წინასწარ ცნობილია შეუსაბამო ანაზღაურების, მათი ექსპლუატაციის მიზნის შესახებ²¹⁰, ამიტომ ისინი არ უნდა ჩაითვალოს მსხვერპლად.

გადაბირების მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავს არამარტო აშკარა ძალადობას, აგრეთვე მოტყუებას, რომელიც შეიძლება ნაკლებად მძიმე და მტკივნეულ ფორმებში იყოს გამოხატული.²¹¹ არანაკლებ მნიშვნელოვანია გადაბირების კრიმინალური მეთოდები, რომელთაგანაც აღსანიშნავია შემდეგი: ა) იძულება მოტაცების გამოყენებით; ბ) არასრულწლოვნის ადამიანით მოვაჭრისთვის მიყიდვა, რომელიც ხორციელდება იმ პირის მიერ, რომელიც არასრულწლოვანზე კონტროლს ახორციელებს. გ) მოტყუება ლეგალური შრომის დაპირებით, ექსპლუატაციური პირობების დამალვით; დ) მოტყუება კონტროლირებადი ან იძულებითი ხასიათის შესახებ. გადაბირების მეთოდის შერჩევა მსხვერპლის ტიპაჟის გათვალისწინებით ხდება. არასრულწლოვნით ვაჭრობის შემთხვევაში არ არის აუცილებელი, რომ გადაბირებაში ორგანიზებული ჯგუფი მოქმედებდეს. ხშირად მშობლები ბავშვებს ადამიანით მოვაჭრეებს თავადვე აბარებენ, თუმცა იმ მოტივით, რომ ბავშვის ცხოვრება თითქოსდა გაუმჯობესდება.²¹² ხშირ შემთხვევაში ყოფილი მსხვერპლი გადამბირებლად და ადამიანით მოვაჭრედ თავადვე გვევლინება. ამას ცხადჰყოფს როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევები, ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშებიც.²¹³

3.1.2. გადაყვანა, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სტადია

ამრიგად, ზემოაღნიშნულ მსჯელობაში შევეცადეთ წარმოგვედგინა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პროცესის პირველი, უმნიშვნელოვანესი სტადია – მსხვერპლის გადაბირება, რომელსაც მოსდევს შემდგომი სტადია – მსხვერპლის გადაყვანა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს მსხვერპლის შეფარებას ან მიღებას, ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადაადგილების ჩათვლით. გადაყვანის პროცესი გამოირჩევა იმ სპეციფიკით, რომ სამიზნედ გამხდარ ადამიანებს

²¹⁰ იხ.: დლონტი, გ. (2008) ადამიანის ტრეფიკინგის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი კანონმდებლობის მიხედვით, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი კრიმინოლოგი 2(3), გვ. 127-128.

²¹¹ იხ.: Barnhart, M. (2009) *Sex and Slavery: An Analysis of the Three Models of State Human Trafficking Legislation*, William and Mary Journal of Women and the Law, Vol.16. გვ. 99.

²¹² იხ.: იქვე, გვ. 107-110.

²¹³ იხ.: იქვე

უმეტეს შემთხვევაში უხეშად ელახებათ უფლებები, განიცდიან ფიზიკურ და სხვა სახის შეურაცხყოფას, ადამიანის პატივისა და ღირსებისათვის შეუფერებელ მოპყრობას²¹⁴. (იძულებულნი არიან, იმგზავრონ მანქანის საბარგულით, ფეხით გრძელ და რთულად დასაფარ დისტანციებზე, ან ცურვით და ა.შ.). საკუთარი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ გაყვანის შემთხვევაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მდგომარეობას ხშირად აუარესებს ის გარემოებაც, რომ ხშირ შემთხვევაში, ამ მდგომარეობაში აღმოჩენილ ადამიანს საკუთარი ქვეყნის ტერიტორია მანამდე არასდროს დაუტოვებია, რაც მას, უმეტეს შემთხვევაში ძალაუწიებურად, მთლიანად ადამიანით მოვაჭრეზე დამოკიდებულს ხდის. მსხვერპლის მორჩილების უზრუნველსაყოფად ადამიანით მოვაჭრეები, როგორც წესი, პასპორტებს ითხოვენ.²¹⁵ გადაყვანის, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ეტაპის განხილვისას, როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს პრაქტიკიდან გამომდინარე, დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი მის წინააღმდეგ განხორციელებული მოქმედების გამო განსაკუთრებით დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდება, თუნდაც საკუთარ სამშობლოში. ამ დანაშაულის მსხვერპლი, უცხოეთში არალეგალური მიგრანტის სტატუსით ყოფნის შემთხვევაში, განსაკუთრებით დაუცველი ხდება.²¹⁶ არალეგალის სტატუსის გამო დასჯის შიშით, მსხვერპლი დაცვისათვის პოლიციას იშვიათად მიმართავს, რაც ადამიანით მოვაჭრეს საშუალებას აძლევს, მთლიანად მართოს მსხვერპლი ან მკაცრი კონტროლი განახორციელოს მასზე.

3.1.3. ექსპლუატაცია – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სტადია

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პროცესისათვის მესამე და ბოლო სტადია ექსპლუატაციაა და იგი, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პროცესის მიზანი, ერთ-ერთი განმსაზღვრელი გარემოებაა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის კვალიფიკაციისათვის. საქართველოს კანონმდებლობით საკითხი მცირეოდენი გაფართოებით განიხილება. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პროცესისათვის დამახასიათებელია 3 სტადია: გადაბირება, გადაყვანა და ექსპლუატაცია, რომელსაც ეთანხმება ქართველ მეცნიერთა ნაწილი²¹⁷, თუმცა, ასევე ქართველ მეცნიერთა შორის არსებობს სტადიების მცირეოდენ სხვაგვარად და გაფართოებულად გაგება: პირველი სტადია – მსხვერპლის მოძებნა და მოგროვება, მეორე სტადია – მათი გადაადგილება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ

²¹⁴ იხ.: სქოლიო 84, გვ. 67.

²¹⁵ იხ.: UNMigrant smuggling.

http://www.unodc.org/unodc/en/human-trafficking/smuggling_of_migrants.html

²¹⁶ იხ.: სქოლიო 179, გვ. 1348.

²¹⁷ იხ.: სქოლიო 103, გვ. 205-207.

ტრანზიტით გაყვანა, მესამე – მსხვერპლის მიღება მისი ექსპლუატაციის მიზნით და მეოთხე – მსხვერპლის ექსპლუატაცია.²¹⁸ მივიჩნევთ, რომ სტადიების დაყოფის ამ ორ პოზიციას შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს და ვიზიარებთ პირველ პოზიციას, ვინაიდან ქართველ ექსპერტთა მოსაზრება ექსპლუატაციის მიზანთან დაკავშირებულ ბოლო ორი სტადიას ეხება, თუმცა მიზანს არ ცვლის.

3.2. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმები

3.2.1. სექსუალური და შრომითი ექსპლუატაცია, როგორც ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმები

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მიხედვით, როგორც უკვე აღინიშნა, ექსპლუატაცია მოიცავს პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს პრაქტიკას, ყმობას ან ორგანოების ამოღებას²¹⁹. გამომდინარე აქედან, ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მხოლოდ მსხვერპლთა სექსუალურ ექსპლუატაციას არ ნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ამ ასპექტში განხილვა XXI საუკუნის დასაწყისში ყველაზე გავრცელებული იყო. კვლევების ანალიზისა და გასული წლების აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშების მიხედვით, ეს მიდგომა მნიშვნელოვნად შეიცვალა²²⁰.

დღეისათვის მსოფლიო ადამიანთ ვაჭრობას (ტრეფიკინგს) განიხილავს არა მხოლოდ როგორც მსხვერპლის სექსუალურ ექსპლუატაციას. ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი), განსაკუთრებით არასრულწლოვნთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი), მრავალი მიზნით შეიძლება განხორციელდეს, რომელთა შორის სექსუალურ ექსპლუატაციასთან ერთად ყველაზე გავრცელებულია იძულებითი შრომითი ექსპლუატაცია.²²¹ ხელშემწყობ გარემოებათაგან აღსანიშნავია ის ფაქტორი, რომ იძულებითი შრომა ხშირ შემთხვევაში განიხილება როგორც არალეგალური დასაქმება და ექსპლუატირებულ ადამიანებს ხშირად განიხილავენ როგორც არალეგალურ მიგრანტებს და არა როგორც ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლებს.²²² მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კატეგორიის ადამიანები შრომით რეგულაციების არღვევენ,

²¹⁸ იხ.: თოდუა, ნ. (2012) *ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სისხლისსამართლებრივი დახასიათება და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი*, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, ავტ. კრებული, გვ. 282.

²¹⁹ იხ.: *სქოლიო 3*, მე-3 (ა) მუხლი.

http://www.childtrafficking.org/eng/conventions_end_guidelines/ctoc_palermo_protocol.pdf
[Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, Supplementing the United Nations Convention Against Transnational Organized Crime, UN Convention \(Palermo Protocol\)](http://www.unhcr.org/refugees/pdf/4d499999.pdf)

²²⁰ იხ.: U.S. Government, Assessment of U.S. Government activities to Combat Trafficking in Persons, www.state.gov/civiliansecurityanddemocracy/traffickinginhumanpersons/reports

²²¹ იხ.: Surteest, R. (2006) *Child Trafficking in Southeastern Europe: Different Forms of Trafficking and Alternative Interventions*, 14 Tulane Journal of International and Comparative Law., Vol.14. გვ. 455.

²²² იხ.: *სქოლიო 211*, გვ. 99.

ეს ხდება მათი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სიტუაციაში ყოფნის გამო და ბევრი ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) კანონმდებლობა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს ათავისუფლებს მთელი რიგი დანაშაულებისაგან, თუ ეს დანაშაული ჩადენილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო.²²³

შრომითი ექსპლუატაციის კიდევ ერთი ფორმა, რომელმაც ამ საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი, არის ექსპლუატაცია დიპლომატიური კორპუსის მიერ, სადაც არცთუ იშვიათია შინამოსამსახურეთა შრომითი ექსპლუატაცია.²²⁴ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ფორმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ზოგადი წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს, ვინაიდან გამოხატულია ძირითადად შინა მოსამსახურეობაში და მსხვერპლის ჭარბ ექსპლუატაციაში კერძო რეზიდენციის ფარგლებში. შესაბამისად, ეს ფაქტორი კიდევ უფრო ართულებს მონიტორინგის ეფექტური ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას.

3.2.2. არასრულწლოვნის ექსპლუატაცია, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმა

სექსუალური და შრომითი ექსპლუატაციის ფორმების გარდა, მნიშვნელოვანია შევეხოთ არასრულწლოვნით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), ვინაიდან ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით, არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაცია ცალკე საკანონმდებლო აქტებით განხორციელდა. არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მეთოდებისა და მექანიზმების მიხედვით, პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი არასრულწლოვნის ექსპლუატაციის შემდეგი ფორმები: (ა) შრომითი ექსპლუატაცია, არასრულწლოვანთა შავი შრომის გამოყენება სამრეწველო საწარმოებში, უკიდურესი ექსპლუატაციის პირობებში და სამუშაოს დატოვების ყოველგვარი შესაძლებლობის გარეშე. ამგვარი სიტუაცია განსაკუთრებით მაშინ გამოიყენება, თუ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პროცესში ნათესავეები ან არასრულწლოვნის ახლობლები მონაწილეობენ, ან არასრულწლოვანი მარტოა და ამის გამო დაშინების შესაძლებლობა მეტია; (ბ) მათხოვრობა, როცა მოგების მიზნით ხდება არასრულწლოვანთა დაშინება, შეურაცხყოფა და ამ მეთოდით მათი შრომის გამოყენება; (გ) სექსუალური ექსპლუატაცია, განსაკუთრებით გოგონების (თუმცა, არსებობს ვაჟების სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევებიც).²²⁵ როგორც კვლევები ადასტურებენ, გავრცელებულია ქუჩის პროსტიტუცია, პროსტიტუცია კერძო სახლებსა თუ ღამის

²²³ იხ.: საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 2006 წლის 28 აპრილი № 2944 – I, 15-ე მუხლი.

²²⁴ იხ.: Vanderberg, M. E. & Levy, A. F. (2012) *Human Trafficking and Diplomatic Immunity: Impunity no more?*, *Intercultural Human Rights Law Review*, Vol 77, გვ. 88-89.

²²⁵ იხ.: Crile, S. (2012) *A Minor Conflict: Why The Objectives of Federal Sex Trafficking Legislation Preempt the Enforcement of State Prostitution Law Against Minors*, *American University Law Review*, Vol. 61. გვ. 1787-1790.

კლუბებში, აგრეთვე პედოფილიურ-პორნოგრაფიულ ფილმებში გამოყენება; (დ) არალეგალური გაშვილება ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით.²²⁶

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 32-ე მუხლის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და ხელს უშლიდეს განათლების მიღებაში, ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას“.²²⁷

როგორც პრაქტიკა და ნაშრომში მითითებული კვლევები ცხადყოფს, შრომითი ექსპლუატაციის გავრცელებული ფორმაა სოფლის მეურნეობაში, სამშენებლო სექტორში დასაქმება, აგრეთვე გავრცელებულია დასაქმება მსუბუქ მრეწველობაში, სადაც არასრულწლოვნებს იძულებენ უმძიმეს და ექსპლუატაციურ პირობებში შრომას.²²⁸ არასრულწლოვანთა გამოყენება ხდება აგრეთვე ისეთ გავრცელებულ ბიზნესში, როგორცაა ქუჩის მათხოვრობა.²²⁹ ასეთ შემთხვევებში არცთუ იშვიათია არასრულწლოვანთა დასახიჩრება თანაგრძნობისა და სიბრალულის გამოწვევის მიზნით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, გამორიცხული არ არის იძულებითი შრომის მსხვერპლი სექსუალური ძალადობის მსხვერპლიც გახდეს.²³⁰ პრაქტიკამ ასევე გამოავლინა რომ მათხოვრობისას უნდა განვასხვავოთ მათხოვრობა „ნებაყოფლობით“, მათხოვრობის იძულებითი ფორმისაგან. ე.წ. ნებაყოფლობითი მათხოვრობისას, ამ საქმიანობაში მთელი ოჯახია ჩართული ბავშვების ჩათვლით, რაც ოჯახის მძიმე სოციალური მდგომარეობით არის გამოწვეული და ამ ბავშვის შრომას ოჯახის სპეციფიკური მდგომარეობა განაპირობებს.²³¹ რაც შეეხება არასრულწლოვანთა იძულებით მათხოვრობას, ამ ფორმის გამოყენებით არასრულწლოვანს ავალდებულებენ, იმათხოვროს იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც მისი ოჯახის წევრები არ არიან და არასრულწლოვნისაგან მთელ თანხას ითვისებენ. ამ ტიპის მათხოვრობის გამოყენება პირველად დაიწყო იტალიაში, 1980-იან წლებში სლავური წარმოშობის ბავშვების გამოყენებით.²³² შემდგომში მასშტაბი გაფართოვდა და ახლა აღბანელ, მაროკოელ არასრულწლოვნებსაც მოიცავს. აღბანელებს ძირითადად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები აკონტროლებენ.²³³ იტალიაში არასრულწლოვან უცხოელ მათხოვართა რიცხვი 8000 შეადგენს.²³⁴ განსაკუთრებით გავრცელებულია

²²⁶ იხ.: სქოლიო 23, გვ. 30.

²²⁷ იხ.: გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ, 32-ე მუხლი,

http://childtrafficking.org/eng/conventions_and_guidelines/convention_on_the_rights_of_the_child.pdf

²²⁸ იხ.: სქოლიო 225, გვ. 1787-1790.

²²⁹ იხ.: სქოლიო 199, გვ. 205.

²³⁰ იხ.: სქოლიო 26, გვ. 138-140.

²³¹ იხ.: იქვე

²³² იხ.: სქოლიო 225, გვ. 33-34.

²³³ იხ.: სქოლიო 220, გვ. 11.

²³⁴ იხ.: იქვე

არასრულწლოვანის გამოყენება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ისეთი ფორმისას, როგორცაა ჯიბის ქურდობა და სხვა წვრილმანი დანაშაულები. კვლევები ადასტურებენ, რომ გავრცელებულია ბოშა არასრულწლოვანთა გამოყენება ფულის მოპარვისათვის. არასრულწლოვანთა გამოყენება ასევე ხშირია ნარკოვაჭრობასა და ნარკოტიკების გადატანაში. ბოლო დროს, ასევე შეინიშნება კიდევ ერთი ისეთი ტენდენცია, როგორცაა ტრეფიკინგი სპორტში.²³⁵ კვლევების მიხედვით, ყოველწლიურად მსოფლიოში მილიონზე მეტი ბავშვი ხდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, ხოლო აქედან 80 % გოგონებია.²³⁶ ადამიანით ვაჭრობის ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა მეტად რთულია, ვინაიდან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ერთგვაროვანი გაგება და მეთოდოლოგია არ არსებობს²³⁷.

ზემოაღნიშნულ და განხილულ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საგანგაშოა არასრულწლოვანის სექსუალური ექსპლუატაცია. ექსპლუატაციის ამ გავრცელებულ ფორმას თან ახლავს მსხვერპლის მიმართ ძალადობა, შეურაცხყოფა, სასტიკი დამოკიდებულება და მოპყრობა.²³⁸ არასრულწლოვანთა სექსუალური ექსპლუატაცია განსაკუთრებით მომგებიანი ბიზნესია განვითარებად ქვეყნებში. არასრულწლოვანთა პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით ექსპლუატაციისას შემდეგ ოთხ ფაზას გამოყოფენ: (ა) მსხვერპლთა გადაბირება მათი წარმოშობის ქვეყნებში; (ბ) მსხვერპლთა გადაყვანა დანიშნულების ქვეყანაში; (გ) ექსპლუატაცია; (დ) მსხვერპლთა გაქცევის მცდელობა (რაც არცთუ ისე იშვიათია და სწორედ ამ დამახასიათებელი გარემოების გამო იქნა ცალკე ფაზად აღიარებული).²³⁹ არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული ჩამოთვლილი ფაზები, განსაკუთრებით კი პირველი ფაზა, სრულწლოვანი მსხვერპლის მიმართ განხორციელებული ქმედების იდენტიურია, თუმცა არსებობს თავისებურებებიც. დანიშნულების ადგილას ჩასვლისას მსხვერპლი გოგონები ხვდებიან ადამიანით მოვაჭრეთა სრულ მფლობელობაში, რომლებიც მათზე ძალადობის და შეურაცხყოფის გამოყენებით ახერხებენ მათ დაყოფილებას და დამორჩილებას. გოგონებს აიძულებენ დამალონ რეალური ასაკი. პოლიციის მიერ მათი დაპატიმრების შემთხვევაში, არასრულწლოვანის იდენტიფიცირება საკმაოდ გართულებულია.²⁴⁰ ქალებისგან განსხვავებით, რომელთა გამოყენება მეძავებად ხდება ქუჩებში, კლუბებსა და შედარებით ღია ადგილებში, არასრულწლოვანი გოგონების სექსუალური ექსპლუატაცია დახურულ ადგილებში ხდება, რაც პოლიციის ან შესაბამისი სამსახურის მიერ მათი აღმოჩენის შესაძლებლობას კიდევ უფრო ამცირებს. დოკუმენტების არმქონე არასრულწლოვანი ხშირად ერთი ადგილიდან მეორეში გადაჰყავთ და ასეთი მობილურობის მიზანი პოლიციისგან

²³⁵ იხ.: იქვე, გვ. 35.

²³⁶ იხ.: სქოლიო 103, გვ. 392.

²³⁷ იხ.: იქვე

²³⁸ იხ.: სქოლიო 225, გვ. 1787-1790.

²³⁹ იხ.: იქვე

²⁴⁰ იხ.: სქოლიო 79, გვ. 32-34.

თავის დაცვაა.²⁴¹ ბოლო ფაზად აღიარებული, ე.წ. გაქცევის მცდელობის ეტაპზე არასრულწლოვანი ცდილობს გაექცეს ადამიანით მოვაჭრესა და თავი დააღწიოს ექსპლუატაციას. ზოგ შემთხვევაში არასრულწლოვნებს კლიენტები ეხმარებიან, ან საკუთარი ძალებით ახერხებენ გაქცევას, თუმცა რისკი იმისა, რომ კვლავ ექსპლუატაციურ პირობებსა და გარემოში აღმოჩნდნენ, მაღალია.

ბოლო პერიოდში ასევე შეიმჩნევა არასრულწლოვანთა გამოყენება ნათესავების ან მეურვეთა მიერ შინამოსამსახურებად, რომლის დროსაც მათ ეკრძალებათ თავისუფალი გადაადგილება და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენება, ეზღუდებათ საკვები და ა.შ. ასეთი შემთხვევების დროს ისმება საკითხი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევის თაობაზე. *C.N. და V. საფრანგეთის წინააღმდეგ* საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ²⁴² მსგავსი ხასიათის ქმედებების მიმართ დადგენილი იქნა აღნიშნული კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევა.

3.2.3. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შედარებით უფრო მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც გავრცელებული ფორმაა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით. პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის თანახმად, ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით ადამიანის ყიდვა-გაყიდვა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმას წარმოადგენს. ამასთან, იგი არ არის გათვალისწინებული ევროკავშირის ჩარჩო გადაწყვეტილებით ტრეფიკინგის შესახებ. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციის შენიშვნაში ადამიანით ვაჭრობა ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით მოხსენიებულია როგორც ტრეფიკინგის ფორმა²⁴³.

ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) კიდევ უფრო შეუწყო ხელი მედიცინის განვითარებამ, როცა შესაძლებელი გახდა ოპერაციები ადამიანის მრავალ ორგანოზე – გულზე, თირკმელზე, ღვიძლზე, თვალზე, ძვლის ტვინსა თუ სხვა ორგანოებზე, ასევე, იშვიათი ჯგუფის სისხლით ვაჭრობაზე. დონორობის მიზნით ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) კიდევ უფრო ამწვავებს ადამიანის ორგანოებზე მოთხოვნილების ზრდა²⁴⁴.

²⁴¹ იხ.: მერაბიშვილი, დ. (2009) *ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში*, უერთალი „კომერსანტი“ 1(6), გვ. 97.

²⁴² იხ.: *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე C.N. და V. საფრანგეთის წინააღმდეგ (C.N. and V. v. France) (11.01.2013) European Court of Human Rights, N. 67724/09.*

²⁴³ იხ.: სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლის შენიშვნა:

²⁴⁴ იხ.: ბაძაღუა, მ. (2011) *ადამიანით ვაჭრობა ტრეფიკინგი*, გვ. 57.

ამრიგად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ფორმები შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის შრომითი თუ სექსუალური ექსპლუატაცია, ადამიანებით ვაჭრობა ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით, ასევე არასრულწლოვნით ვაჭრობა განიხილება როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმა.

თავი მეოთხე: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიზანი, ხერხი და საშუალებები საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

4.1. ექსპლუატაცია, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიზანი პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მიხედვით

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიზნად ადამიანის ექსპლუატაცია მიიჩნევა. პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის ნაკლოვანებები და ძლიერი მხარეები ყველაზე თვალსაჩინოა დანაშაულის მიზანთან – ექსპლუატაციასთან მიმართებაში.

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის (ა) ქვეპუნქტის თანახმად „ადამიანის ექსპლუატაცია გულისხმობს ადამიანის პროსტიტუციის ან სხვა სახის სექსუალურ ექსპლუატაციას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობაში ან მონობის მსგავს მდგომარეობაში მყოფებას, სერვიტუტს ან ადამიანის ორგანოთა გადანერგვას“.²⁴⁵

ზემოაღნიშნული თითოეული ტერმინი, გარდა „პროსტიტუციის ან სხვა სახის სექსუალური ექსპლუატაციისა“, საერთაშორისო სამართალში განმარტებულია შემდეგი ფორმით:

იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 29-ე კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „იძულებითი შრომა ან მომსახურება გულისხმობს ნებისმიერ სამუშაოს ან მომსახურებას, რომელიც მიიღწევა პირისაგან რაიმე სასჯელის საფრთხის გამო და რომელზეც პირი საკუთარი სურვილით არ დათანხმდებოდა“.²⁴⁶

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონობის შესახებ კონვენციის პირველი მუხლის პირველი ქვეპუნქტის მიხედვით „მონობა ნიშნავს იმ პირის სტატუსს ან მდგომარეობას, რომლის მიმართაც

²⁴⁵ იხ.: სქოლიო 3, მე-3 (ა) მუხლი.

²⁴⁶ იხ.: სქოლიო 27, გვ. 77-80.

გამოიყენება საკუთრების უფლების შემადგენელი რომელიმე ან ყველა კომპონენტი“.²⁴⁷

მონობის, მონათვაჭრობის და მონობის მსგავსი მდგომარეობისა და პრაქტიკის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების დამატებითი კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით „მონობის მსგავსი მდგომარეობა“ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ცნებებს, როგორცაა სავალო კაბალა ან ყმობა, ქალის გათხოვება ან მასზე უფლების გადაცემა თანხის მიღებით, ქალის მემკვიდრეობით გადაცემა ან ბავშვის გადაცემა ექსპლუატაციის მიზნით.²⁴⁸

ტერმინი „სერვიტუტი“ საერთაშორისო სამართალში პირდაპირ განმარტებული არ არის, მაგრამ იგი მოიცავს მონობის მსგავსი მდგომარეობის მრავალ ელემენტს და შესაბამისად უნდა იქნას გაგებულად.

ტერმინი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვა“, პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მიზნებისათვის გულისხმობს აღნიშნული მიზნით ადამიანის, და არა მისი სხეულის ორგანოთა, ტრანსპორტირებას. ზემოაღნიშნულ ტერმინთა განმარტებების შესაბამისობა საერთაშორისო კანონმდებლობასთან, პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის წარმატებულ მხარედ უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის ნაკლოვან მხარეებს, ტერმინების „ადამიანის პროსტიტუციის ექსპლუატაცია“ და „სხვა სახის სექსუალური ექსპლუატაცია“ შინაარსის შესახებ, პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მონაწილე სახელმწიფოების მიერ შეთანხმება ვერ მიიღწა და აღნიშნული ტერმინები განმარტების გარეშე იქნა დატოვებული. ნაკლოვანება სწორედ იმაშია გამოხატული რომ პროსტიტუციასთან მიმართებაში ქვეყნებს განსხვავებული კანონები და პოლიტიკა აქვთ, თუმცა ხშირია შემთხვევები, როცა ქვეყნებს თავად არ სურთ კანონმდებლობის შეცვლა.²⁴⁹

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ერთი ნაწილი თვლის რომ პროსტიტუციის ნებისმიერი ფორმა, მათ შორის სრულწლოვანთა ნებაყოფლობითი და ლეგალური პროსტიტუცია, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. სახელმწიფოთა მეორე ნაწილი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ პოზიციას და თვლის, რომ ნებაყოფლობითი პროსტიტუცია არ განსხვავდება ნებაყოფლობითი შრომის სხვა ფორმებისაგან.²⁵⁰

შეუთანხმებელმა პოზიციებმა გამოიწვია იმ აზრის წარმოშობა, რომ რამდენადაც იძულებითი სქესობრივი შრომა და ბავშვთა პროსტიტუცია იფარება ისეთი ტერმინებით, როგორცაა იძულებითი

²⁴⁷ იხ.: იქვე

²⁴⁸ იხ.: იქვე

²⁴⁹ იხ.: სქოლიო 48, გვ. 7.

²⁵⁰ იხ.: იქვე

შრომა, მონობა და სერვიტუტი, და რომელთა შესახებ ზემოთ უკვე იქნა აღნიშნული, უმჯობესია სახელმწიფოებმა საერთოდ არ შეიტანონ ტერმინები „სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაცია“ და „სქესობრივი ექსპლუატაცია“ ეროვნულ კანონმდებლობაში, ხოლო თუ მაინც შეიტანენ, მაშინ აუცილებლად უნდა იქნას განმარტებული.²⁵¹ ეს უკანასკნელი პოზიცია გაიზიარეს გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა და ქალის მიმართ ძალადობის საკითხებზე გაერთიანებული ერების სპეციალურმა მომხსენებელმა. მათ მიერ შემოთავაზებულ დეფინიციაში, რომელმაც თითქმის პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიცია გაიმეორა, ზემოაღნიშნული ორი ტერმინის ნაცვლად გამოყენებულია ტერმინები „იძულებითი შრომა“ და „მონობის მსგავსი მდგომარეობა“, როგორც ექსპლუატაციის ყველა სხვა სახის შემცველი.²⁵²

ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ჯგუფმა შეიმუშავა და სახელმწიფოებს შესთავაზა ტერმინთა შემდეგი განმარტება: (ა) „სქესობრივი ექსპლუატაცია“ გულისხმობს პირის ჩაბმას პროსტიტუციაში, სქესობრივ სერვიტუტში ან პორნოგრაფიული მასალის წარმოებაში, მის მიმართ მუქარის, ძალადობის, მოტაცების, იძულების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, სავალო კაბალის ან მოტყუების საშუალებით,²⁵³ (ბ) „სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაცია“ გულისხმობს პირის მიერ ნებისმიერი ფინანსური ან სხვა სახის სარგებლის მიღებას სხვა პირის სექსუალური ექსპლუატაციის მეშვეობით.²⁵⁴

4.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ქმედებები და საშუალებები პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მიხედვით

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიციის მე-2 ნაწილის მიხედვით ქმედებები, რომლებიც ცალკე ან ერთობლიობაში ადამიანის ექსპლუატაციის მიზნით უნდა იქნას განხორციელებული, შემდეგია: ადამიანების გადაბირება, გადაყვანა, გადაცემა, გადამალვა

²⁵¹ იხ.: Jordan, A.(2002), *The Annotated Guide to the Complete UN Trafficking Protocol*, Initiative against Trafficking in Persons, International Human Rights Law Group, გვ. 8.

²⁵² ქალის მიმართ ძალადობის საკითხებზე გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში ადამიანთა ტრეფიკინგი განმარტებულია, როგორც:“ ადამიანთა გადაბირება, გადაყვანა, ყიდვა, გაყიდვა, გადაცემა, გადამალვა ან მიღება:(1) ძალის გამოყენებით ან გამოყენების მუქარით, მოტაცებით, იძულებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალადობით (ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ჩათვლით) ან სავალო კაბალით, (2) ამ პირის ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე იძულებითი შრომის ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენების მიზნით, იმ გარემოში, სადაც აღნიშნული პირი მუდმივად არ ცხოვრობდა მოცემული დანაშაულის ჩადენის დროისათვის”, იხ.: *Special Rapporteur on Violence against Women, Report on Trafficking in Women, Women’s Migration and Violence against Women*, E/CN.4/2000/68, 29 February 2000 (Sec. 13).

²⁵³ იხ.: სქოლიო 48, გვ. 9.

²⁵⁴ იხ.: იქვე

(შეფარება) ან მიღება.²⁵⁵ ჩამოთვლილი ქმედებებიდან საინტერესოა ტერმინ „გადაბირების“ განმარტება, ვინაიდან პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმით გათვალისწინებული ტერმინ “recruitment”-ის მნიშვნელობით გამოიყენება, ხოლო ქართულ ენაში ზოგადად ამ ტერმინის გამოყენებას უფრო ნეგატიური დანიშნულება აქვს. ამიტომ, როცა „გადაბირებას“ ტერმინ “recruitment”-ის მნიშვნელობით ვიყენებთ, უნდა განიმარტოს როგორც ადამიანის დარწმუნება, შეასრულოს გარკვეული სახის სამუშაო ან მომსახურება, ან რაიმე საქმიანობაში მონაწილეობის მიღება.

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციის მე-3 ნაწილში მოცემული საშუალებები შემდეგია: მუქარა, ძალის გამოყენება, იძულება, თაღლითობა, მოტყუება, საკუთარი უფლებამოსილების ან სხვისი უმწეობის ბოროტად გამოყენება, იმ პირისათვის საფასურის მიცემა ან იმ პირის მიერ საფასურის მიღება, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა ადამიანზე.²⁵⁶ საყურადღებოა ტერმინი „სხვისი უმწეობის ბოროტად გამოყენება“ და ამ ტერმინის განმარტება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) შეიძლება ადგილი ჰქონდეს ძალის გამოყენების გარეშე.²⁵⁷ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციით გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი ექსპლუატაციის პირობებში ხვდება მშობლის, ოჯახის წევრის ან ახლობლის ნებით. არსებობს სიტუაციები, როცა არ არსებობს ამ პირთა ნების წინააღმდეგ წასვლის საზოგადოებრივად მისაღები ან სამართლებრივად დასაშვები საშუალებები და ამის გამო მსხვერპლი იძულებულია დაემორჩილოს არსებულ გარემოებებს. ასეთი პირებიც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ითვლებიან.²⁵⁸

აქვე, განმეორებით აღვნიშნავთ, რომ პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის ერთ-ერთ მთავარ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი გარემოება: პალერმოს ოქმის მე-3 მუხლის (ბ) ქვეპუნქტის თანახმად, თუ გამოყენებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ აქვს.²⁵⁹ ბრალდებულს უფლება აქვს თავი დაიცვას, მაგრამ თუ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ელემენტები დამტკიცებულია, დაცვის მხარის არგუმენტი, რომ მსხვერპლი თანახმა იყო ექსპლუატაციაზე, შეუსაბამოა. ნამდვილ თანხმობას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს და იურიდიულად მისაღები იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი პირის ნების თავისუფალ გამოვლენას წარმოადგენს. „არგუმენტი, რომ პირი დათანხმდა მიგრირებაზე, ყალბი

²⁵⁵ იხ.: იქვე, გვ. 8.

²⁵⁶ იხ.: სქოლიო 3.

²⁵⁷ იხ.: სქოლიო 48, გვ. 8-9.

²⁵⁸ იხ.: იქვე, გვ. 7-8.

²⁵⁹ იხ.: სქოლიო 3, მე-3 (ა) მუხლი.

დოკუმენტების მოპოვებასა და საზღვარგარეთ უკანონოდ მუშაობაზე, ვერ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ იგი თანახმა იყო იძულებითი შრომის, მონობის ან მონობის მსგავს მდგომარეობაში აღმოჩენაზე. ამრიგად, თუ მტკიცებულებები მიუთითებს რომ ადგილი ჰქონდა რაიმე ფორმით პირის თავისუფალი ნების გამოვლენის შეზღუდვას, ის ტრეფიკინგის მსხვერპლად ითვლება და მისი თანხმობის გამამართლებელ არგუმენტად გამოყენება შეუსაბამოა²⁶⁰. აღნიშნული პრინციპი გაზიარებული იქნა ქვეყნების კანონმდებლობათა უმრავლესობის მიერ.²⁶¹

რაც შეეხება არასრულწლოვნით ვაჭრობას, პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის თანახმად, „ბავშვის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, გადამალვა (შეფარება) ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგად მიიჩნევა მაშინაც, თუ ბავშვის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა ადამიანთა ტრეფიკინგის დეფინიციით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება²⁶²“. ეს ჩანაწერი კიდევ ერთხელ ადასტურებს რომ არასრულწლოვნით ვაჭრობისას მნიშვნელობა არ ენიჭება გამოყენებული იყო თუ არა მოტყუება, ძალადობა, მუქარა ან სხვა საშუალება, ვინაიდან აქ მთავარია ექსპლუატაციის მიზანი და არა საშუალება. შესაბამისად, თუ ბავშვის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან/და მიღება ხდება ექსპლუატაციის მიზნით, მაშინ ქმედება არასრულწლოვნის ტრეფიკინგად უნდა ჩაითვალოს.²⁶³

რაც შეეხება პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის ნაკლოვან მხარეს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იგი არ მიიჩნევა საუკეთესო დეფინიციად, მიუხედავად იმისა რომ პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიციაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული ყველაზე აკადემიურადაა ჩამოყალიბებული. ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს რომ პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიციაში ბევრი ელემენტი ჩამოთვლილი და აღნიშნული ელემენტები აუცილებელია გამოძიების მიერ იქნას დამტკიცებული.²⁶⁴

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის ნაკლოვან მხარედ უნდა ჩაითვალოს ასევე ის გარემოებაც, რომ დეფინიცია შეიცავს ზოგიერთ განუმარტებელ ტერმინს.²⁶⁵

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიციის გამარტივების მიზნით, ამერიკულმა ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ჯგუფმა მოამზადა დეფინიციის შედარებით გამარტივებული ვარიანტი და სახელმწიფოებს შესთავაზა მოეხდინათ მისი დანერგვა შიდა კანონმდებლობაში.²⁶⁶ სამართლის ჯგუფის მიერ შემოთავაზებული დეფინიციის თანახმად „ადამიანთა ტრეფიკინგი

²⁶⁰ იხ.: სქოლიო 48, გვ. 12.

²⁶¹ იხ.: სქოლიო 211, გვ. 92-99.

²⁶² იხ.: სქოლიო 3, მე-3 (ა) მუხლი.

²⁶³ იხ.: სქოლიო 158, გვ. 333-340.

ასევე, სქოლიო 95, გვ. 405-407.

²⁶⁴ იხ.: სქოლიო 148, გვ. 45-46.

²⁶⁵ იხ.: იქვე

²⁶⁶ იხ.: სქოლიო 48, გვ. 7-9.

ნიშნავს ადამიანთა (შეგროვებას) გადაბირებას, გადაყვანას, გადაცემას, გადაძალვას ან მიღებას ნებისმიერი საშუალებით, იძულებითი შრომის ან მომსახურების, მონობის ან მონობის მსგავსი მდგომარეობის, სერვიტუტის ან ორგანოთა გადანერგვის მიზნით²⁶⁷. სამართლის ჯგუფის მოსაზრებით, აღნიშნული დეფინიციით მარტივდება მტკიცებულებათა მოპოვების პროცესი, ასევე აღნიშნული დეფინიცია შესაძლებლობას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული დამნაშავეს მიერ მუქარის, იძულების, მოტყუების და სხვა რომელიმე კონკრეტული საშუალების გამოყენების მტკიცება. სამართლის ჯგუფი იზიარებს პოზიციას, რომ მთავარია არა საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ჩასადენად, არამედ მთავარია ის, რომ ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადაცემა, გადაძალვა ანდა მიღება მოხდა მისი ექსპლუატაციის მიზნით.²⁶⁸

ასევე, სამართლის ჯგუფის მიერ შემუშავებულ დეფინიციაში ამოღებული იქნა ყველა ბუნდოვანი ტერმინი და დეფინიცია შეიცავს მხოლოდ იმ ტერმინებს, რომლებიც განმარტებულია საერთაშორისო სამართალში ან შიდა კანონმდებლობებში, მაგალითად როგორცაა მონობა²⁶⁹, მონობის მსგავსი მდგომარეობა²⁷⁰, იძულებითი შრომა²⁷¹ და ა.შ.

4.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რეგულირება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

2003 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ორი მუხლი, 143¹ და 143² მუხლები, რითაც მოხდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაცია. ეს ნიშნავს კანონმდებლის მიერ ქმედების სისხლის სამართლებრივად აკრძალვას, რაც გამოიხატება ქმედების შემადგენლობის სისხლის სამართლის კერძო ნაწილში მოთავსებით და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრით.²⁷²

²⁶⁷ იხ.: სქოლიო 251, გვ. 10.

²⁶⁸ იხ.: იქვე

²⁶⁹ იხ.: სქოლიო 10, 1 მუხლი.

²⁷⁰ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით მონობის მსგავსი მდგომარეობა განმარტებულია, როგორც „მონობის, მონური შრომისა და მონობის მსგავსი მდგომარეობის გაუქმების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1956 წლის 7 სექტემბრის დამატებითი კონვენციით განსაზღვრული პირის სტატუსი ან მდგომარეობა.“ უფრო ზუსტად, ტერმინი „მონობის მსგავსი მდგომარეობა“ განმარტებულია მონობის, მონათვაჭრობისა და მონობის მსგავსი მდგომარეობის და პრაქტიკის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამატებითი კონვენციის პირველი მუხლით. იგი თავის თავში მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორცაა სავალო კაბალა და ყმობა, ასევე, ქალის გათხოვება ან მასზე უფლების გადაცემა თანხის მიღებით, ქალის მემკვიდრეობით გადაცემა ან ბავშვის გადაცემა მისი ექსპლუატაციის მიზნით.

²⁷¹ იხ.: სქოლიო 14, 2(1) მუხლი.

²⁷² იხ.: მჭედლიშვილი-ჰედრისი,ქ. (2014) *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული*, გვ. 44.

სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლის მიხედვით, „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით²⁷³“. 143² მუხლის მიხედვით არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის „არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით²⁷⁴“. ორივე მუხლი შეიცავს დამამძიმებელ გარემოებებს, რომელიც მოგვიანებით იქნება განხილული.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის²⁷⁵ მე-19 მუხლის თანახმად, სახელმწიფოებს მიეცათ რეკომენდაცია მოახდინონ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლით მომსახურების კრიმინალიზაცია. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 143³ მუხლი²⁷⁶, რომლის მიხედვითაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობად ჩაითვლება წინასწარი შეცნობით, 143¹ და 143² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლის ან დაზარალებული პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რომელიც 143¹ მუხლის თანახმად ექსპლუატაციას წარმოადგენს.²⁷⁷

განვიხილოთ სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ და 143² მუხლები დანაშაულის სამსაფეხურიანი აგებულების მიხედვით, როგორც ეს თანამედროვე სისხლის სამართალშია აღიარებული და რომელიც მოიცავს ქმედების შემადგენლობას, მართლწინააღმდეგობას და ბრალს.²⁷⁸

²⁷³ იხ.: 143¹ მუხლი

²⁷⁴ იხ.: 143² მუხლი

²⁷⁵ იხ.: სქოლიო 4, 19-ე მუხლი.

²⁷⁶ ცვლილება შეტანილია საქართველოს კანონიწ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ 2007 წლის 8 მაისის 4706 კანონით.

²⁷⁷ იხ.: იქვე

²⁷⁸ იხ.: სქოლიო 272, გვ. 44.

4.3.1. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)
სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლი

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტია საქართველოს კონსტიტუციის და საერთაშორისო აქტების მიერ აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, როგორცაა ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების უფლება, საცხოვრებელი ადგილის, საქმიანობის სფეროს თავისუფალი არჩევის უფლება, თავისუფლების, პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა.²⁷⁹ ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომელსაც შეიძლება შეექმნას საფრთხე, ითვლება ფაკულტატურ ობიექტად.²⁸⁰

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა ძირითადად გამოიხატება მოქმედებაში, თუმცა შესაძლოა ჩადენილი იყოს უმოქმედობითაც (მაგალითად, გადამაღვა)²⁸¹. დანაშაული ფორმალური ხასიათისაა და დასრულებულად ითვლება დისპოზიციაში ჩამოთვლილი ერთ-ერთი ქმედების ჩადენისთანავე, მძიმე შედეგის დადგომის გარეშე, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა პირის ექსპლუატაცია.²⁸²

143¹ მუხლით გათვალისწინებული ქმედებები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ადამიანის მიმართ შემდეგია: ყიდვა; გაყიდვა; სხვა უკანონო გარიგების განხორციელება; გადაბირება; გადაყვანა; გადამაღვა; დაქირავება; ტრანსპორტირება; გადაცემა; შეფარება; მიღება (ექსპლუატაციის მიზნით)²⁸³.

ჩამოთვლილი ქმედებების განხორციელებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი ხერხები: მუქარა; ძალადობა; იძულების სხვა ფორმების გამოყენება; მოტაცება; შანტაჟი; თაღლითობა; მოტყუება; უმწეო მდგომარეობის გამოყენება; ძალაუფლების ბოროტად გამოყენება; საზღაურის ან სარგებლის მიცემა პირზე, ვისაც სხვა პირზე (იგულისხმება პოტენციური მსხვერფი) ზეგავლენის მოხდენა შეუძლია; საზღაურის ან სარგებლის მიღება იმ პირის თანხმობის მისაღებად, რომელსაც სხვა პირზე (იგულისხმება პოტენციური მსხვერპლი) ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.²⁸⁴

როგორც ზემოთ აღინიშნა, დანაშაული ექსპლუატაციის განხორციელებამდეც დამთავრებულად ითვლება, შესაბამისად, მსხვერპლის ექსპლუატაციის რეალურად განხორციელება არ არის ადამიანით ვაჭრობის ობიექტური შემადგენლობისათვის ალტერნატიულ-სავალდებულო ნიშანი²⁸⁵. თუმცა, აუცილებელია აქვე აღინიშნოს რომ

²⁷⁹ იხ.: სქოლიო 218, გვ. 279.

²⁸⁰ იხ.: იქვე

²⁸¹ იხ.: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (2005), წიგნი I, გვ. 182.

²⁸² იხ.: იქვე

²⁸³ იხ.: სქოლიო 218, გვ. 279.

²⁸⁴ იხ.: იქვე

²⁸⁵ იხ.: იქვე

ექსპლუატაციის რეალურად განხორციელების შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობით ქმედების კვალიფიკაცია საჭირო არ არის.²⁸⁶

თავდაპირველად, განვიხილოთ დისპოზიციაში გამოყენებული, თითოეული ზემოაღნიშნული ქმედება, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი.

ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა შესაძლოა მოხდეს ფულის გადახდით, ნივთში გაცვლით ან ვალში ჩათვლით, რის შემდეგაც ადამიანი გადადის მყიდველის განკარგულებაში (შეიძლება ითქვას რომ საკუთრებაში). სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც მყიდველს, ისე გამყიდველს.²⁸⁷ ადამიანის ყიდვა- გაყიდვა თავისთავად უკანონო ქმედებაა, ამიტომ მუხლში ამ ქმედების უკანონობაზე მითითებული არ არის და ითვლება, რომ ქმედების უკანონო ხასიათი ისედაც იგულისხმება.²⁸⁸

ყიდვა-გაყიდვის ქმედების უკანონო ხასიათიდან გამომდინარე, გარიგების დაფიქსირება ფაქტობრივად შეუძლებელია, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი მყიდველის საკუთრებაში გადადის და მყიდველს შეუძლია მისი გამოყენება საკუთარი შეხედულებისამებრ.²⁸⁹ გარდა ამისა, ყიდვა-გაყიდვა შესაძლოა მოხდეს მსხვერპლთან შეთანხმებით, თუმცა ქმედება აღნიშნულ შემთხვევაშიც მართლსაწინააღმდეგო ხასიათისაა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ადამიანის ყიდვა-გაყიდვისას აუცილებელი არაა გამოყენებული იქნეს ისეთი ხერხები, როგორიცაა მუქარა, მოტყუება და სხვა. ასევე, ადამიანის ყიდვა-გაყიდვისას ქმედების ჩადენის მიზანს მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს და პირის ქმედება ადამიანით ვაჭრობად (ტრეფიკინგად) უნდა დაკვალიფიცირდეს ექსპლუატაციის მიზნის არსებობის გარეშე.²⁹⁰ შესაბამისად, ადამიანის ყიდვა და გაყიდვა უკვე ადამიანით ვაჭრობის დანაშაულია ექსპლუატაციის მიზნის გარეშეც და მიზანს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აღარ უნდა მიენიჭოს.²⁹¹

იგივე მსჯელობა უნდა გავრცელდეს „სხვა უკანონო გარიგების“ ქმედებაზეც, რომლის ქვეშაც მოიაზრება გარიგება, რომლის დადება მოქმედი კანონმდებლობის საწინააღმდეგოა და თავისი შინაარსით იგი კანონით დადგენილ წესს არღვევს, მათ შორის იგულისხმება გარიგება

²⁸⁶ იხ.: იქვე

²⁸⁷ იხ.: სქოლიო 281, გვ. 182.

²⁸⁸ ყიდვა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში ჩადენილად ჩაითვლება თუ მსხვერპლის ყიდვა განხორციელდა იმ მიზნით რომ იგი დაუბრუნდეს ოჯახს, რაც გამორიცხავს ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს. ასევე, მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება ისეთი კანონიერი გარიგება, როცა ადამიანი კონტრაქტის საფუძველზე იღებს ვალდებულებას რომელიმე გუნდთან ითანამშრომლოს გარკვეული ვადით (ან უვადოდ), რაც ძირითადად სპორტულ სამყაროშია გავრცელებული.

²⁸⁹ იხ.: სქოლიო 158, გვ. 227-230.

²⁹⁰ იხ.: სქოლიო 148, გვ. 101.

²⁹¹ იხ.: სქოლიო 48, გვ. 13.

იმ პირის თანხმობის მისაღწევად, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც მეორე პირი იმყოფება.²⁹² ასევე, ადამიანის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებად ჩაითვლება ადამიანის მყიდველის მიერ გამყიდველისათვის დაპირება, რომ ხელს შეუწყობს მისი სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას, საკუთარი შემოსავლებიდან პროცენტების გადახდას, საზღვარგარეთ გამგზავრებას, სამუშაოზე მოწოდებას და სხვა.²⁹³ სხვაგვარად რომ ითქვას, სხვა უკანონო გარიგების სახეა ადამიანის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევაში გამყიდველის მიერ მყიდველისათვის გარკვეული, მყიდველისათვის სასარგებლო ქმედების შესრულების დაპირება. აქედან გამომდინარე, სხვა უკანონო გარიგება, როგორც ქმედება, უნდა განხორციელდეს არა მსხვერპლთან, არამედ მესამე პირთან. როგორც თეორიაში განმარტავენ, ესაა გარიგება მსხვერპლის მიმართ და არა მსხვერპლთან.²⁹⁴ „სხვა უკანონო გარიგების განხორციელებაში“ არ მოიაზრება ფულის ან ნივთის გადაცემა მესამე პირისათვის, რადგან ეს ქმედება უკვე ყიდვა-გაყიდვად უნდა ჩაითვალოს. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს „სხვა უკანონო გარიგების განხორციელების“ ქმედებისათვის იგივე მიდგომას მიზანთან დაკავშირებით, რაც ყიდვა-გაყიდვისას ვრცელდება. ექსპლუატაციის მიზნის არსებობას სხვა უკანონო გარიგების განხორციელებისას, ისევე როგორც ადამიანის ყიდვა-გაყიდვისას, მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის შემდეგი ნიშანია გადაბირება, რომელიც სისხლის სამართლის თეორიაში შემდეგნაირადაა განმარტებული: „გადაბირება ნიშნავს პირის დაყოლიებას ექსპლუატაციაში, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ზემოთ ჩამოთვლილი ხერხებიდან ერთ-ერთის გამოყენებით (იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით)“²⁹⁵. თეორიაში ასევე მიუთითებენ რომ თუ 1431 მუხლით გათვალისწინებული ხერხებიდან პირის გადაბირებისას გამოყენებული არცერთი არ ყოფილა, ასეთ შემთხვევაში ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა არ გვაქვს²⁹⁶. თუმცა აღნიშნული პოზიცია საკამათოა.

გადაყვანა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ობიექტური მხარის ასევე ერთ-ერთი ნიშანია, რაც გულისხმობს პირის თავის საცხოვრებელი ადგილიდან სხვა მიმართულებით და სხვა რეგიონსა თუ ქვეყანაში წაყვანას, რაც გამიზნულია საბოლოოდ იმისაკენ რომ აღნიშნული პირი მოხვდეს იმ ადგილას სადაც მისი ექსპლუატაციაში ჩაბმა მოხდება.²⁹⁷ გადაყვანის ხერხები გადაბირების ხერხების იდენტურია.²⁹⁸ როგორც აღინიშნა, გადაყვანისას ხდება პირის

²⁹² იხ.: იქვე

²⁹³ იხ.: სქოლიო 281, გვ. 182.

²⁹⁴ იხ.: სქოლიო 218, გვ. 288.

²⁹⁵ იხ.: სქოლიო 281, გვ. 183.

²⁹⁶ იხ.: სქოლიო 218, გვ. 288.

²⁹⁷ იხ.: სქოლიო 281, გვ. 183.

²⁹⁸ იხ.: იქვე

ერთი ადგილიდან, ან ქვეყნიდან მეორეში გადაადგილება ნებისმიერი ფორმით, რაც შეიძლება განხორციელდეს ქვეითად ან სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თუ დამნაშავე სატრანსპორტო საშუალების მართვას თავად ახორციელებს, ასეთი მოქმედება უნდა ჩაითვალოს ტრანსპორტირებად და არა გადაყვანად.²⁹⁹ თუმცა, სულაც არ არის აუცილებელი მსხვერპლს აუცილებლად ახლდეს დამნაშავე. დამნაშავეს მონაწილეობა გადაყვანაში შესაძლებელია სხვა ისეთ მოქმედებებში იყოს გამოხატული, როგორცაა მაგალითად, საბუთების გაფორმებაში მონაწილეობა, ტრანსპორტის უზრუნველყოფა ან მგზავრობის საფასურის გადახდა და სხვ.³⁰⁰

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის ასევე ერთ-ერთი ნიშანია გადამალვა, რომლის დროსაც ხდება მსხვერპლის ისეთ ადგილას განთავსება, სადაც მისი ექსპლუატაცია უნდა მოხდეს. გადამალვა გულისხმობს თავისუფლების უკანონო აღკვეთასაც, ვინაიდან გადამალვისას გამორიცხულია პირის თავისუფალი გადაადგილება და სხვა პირებთან კონტაქტი, თუმცა გადამალვისას აუცილებელი არ არის 143-ე მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის დამატებითი კვალიფიკაციის გამოყენება.³⁰¹ ისევე როგორც გადაბირების და გადაყვანისას, გადამალვისასაც გამოყენებული უნდა იყოს 143-ე მუხლით გათვალისწინებული ხერხებიდან რომელიმე.³⁰²

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ობიექტური მხარის ზემოაღნიშნული ნიშნების განხილვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ რომ სახეზეა ერთიანი დანაშაული, რომლის ჩადენაც შესაძლოა ალტერნატიული ქმედებებით. შესაძლებელია გადაბირებაც, გადაყვანაც და გადამალვაც ჩადენილი იყოს ერთი პირის მიერ, მაგრამ ქმედების კვალიფიკაციისათვის აღნიშნულს მნიშვნელობა არ ენიჭება, თუმცა მისი გათვალისწინება მოხდება ბრალდებაში და სასჯელის დანიშვნისას.³⁰³ თუ ეს ქმედებები სხვადასხვა პირების მიერ იქნა ჩადენილი, ერთის მიერ მოხდა მსხვერპლის გადაბირება, მეორის მიერ მისი გადაყვანა, ხოლო მესამემ მისი გადამალვა განხორციელა, ასეთ შემთხვევაში აუცილებელი არ არის მუხლში მითითებული ხერხების სამივე პირის მიერ გამოყენება³⁰⁴, განსაკუთრებით მუქარის, მოტყუებისა და შანტაჟის. აღნიშნული ხერხის ან ხერხების გამოყენება საკმარისია გადაბირების ეტაპზე, ხოლო გადაყვანის ან გადამალვის განმახორციელებელი პირი შესაძლოა მხოლოდ ინფორმირებული იყოს ამის შესახებ.³⁰⁵

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის შემდეგი ნიშანია დაქირავება, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობით

²⁹⁹ იხ.: სქოლიო 218, გვ. 288.

³⁰⁰ იხ.: იქვე

³⁰¹ იხ.: იქვე, გვ. 289.

³⁰² იხ.: იქვე

³⁰³ იხ.: იქვე

³⁰⁴ იხ.: იქვე

³⁰⁵ იხ.: იქვე

გათვალისწინებული მოქმედებაა და გულისხმობს გარკვეული სამუშაოს შესრულებას ანაზღაურების სანაცვლოდ. დაქირავების აღნიშნული გაგება სრულიად ლეგალურია, თუმცა დაქირავება 143¹ მუხლით გათვალისწინებული მოქმედების გაგებით არაკანონიერია, ვინაიდან ამ შემთხვევაში იგლისხმება რომ პირი ქირავდება მისი ექსპლუატაციის მიზნით და ანაზღაურების მიმღები არის არა თვითონ, არამედ სხვა პირი.³⁰⁶ დაქირავება ადამიანის ყიდვა-გაყიდვისაგან იმით გასხვავდება რომ ყიდვა-გაყიდვისას თანხის გადახდა ხდება როგორც წესი, ერთიანად და გაყიდული პირი გადადის მყიდველის საკუთრებაში, ნივთის ფორმით. განსახილველი მუხლის გაგებით, დაქირავებისას გარიგება დგება გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის, დამქირავებელი ქირაობს გამქირავებლის საკუთრებაში მყოფ პირს გარკვეული ვადით რაიმე სამუშაოს შესასრულებლად, ხოლო ანაზღაურება გადაეცემა გამქირავებელს და არა უშუალოდ დაქირავებულს.³⁰⁷ შესაძლოა ანაზღაურება მიეცეს თავად დაქირავებულს, თუმცა ანაზღაურების ეს ოდენობა არ იყოს შესრულებული სამუშაოს ადექვატური, ხოლო დაქირავებულის (მსხვერპლის) მიერ სამუშაოს შესრულებისათვის თანხმობის მისაღწევად გამოყენებული იყოს 143¹ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ხერხი.³⁰⁸

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის ასევე ერთ-ერთი ნიშანია ტრანსპორტირება. ამ მოქმედების ქვეშ იგულისხმება ერთი ადგილიდან სხვა ადგილას, ქალაქსა თუ სახელმწიფოში მსხვერპლის გადაადგილება ნებისმიერი სატრანსპორტო ფორმით, ხოლო ქმედების ამსრულებლად ითვლება ის პირი, ვინც სატრანსპორტო საშუალებას მართავს და რაც მთავარია, აცნობიერებს რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის გადაადგილებას ახდენს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში პირი ახორციელებს ტრანსპორტირებას და არა დანაშაულის ობიექტური მხარით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ნიშანს-გადაყვანას, ვინაიდან გადაყვანის ქმედების განხორციელებისას აუცილებელი არ არის ამსრულებელი თან ახლდეს მსხვერპლს. ამ უკანასკნელი ქმედების შემთხვევაში ამსრულებელი უზრუნველყოფს მის ტრანსპორტირებას სატრანსპორტო საშუალებით ან მეზავრობისათვის საჭირო სხვა ფორმით, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნა, აუცილებელი არაა თავად მართავდეს სატრანსპორტო საშუალებას, ტრანსპორტირების ამსრულებლისაგან განსხვავებით. ითვლება, რომ გადაყვანა ტრანსპორტირებაზე უფრო ფართო ცნებაა, თუმცა ვინაიდან ტრანსპორტირება ცალკე ნიშნად იქნა გამოყენებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დეფინიციაში როგორც ობიექტური მხარის ერთერთი ნიშანი, ის აღარ უნდა იქნეს ნაგულისხმევი გადაყვანაში.³⁰⁹

³⁰⁶ იხ.: იქვე
³⁰⁷ იხ.: იქვე
³⁰⁸ იხ.: იქვე
³⁰⁹ იხ.: იქვე

გადაცემა, როგორც 143¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარის ერთ-ერთი ნიშანი, გულისხმობს მსხვერპლის სხვა პირისათვის გადაცემას, რომელიც შეიძლება იყოს თავად ის პირი, ვინც მისი ექსპლუატაცია უნდა განახორციელოს, ან პირი, რომლის მიერაც მსხვერპლის გადამალვა უნდა მოხდეს. რაც შეეხება შეფარებას, როგორც ობიექტური მხარის ერთ-ერთ ნიშანს, იგი გულისხმობს განსაცდელში მყოფი პირის შეფარებას მისი ექსპლუატაციის მიზნით. ხერხი, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება იქნას გამოყენებული, არის მოტყუება.³¹⁰

143¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარის შემდეგი განსახილველი ნიშანია ადამიანის მიღება ექსპლუატაციის მიზნით. ამ ქმედებაში იგულისხმება პირის მიერ ექსპლუატაციის გაწვევის მიზნით, უკვე გადაბირებული ადამიანის მიღება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელის მიერ გამოყენებული არ ყოფილა იძულება, მოტყუება ან შანტაჟი მსხვერპლის გადაბირების, გადაყვანის ან გადამალვისათვის; იგი არ არის ორგანიზებული დაჯგუფების წევრი და მისი ქმედება გამოიხატება ექსპლუატაციის მიზნით უკვე გადაბირებული მსხვერპლის მიღებაში.³¹¹

143¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება ნორმის დეფინიციაში გამოყენებული ერთ-ერთი ქმედების ჩადენისას და აუცილებელი არ არის შედეგის დადგომა, მსხვერპლის ექსპლუატაციაში ჩაბმა. მუხლში გამოყენებული რომელიმე ქმედების ჩადენა შესაძლოა მოხდეს როგორც ერთი პირის, ისე პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ხოლო თუ ამ დანაშაულის ჩასადენად გამოყენებულია იარაღი, რომელიც პირს აქვს მართლსაწინააღდეგოდ, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დანაშაულთა ერთობლიობას. ასევე ერთობლიობით დაკვალიფიცირდება სქესობრივი დანაშაულის ჩადენა მსხვერპლის იძულების მიზნით (მაგალითად გაუპატიურება).³¹²

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სუბიექტია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. მიუხედავად იმისა, რომ ამ დანაშაულის ჩადენა ძირითადად სრულწლოვანი პირის მიერ ხდება, თუ ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ქმედების ჩადენა მოხდა არასრულწლოვნის მიერ, იგი ჩაითვლება დანაშაულის ამსრულებლად.³¹³

სუბიექტური მხრივ, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) განზრახი დანაშაულია და მისი ჩადენა პირდაპირი განზრახვით ხდება. ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მოტივი შეიძლება იყოს შური, ანგარება და სხვა, თუმცა განსახილველი დანაშაულის

³¹⁰ იხ.: იქვე, გვ. 293.

³¹¹ იხ.: სქოლიო 281, გვ. 184.

³¹² იხ.: იქვე

³¹³ იხ.: იქვე, გვ. 185.

კვალიფიკაციისათვის მოტივს მნიშვნელობა არ ენიჭება, იგი შეიძლება სასჯელის დანიშვნისას იქნეს გათვალისწინებული.³¹⁴

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სუბიექტური შემადგენლობისათვის მიზანი არის ექსპლუატაცია, რომელიც განმარტებულია როგორც „პირის გამოყენება იძულებითი შრომისათვის ან მომსახურებისათვის, მისი დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმა, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება, სექსუალური ექსპლუატაცია ან სხვა სახის მომსახურების გაწევის იძულება, აგრეთვე პირის გამოყენება სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვისთვის ანდა სხვა მიზნით“³¹⁵.

როგორც აღინიშნა, დანაშაულის მიზანია ადამიანის ექსპლუატაცია და მას მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ *რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ საქმეზე* განმარტა, „ადამიანებით ვაჭრობა თავისი არსითა და ექსპლუატაციის მიზნით... ადამიანებს გასაყიდი და შესაძენი საგნების მსგავსად მოიაზრებს“³¹⁶.

ზემოთ განხილული ქმედებები, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისათვის ჩადენილი უნდა იყოს ექსპლუატაციის მიზნით. ამ ქმედებების ჩადენა ექსპლუატაციის მიზნის გარეშე, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემადგენლობად არ უნდა იქნას განხილული. უფრო კონკრეტულად, პირის მიერ სხვა პირის გადაბირება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩასადენად, განხილული უნდა იქნას როგორც იმ კონკრეტული დანაშაულის წაქეზება, მაგრამ არა როგორც ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ისევე როგორც ადამიანის გადაყვანა ან გადამალვა თუ იგი ჩადენილია ექსპლუატაციის მიზნის გარეშე, სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - თავისუფლების უკანონო აღკვეთა და არა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული.

ადამიანის ყიდვის, გაყიდვის ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებისას ექსპლუატაციის მიზნის არსებობის აუცილებლობასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. სისხლის სამართლის თეორიაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ადამიანის ყიდვის, გაყიდვის ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელების შემთხვევაში ქმედების ჩადენის მიზანს მნიშვნელობა არ აქვს და „პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ადამიანთ ვაჭრობად იმის მიუხედავად, ამოძრავებდა თუ არა ექსპლუატაციის

³¹⁴ იხ.: იქვე

³¹⁵ იხ.: სქოლიო 223, მე-3(დ) მუხლი.

³¹⁶ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ (Rantsev v. CYPRUS and RUSSIA)* (10.05.2010) *European Courts of Human Rights*, N. 25965/04, 281-ე პუნქტი.

მიზანი³¹⁷. როცა ადამიანი ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ხდება და ნივთის ფორმას იძენს, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგებაა განხორციელებული, ეს ქმედებაა მართლსაწინააღმდეგო და ექსპლუატაციის მიზანს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აღარ ენიჭება.³¹⁸

იურისტთა ნაწილი თვლის, რომ ზემოაღნიშნული პოზიცია არასწორია და არ იზიარებს მას, ვინაიდან ადამიანის ყიდვის, გაყიდვის ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელების დაკვალიფიცირებამ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულად ექსპლუატაციის მიზნის გარეშე, შესაძლოა არასწორი პრაქტიკა დანერგოს.³¹⁹

ტერმინ „ექსპლუატაციის“ განმარტების თანახმად³²⁰, ექსპლუატაციის მიზანი გულისხმობს ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენებას, რომელიც ქართულ კანონმდებლობაში განმარტებულია როგორც „პირისათვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევა, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმღწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვა, კულტურული იზოლაცია, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ან/და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულება“³²¹. სისხლის სამართლის თეორიაში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან მიმართებაში, განასხვავებენ თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვასა და თავისუფლების აღკვეთას. თავისუფლების უკანონო აღკვეთისას, მსხვერპლს წართმეული აქვს გადაადგილების უფლება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ანუ არა აქვს დამნაშავის მიერ განსაზღვრული ტერიტორიის იქეთ გადაადგილების ფიზიკური შესაძლებლობა, იგი დამწყვდეულია ბინაში ან სხვა ადგილას. თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვის შემთხვევაში, მსხვერპლს დამნაშავის თანხმობით ეძლევა შესაძლებლობა გასცდეს შემოსაზღვრულ ტერიტორიას და გავიდეს ქუჩაში, თუმცა მას არ შეუძლია გადაადგილდეს იქ და ამის გამო ეშინია პოლიციასთან შეხვედრის. გარდა ამისა, არ აქვს თანხა, რაც მისცემდა გამგზავრების შესაძლებლობას, ასევე, არ იცის უცხო ენა და სხვ.³²²

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისას მოტყუების გამოყენება მსხვერპლს ართმევს იმის გაცნობიერების შესაძლებლობას, რომ მის მიმართ ექსპლუატაციას აქვს ადგილი, თვლის, რომ ის ანაზღაურებას მიიღებს ერთიანად და შესაბამისად, ადგილი აქვს თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას ამ ხერხის გამოყენებით. თუმცა, თუ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)

³¹⁷ იხ.: სქოლიო 281, გვ. 185.

³¹⁹ იხ.: სქოლიო 48, გვ. 15.

³²⁰ იხ.: სქოლიო 3.

³²¹ იხ.: სქოლიო 223, მე-3(თ) მუხლი.

³²² იხ.: სქოლიო 218, გვ. 296.

დანაშაულის ჩადენის ხერხად გამოყენებულია ძალადობა ან მუქარა, ეს იმას ნიშნავს, რომ მსხვერპლისათვის ცნობილია, რომ მისი ექსპლუატაცია ხდება.³²³

სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, 1431 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩასადენად მუქარის, ძალადობის, თაღლითობის და სხვა ხერხების გამოყენება მიმართულია იმ პირისაკენ, ვისი ექსპლუატაცია ხდება, თუმცა ასევე შესაძლებელია მუქარა ან ძალადობა მიმართული იყოს მსხვერპლისათვის ძვირფასი პირის მიმართ. მაგალითად, მსხვერპლს ემუქრებიან შვილის ან ოჯახის სხვა წევრის სიცოცხლის მოსპობით, თუ იგი არ შეასრულებს მოთხოვნილ სამუშაოს. ასეთ შემთხვევაში ადგილი არ აქვს დანაშაულის ერთობლიობას და ეს ქმდება 1431 მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს, ვინაიდან მუქარას, როგორც დანაშაულის ხერხს, აღნიშნული მუხლი ისედაც ითვალისწინებს.³²⁴

„იძულებითი შრომა“ ქართულ კანონმდებლობაში განმარტებულია როგორც პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებით, მის მიმართ მუქარის, შანტაჟის ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით შესრულებული სამუშაო ან მომსახურება.³²⁵

„სექსუალური ექსპლუატაცია“ ქართული კანონმდებლობით განიმარტა როგორც „პირის ჩაბმა პროსტიტუციაში, სხვა სახის სექსობრივ მომსახურებაში ან პორნოგრაფიული მასალის წარმოებაში, მის მიმართ მუქარის, ძალადობის, იძულების, შანტაჟის, პირის უმწეო მდგომარეობის ან თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ან სამუშაოს ხასიათისა და პირობების შესახებ მოტყუებით“³²⁶.

რაც შეეხება „სხვა სახის სექსუალური მომსახურების გაწევის იძულებას“, ქართულ კანონმდებლობაში განმარტებული არ არის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერმინი არც საერთაშორისო კანონმდებლობით არ განიმარტა, ვინაიდან ამ ტერმინების შინაარსის შესახებ პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მონაწილე სახელმწიფოებმა და გაერთიანებული ერების სისხლის სამართლის კომისიამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და ისინი განუმარტებელი დატოვეს. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ პროსტიტუციასთან მიმართებაში ქვეყნებს განსხვავებული კანონები და პოლიტიკა აქვთ და მისი შეცვლა არ ისურვეს. შეუთანხმებლობა დეფინიციების თაობაზე გამოიწვია იმან, რომ პალერმოს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის აზრით, პროსტიტუციის ნებისმიერი ფორმა, მათ შორის, სრულწლოვანთა ნებაყოფლობითი და ლეგალური პროსტიტუცია, ადამიანით ვაჭრობად (ტრეფიკინგად) უნდა ჩაითვალოს. მონაწილეთა მეორე ჯგუფი კი კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ სრულწლოვანთა ნებაყოფლობითი პროსტიტუცია

³²³ იხ.: იქვე

³²⁴ იხ.: იქვე

³²⁵ იხ.: სქოლიო 223, მე-3(ე) მუხლი.

³²⁶ იხ.: იქვე, მე-3 (ი) მუხლი.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმაა და აცხადებს, რომ ნებაყოფლობითი პროსტიტუცია არ უნდა იქნას განსხვავებული ნებაყოფლობითი შრომის სხვა ფორმებისაგან.³²⁷ ამ შეუთანხმებლობის გამო წარმოიშვა აზრი, რომ რამდენადაც იძულებით სქესობრივ შრომას და ბავშვთა პროსტიტუციას მაინც მოიცავენ ისეთი ტერმინები, როგორიცაა „იძულებითი შრომა“, „მონობა“ და „სერვიტუტი“, უმჯობესია სახელმწიფოებმა საერთოდ არ შეიტანონ ტერმინები „სექსუალური ექსპლუატაცია“ და „სხვა სახის მომსახურების გაწევის იძულება“ ეროვნულ კანონმდებლობაში. წინა თავში უკვე აღვნიშნეთ, რომ აღნიშნული პოზიცია გაიზიარეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა და ქალის მიმართ ძალადობის საკითხებზე გაერთიანებული ერების სპეციალურმა მომხსენებელმა და მათ მიერ შემოთავაზებულ დეფინიციაში გამოყენებული იქნა ტერმინები „იძულებითი შრომა“ და „მონობის მსგავსი მდგომარეობა“.³²⁸

4.3.2. არასრულწლოვნით ვაჭრობა და სისხლის სამართლის კოდექსის 143² მუხლის თავისებურებანი

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნა³²⁹, არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის მისი ყიდვა, გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით. არასრულწლოვნით ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. არასრულწლოვნით ვაჭრობის და მათი ექსპლუატაციის ზრდა გამოწვეულია ძირითადად ეკონომიკური კრიზისით, სიღარიბით, არასრულწლოვნის სექსუალურ მომსახურებაზე მოთხოვნილების ზრდით და ბევრი სხვა მიზეზით³³⁰. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი არასრულწლოვნის გამოყენება მეტწილად ხდება სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, ბავშვთა პროსტიტუციის, პორნოგრაფიის, სექსტურიზმის, შრომითი ექსპლუატაციის, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის და სხვა ფორმებით.³³¹ ადამიანით ვაჭრობაში (ტრეფიკინგში) არასრულწლოვნის ჩათრევა ხდება ისეთი ხერხებით, როგორიცაა მოტყუება და მიმზიდველი პირობების შეთავაზება, ზოგჯერ მათი გადაბირებისათვის გამოიყენება ასევე მუქარა და იძულება.

წყაროებში³³² არასრულწლოვნის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სტადიებად მითითებულია 3 სტადია: მსხვერპლის გადაბირება, ტრანსპორტირება და გადაცემა ექსპლუატაციის მიზნით. მსხვერპლის გადაბირებას მოსდევს მისი

³²⁷ იხ.: სქოლიო 48, გვ. 21.

³²⁸ იხ.: იქვე

³²⁹ იხ.: სისხლის სამართლის კოდექსის 143 2 მუხლი

³³⁰ იხ.: სქოლიო 103, გვ. 393.

³³¹ იხ.: იქვე

³³² იხ.: იქვე, გვ. 394.

ექსპლუატაციის ადგილას გადაყვანა. აღნიშნული სტადია არ განსხვავდება 1431 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისგან.

არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ობიექტია არასრულწლოვნის პირადი უფლებები და თავისუფლებები, ექსპლუატაციისაგან დაცულობის, განათლების მიღების უფლება და სხვ.

დაზარალებული არის არასრულწლოვანი, ხოლო თუ არასრულწლოვანს, თავისი მცირეწლოვნობის გამო არ შეუძლია შეაფასოს რა ქმედებას ჩადიან მის მიმართ, აღნიშნული უნდა დაკვალიფიცირდეს არასრულწლოვნის უმწვეო მდგომარეობის გამოყენებად, რაც 1432 მუხლის დამამძიმებელი გარემოებაა და გათვალისწინებულია მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით.³³³ დანაშაულის სუბიექტი არის 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

დანაშაულის ობიექტური მხარე 1431 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარის მსგავსია, თუმცა არასრულწლოვნით ვაჭრობას როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ კანონმდებლობაშიც ახასიათებს ის თავისებურება, რომ არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემთხვევაში სავალდებულო არ არის დანაშაულის ჩადენისას გამოყენებული იყოს იძულება, შანტაჟი ან მოტყუება. თუ არასრულწლოვნით ვაჭრობისათვის (ტრეფიკინგისთვის) დანაშაულის ჩადენის აღნიშნული ხერხების გამოყენებას ადგილი ჰქონდა, აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დამამძიმებელი გარემოება, რაც გათვალისწინებულია 1432 მუხლის მე-2 ნაწილით.³³⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის კვალიფიკაციისათვის საკმარისია არსებობდეს ექსპლუატაციის მიზანი და მოქმედება, დანაშაულის ჩადენის ხერხებს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს. ამ მოსაზრებას ამყარებს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმიც³³⁵. ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით, ნებისმიერი ქმედება ან გარიგება, რომლის შედეგადაც ხდება ბავშვის გადაცემა სხვა პირისათვის ან პირთა ჯგუფისათვის ანაზღაურების საფასოდ, ბავშვებით ვაჭრობად უნდა ჩაითვალოს³³⁶, ხოლო ოქმის მე-3 მუხლი აკონკრეტებს, რომ ბავშვებით ვაჭრობად ჩაითვლება ნებისმიერი საშუალებით ბავშვის შეთავაზება, გადაცემა ან მიღება ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის, ბავშვის ორგანოების ანაზღაურების გარეშე მიღების, ბავშვის იძულებით სამუშაოზე გამოყენების მიზნით.³³⁷ სისხლის სამართლის 1432 მუხლის მიხედვით, დასჯადია არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება და აღნიშნული მუხლით

³³³ იხ.: სქოლიო 281, გვ. 188.

³³⁴ იხ.: სქოლიო 48, გვ. 17..

³³⁵ იხ.: ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 27 სექტემბრის 1675 დადგენილებით

³³⁶ იხ.: იქვე, მე-2(ა) მუხლი.

³³⁷ იხ.: იქვე, მე-3(ა) მუხლი.

გათვალისწინებულ დანაშაულად ჩაითვლება არასრულწლოვნის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.³³⁸

ამ მუხლთან ექსპლუატაციის მიზნის შესახებ სისხლის სამართლის თეორიაში სხვადასხვა პოზიცია არსებობს. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, არასრულწლოვნის გადაბირების, გადაყვანის, გადამალვის და მიღების მიზანი არის ექსპლუატაცია და ამ მიზნის არსებობის გარეშე დანაშაული არასრულწლოვნით ვაჭრობად არ უნდა იქნას დაკვალიფიცირებული. თუმცა არასრულწლოვნის ყიდვის, გაყიდვის ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების შემთხვევაში, მყიდველს შესაძლოა ექსპლუატაციის მიზანი არ ქონდეს, ხოლო შემკვეთის მიზნის შესახებ მისთვის ცნობილი არ იყოს. მიუხედავად ამისა, არასრულწლოვნით ყიდვა-გაყიდვისას, ქმედების დაკვალიფიცირება 143² მუხლით უნდა მოხდეს.³³⁹ გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როცა არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგება მისი შვილად აყვანის მიზნით განხორციელდა. აღნიშნული ქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 172-ე მუხლით და ამ შემთხვევაში არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემადგენლობა სახეზე არ არის.

მსხვერპლის გადაბირებისა და გადაყვანის სტადიები ერთგვაროვანია როგორც სრულწლოვნის, ისე არასრულწლოვნის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევაში. რაც შეეხება გადაყვანას ან ტრანსპორტირებას, აუცილებელი არ არის საზღვრებს გარეთ განხორციელდეს და შესაძლებელია სახეზე იყოს ქვეყნის შიგნითაც.

ამრიგად, არასრულწლოვნით ვაჭრობას, ისევე როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულს, რთული შემადგენლობა აქვს. მთლიანობაში შემადგენლობა წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და არა რომელიმე ელემენტი ცალკე აღებული.³⁴⁰ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ფორმალური ხასიათიდან გამომდინარე, იმისათვის რომ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვალოს, აუცილებელი არ არის პირის ექსპლუატაციის ეტაპის დადგომა. დანაშაულის კვალიფიკაციისათვის საკმარისია ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე მოქმედების ჩადენა ექსპლუატაციის მიზნით. 143² მუხლით გათვალისწინებული თავისებურებიდან გამომდინარე, აუცილებელი არაა არასრულწლოვნის მიმართ ზემოქმედების რომელიმე საშუალების გამოყენება, არასრულწლოვნის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მუხლით კვალიფიკაციისათვის საკმარისია მუხლით გათვალისწინებული რომელიმე მოქმედება ჩადენილი იყოს ექსპლუატაციის მიზნით.

საქართველოს კანონმდებლობის განხილვის სრულყოფილებისათვის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით დასჯადია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მომსახურებით

³³⁸ იხ.: სქოლიო 103, გვ. 454.

³³⁹ იხ.: სქოლიო 48, გვ. 19.

³⁴⁰ იხ.: სქოლიო 103, გვ. 462.

სარგებლობა, როცა იმ პირისათვის ვინც ამ მომსახურებით სარგებლობს, ცნობილია რომ იგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის შრომას იყენებს. აღნიშნული ქმედების კრიმინალიზაცია მოხდა 2007 წელს და სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 143³ მუხლი.

4.3.3. დამამძიმებელი გარემოებები 143¹ და 143² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის

სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლის დამამძიმებელი გარემოებებია დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა: ა) არაერთგზის; ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ; გ) წინასწარ შეცნობით ორსული ქალის მიმართ; დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ე) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით; ვ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; ზ) წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ.³⁴¹ ასევე, დამამძიმებელი გარემოებებია დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან თუ მან გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი³⁴², რადგანაც ნებისმიერი დანაშაული, თუ იგი ჩადენილია ორი ან მეტი პირის მიერ და იძენს ორგანიზებულ ხასიათს, ართულებს დანაშაულის ეფექტურ გამოძიებას.

სისხლის სამართლის კოდექსის 143² მუხლის დამამძიმებელი გარემოებებია დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა: ა) არაერთგზის; ბ) იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით; გ) ორი ან მეტი სრულწლოვნის მიმართ; დ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით; ე) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; ვ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ზ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ.³⁴³ ასევე, დანაშაული ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ; რამაც გამოიწვია არასრულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.³⁴⁴

განხილული მუხლების დამამძიმებელი გარემოებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. დამამძიმებელ გარემოებებთან მიმართებაში ინტერესმოკლებული არ იქნება განიმარტოს გარემოება „ადამიანის უმწეო მდგომარეობის გამოყენება“, რომელსაც საერთაშორისო სამართლისგან განსხვავებით, ეროვნულ კანონმდებლობაში განსხვავებული გაგება გააჩნია. აღნიშნულ ტერმინში

³⁴¹ იხ.: სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლი

³⁴² იხ.: იქვე

³⁴³ იხ.: 143² მუხლი

³⁴⁴ იხ.: იქვე

იგულისხმება მდგომარეობა, როცა პირი სხვა პირზე დამოკიდებულია მატერიალურად ანდა სხვაგვარად. ასევე, როცა პირს ასაკით, გონებრივი შესაძლებლობებით, ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია რეალური ვითარების შეფასება³⁴⁵; აგრეთვე მდგომარეობა, როცა პირს არ გააჩნია რეალური ალტერნატივა იმის გარდა, რომ დაემორჩილოს მის მიმართ ძალადობის გამოყენებას³⁴⁶.

გარდა ამისა, აღსანიშნავია კიდევ ერთი დამამძიმებელი გარემოება, რომელიც ითვალისწინებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დროს მსხვერპლის სიცოცხლისათვის განზრახ ან გაუფრთხილებლობით საფრთხის შექმნას და მისი დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინება რეკომენდირებულია ევროპის საბჭოს კონვენციით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 1431 და 1432 მუხლებით აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება გათვალისწინებულია.

საერთაშორისო კანონმდებლობით ასევე რეკომენდირებულია არასრულწლოვნით ვაჭრობა დამამძიმებელ გარემოებად იქნას გათვალისწინებული, თუმცა ეროვნული კანონმდებლობით, არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული კრიმინალიზებულია 1432 მუხლით. აღნიშნული მიდგომა რამდენიმე გარემოებით იქნა განპირობებული. პირველი, არასრულწლოვანი უფრო მეტადაა დაუცველი ექსპლუატაციისგან; მეორე, ის ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ტრამვები რაც არასრულწლოვანს შეიძლება მიადგეს მისი მსხვერპლად ყოფნის გამო, სერიოზულად აბრკოლებს მის განვითარებას და საზოგადოებაში ინტეგრაციას; მესამე, აუცილებელია არასრულწლოვნის უფლებების დაცვა საერთაშორისო კანონმდებლობის სტანდარტების შესაბამისად.³⁴⁷

4.4. 1431 და 1432 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამიჯვნა მსგავს სამართალდაღვევათაგან

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) უნდა განვასხვაოთ რამდენიმე მსგავსი დანაშაულისაგან. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განსხვავება პროსტიტუციაში ჩაბმის დანაშაულისაგან³⁴⁸, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლით. პროსტიტუციაში ჩაბმა ხორციელდება ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით, თუმცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისგან განსხვავებით, პროსტიტუციაში ჩაბმას წინ არ უძღვის 1431 მუხლით გათვალისწინებული ისეთი ქმედებები, როგორცაა ადამიანის ყიდვა, გაყიდვა და ა.შ. 253-ე მუხლით

³⁴⁵ იხ.: სქოლიო 281, გვ. 191.

³⁴⁶ იხ.: სქოლიო 48, გვ. 17.

³⁴⁷ იხ.: სქოლიო 103, გვ. 464.

³⁴⁸ იხ.: სისხლის სამართლის კოდექსი, 253-ე მუხლი.

გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე პირის პროტიტუციაში ჩაბმაში გამოიხატება და დასრულებულად ითვლება მისი პროსტიტუციაში ჩაბმის მომენტიდან, ხოლო 143¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე პირის პროსტიტუციაში ჩაბმას კი არ გულისხმობს, არამედ ასეთი ქმედების მომავალში ჩადენის მიზანს.³⁴⁹

არასრულწლოვნის ვაჭრობისაგან უნდა განვასხვაოთ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულები, როგორცაა არასრულწლოვნის გაუპატიურება, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილებით; სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ – დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის მე-2 ნაწილით; გარყვნილი ქმედება 16 წელს მიუღწევველ პირთან (როცა ქმედება ჩადენილია ძალადობის გარეშე) – სისხლის სამართლის 141-ე მუხლი; თუ ამგვარი ქმედება ჩადენილია ძალმომრეობით, დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით. არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ძალადობისას, არასრულწლოვანი გამოყენებულია მოძალადის სექსუალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევაში სექსუალური ექსპლუატაციისას, ზემოაღნიშნული სექსუალური ძალადობისგან განსხვავებით, არასრულწლოვანი განიხილება არა მხოლოდ სექსის ობიექტად, არამედ ვაჭრობის საგნადაც.³⁵⁰

პრობლემატური საკითხია არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამიჯვნა შვილად აყვანის მიზნით არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგებისგან, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 172-ე მუხლით. ეროვნული კანონმდებლობით საკმაოდ რთული პროცედურებია გათვალისწინებული შვილად აყვანისათვის, თუმცა თუ არასრულწლოვნის ყიდვა მოხდა მისი შვილად აყვანის მიზნით, ამ შემთხვევაში ქმედება 143² მუხლით არ უნდა დაკვალიფიცირდეს.

არანაკლებ პრობლემატურია ისეთი შემთხვევები, როცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მტკიცებას ართულებს მტკიცებულებების ნაკლებობა. ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია ალტერნატიული და ყველაზე მეტად შესაფერი ბრალდების წარდგენა დამნაშავის წინააღმდეგ.³⁵¹ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ალტერნატიულ ვარიანტებად განიხილება სისხლის

³⁴⁹ იხ.: სქოლიო 281, გვ. 186.

³⁵⁰ იხ.: სქოლიო 103, გვ. 467.

³⁵¹ იხ.: ადამიანით ვაჭრობის შემთხვევების გამოძიება (სახელმძღვანელო სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისათვის (2008) მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, გვ. 22.

სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლები³⁵²; გაუპატიურება³⁵³; სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება³⁵⁴; თავისუფლების უკანონო აღკვეთა³⁵⁵; იძულება³⁵⁶; მუქარა³⁵⁷; ადგილსამყოფლის თავისუფალი არჩევის ხელყოფა³⁵⁸; არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში³⁵⁹; არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით³⁶⁰; შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარ შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელშეწყობა³⁶¹; გამოძალვა³⁶²; მომხმარებლის მოტყუება³⁶³; პროსტიტუციაში ჩაბმა³⁶⁴; პროსტიტუციისათვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა³⁶⁵; პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება³⁶⁶; სასჯელის დანიშვნა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის³⁶⁷; სასჯელის დანიშვნა თანამონაწილეობისათვის და დანაშაულის ამსრულებლობისათვის³⁶⁸; სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს³⁶⁹; ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება³⁷⁰; სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონოდ ვაჭრობა³⁷¹; ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა³⁷²; უკანონო სამეწარმეო საქმიანობა³⁷³; ყალბი რეკლამა³⁷⁴.

არანაკლებ საინტერესოა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განსხვავება მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანისაგან. ტერმინები „უკანონო მიგრაცია“, „მიგრანტთა უკანონო გადაყვანა“, „ორგანიზებული დანაშაული“, „ადამიანებით ვაჭრობა“ ხშირად გამოყენება ერთგვაროვან კონტექსტში სამართალდამცავი ორგანოების თუ სხვადასხვა უწყებების მიერ, თუმცა მათ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ და აქედან

³⁵² იხ.: იქვე

³⁵³ იხ.: სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლი.

³⁵⁴ იხ.: იქვე, 139-ე მუხლი.

³⁵⁵ იხ.: იქვე, 143-ე მუხლი.

³⁵⁶ იხ.: იქვე, 150-ე მუხლი.

³⁵⁷ იხ.: იქვე, 151-ე მუხლი.

³⁵⁸ იხ.: იქვე, 152-ე მუხლი.

³⁵⁹ იხ.: იქვე, 171-ე მუხლი.

³⁶⁰ იხ.: იქვე, 172-ე მუხლი.

³⁶¹ იხ.: იქვე, 172¹-ე მუხლი.

³⁶² იხ.: იქვე, 181-ე მუხლი.

³⁶³ იხ.: იქვე, 219-ე მუხლი.

³⁶⁴ იხ.: იქვე, 253-ე მუხლი.

³⁶⁵ იხ.: იქვე, 254-ე მუხლი.

³⁶⁶ იხ.: იქვე, 255-ე მუხლი.

³⁶⁷ იხ.: იქვე, 56-ე მუხლი.

³⁶⁸ იხ.: იქვე, 57-ე მუხლი.

³⁶⁹ იხ.: იქვე, 59-ე მუხლი.

³⁷⁰ იხ.: იქვე, 134-ე მუხლი.

³⁷¹ იხ.: იქვე, 135-ე მუხლი.

³⁷² იხ.: იქვე, 135¹-ე მუხლი.

³⁷³ იხ.: იქვე, 192-ე მუხლი.

³⁷⁴ იხ.: იქვე, 201-ე მუხლი.

გამომდინარე, აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს მათი ის მნიშვნელობა, რომელიც საერთაშორისო ინსტრუმენტებითაა ჩამოყალიბებული³⁷⁵. ტერმინი „უკანონო მიგრაცია“ ყველაზე ხშირად გამოიყენება მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევებისას, თუმცა ბოლო პერიოდში აშკარად იკვეთება ტენდენცია, შეიზღუდოს მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) უკანონო მიგრაციის მნიშვნელობით მოხსენიება. მიუხედავად იმისა, რომ უკანონო მიგრაციის საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრება საერთაშორისო კანონმდებლობაში არ გვხვდება, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მიგრაციის განმარტებით ლექსიკონში გვთავაზობს უკანონო მიგრაციის ყველაზე გავრცელებული ფორმების დეფინიციებს³⁷⁶. აღნიშნული ლექსიკონის მიხედვით, არალეგალურ მიგრაციად ჩაითვლება გადაადგილება, რომელიც არ არის დარეგულირებული წარმოშობის, ტრანზიტისა თუ მიმღები ქვეყნების კანონმდებლობით. მიმღები ქვეყნებისათვის ეს პროცესი ქვეყანაში უკანონო შესვლას, ყოფნას ან მუშაობას ნიშნავს და მიგრანტი ქვეყანაში იმყოფება არალეგალურად, უკანონოდ აქვს გადაკვეთილი ქვეყნის საზღვარი და მას არ გააჩნია ამ ქვეყანაში შესვლის, ცხოვრების და მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც მოეთხოვება საიმიგრაციო პროცედურების თანახმად.³⁷⁷ დონორი ქვეყნის პერსპექტივიდან კი აღნიშნული პროცესი უკანონოდ ჩაითვლება მაშინ, თუ პირი საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთას ძალაში მყოფი პასპორტის ან შესაბამისი სამგზავრო დოკუმენტაციის გარეშე ახორციელებს, ან მის მიერ არ შესრულებულა ქვეყნის დატოვებისათვის განსაზღვრული აუცილებელი პროცედურები.³⁷⁸ პირი, რომელიც დანიშნულების ქვეყანაში უკანონოდ იქნა შესული ან რომელსაც ვიზის პერიოდის ამოწურვის შემდეგ ქვეყანაში კანონიერი სტატუსი აღარ აქვს, არალეგალურ მიგრანტად ითვლება.³⁷⁹ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია არალეგალური მიგრაციის ნაცვლად უფრო ხშირად იყენებს ტერმინს „უკანონო მიგრაცია“, რაც მიგრანტთა კრიმინალიზაციის თავიდან აცილების მცდელობას წარმოადგენს³⁸⁰. უკანონო მიგრაცია გულისხმობს როგორც ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), ისე მიგრანტთა უკანონო გადაყვანასაც, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი არ შეიძლება იყოს უკანონო, მისი ქვეყანაში ყოფნის სტატუსი ნამდვილად შეიძლება უკანონო გახდეს. უკანონო მიგრაცია ასევე გულისხმობს პირის დანიშნულების სახელმწიფოში უპასპორტოდ, ან სათანადო დოკუმენტაციის გარეშე შესვლას, ასევე, ტურისტული ვიზით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ ქვეყანაში დარჩენას, ან ასეთი

³⁷⁵ იხ.: სქოლიო 203, გვ. 778.

³⁷⁶ იხ.: თანამშრომლობა ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში (2008), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, გვ. 7.

³⁷⁷ იხ.: სქოლიო 203, გვ. 778.

³⁷⁸ იხ.: იქვე

³⁷⁹ იხ.: იქვე

³⁸⁰ იხ.: სქოლიო 376, გვ. 8.

პირის მიერ მუშაობის დაწყებას, როცა ტურისტული ვიზის ხასიათი ამის უფლებას არ იძლევა.³⁸¹

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საზღვარზე უკანონო გადაყვანა და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ხშირად გამოიყენება ერთგვაროვან კონტექსტში, მაგრამ აუცილებელია მათი გამიჯვნა, რაც სასარგებლო იქნება სამართალდამცავი ორგანოების უფრო ეფექტური საქმიანობისათვის. აღნიშნული დეფინიციები მოცემულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციაში და მის დამატებით ოქმებში სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ³⁸² და ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ³⁸³. აღნიშნული ცნებების ერთგვაროვანი გაგების დანერგვა სახელმწიფოებს მისცემს საშუალებას უფრო ეფექტურად ითანამშრომლონ ერთმანეთთან, ასევე, აღნიშნული ხელს შეუწყობს მონაცემების შეგროვებას და სტატისტიკის წარმოებას, ასევე ანალიზის სირთულეების დაძლევას.

ზემოაღნიშნული დეფინიციების მიხედვით, მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანა არის ქმედება, რომელიც ხელს უწყობს საზღვრის უკანონო გადაკვეთას და დანიშნულების ან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე არალეგალურად შესვლას. აქედან გამომდინარე, მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანა ტრანსნაციონალურ ელემენტებს შეიცავს, სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული და არა იმ პირის, ვისი უკანონო გადაყვანაც მოხდა. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევაში კი, ძირითადად ადამიანის უფლებათა დარღვევა ხდება მისი ექსპლუატაციის შედეგად და ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება თუ რა გზით მოხდა პირი დანიშნულების ადგილას, სადაც მისი ექსპლუატაცია მოხდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევაში, პირი დანიშნულების ქვეყანაში შეიძლება მოხვდეს როგორც ლეგალური, ისე არალეგალური გზით, და მისი ექსპლუატაციისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს იმ შემთხვევებში, როცა მისი ექსპლუატაციის მიზნით სხვა ქვეყანაში გადაყვანა შესაძლოა საერთოდ არ იყოს განხორციელებული.³⁸⁴ ამ ფაქტორს ბევრი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობითაც მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა არ ენიჭება.

სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ დამატებითი ოქმის მიხედვით³⁸⁵, მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანა გულისხმობს შესყიდვას, პირდაპირი თუ ირიბი გზებით, მატერიალური ან სხვა

³⁸¹ იხ.: სქოლიო 203, გვ. 779-780.

³⁸² იხ.: სქოლიო 27, გვ. 135.

³⁸³ იხ.: იქვე

³⁸⁴ იხ.: სქოლიო 203, გვ. 779-780.

³⁸⁵ იხ.: იქვე

სარგებლის მიღების მიზნით პირის იმ ქვეყანაში გადაყვანას, რომლის მოქალაქე ან მუდმივი მაცხოვრებელი ის არ არის³⁸⁶, (ა) უკანონო შეყვანა გულისხმობს საზღვრების გადაკვეთას მიმღებ/ დანიშნულების ქვეყანაში შესვლისათვის გათვალისწინებული აუცილებელი მოთხოვნების დაცვის გარეშე³⁸⁷; (ბ) აღნიშნული ოქმის მიხედვით³⁸⁸, ყალბი სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი განმარტებულია როგორც ნებისმიერი სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც კუსტარულად ან გაყალბებულადაა დამზადებული ნებისმიერი პირის მიერ, გარდა იმ პირის ან უწყებისა, რომელიც სახელმწიფოს მიერაა უფლებამოსილი სახელმწიფოს სახელით დაამზადოს ან გასცეს სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ან დოკუმენტი გაცემულია არასწორად ან მიღებული მცდარი ინფორმაციის და განმარტების, კორუფციის ან ზეწოლის შედეგად, ან ნებისმიერი არაკანონიერი გზით; ასევე ყალბ სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება სამგზავრო დოკუმენტის გამოყენება სხვა პირის მიერ, გარდა კანონიერი მფლობელისა.³⁸⁹

აღნიშნული ოქმის მიხედვით, მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანა შემდეგ სამ ძირითად ელემენტს მოიცავს: პირველი, ადამიანის გადაადგილება, რაც გამოიხატება საზღვრის გადაკვეთაში მიგრანტის თანხმობის მიღების შემდეგ; მეორე, ამ მიზნით გამოყენებული მეთოდები და საშუალებები გამოხატულია სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით ფარულ ტრანსპორტირებაში, რაც არაადამიანურ და საშიშ პირობებში ხორციელდება; მესამე, მიზანს წარმოადგენს არალეგალური გზებით დანიშნულების ქვეყნის ტერიტორიაზე საზღვრების გადაკვეთა ქვეყანაში შეღწევის მიზნით (მათ შორის სატრანზიტო ქვეყნების გავლითაც).

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის³⁹⁰ მიხედვით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განსაზღვრება სამ ძირითად ელემენტს შეიცავს: პირველი, ადამიანის გადაადგილება, რაშიც იგულისხმება პირის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ან მიღება; მეორე, ამ მიზნით გამოყენებული მეთოდები და საშუალებები, რაც გამოხატულია პირის იძულებაში, გატაცებაში, მოტყუებაში, თაღლითობაში, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა თუ უმწეო მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში; და მესამე ელემენტია აღნიშნული ქმედების მიზნები, რაც მოიცავს ექსპლუატაციის ყველა ფორმას, მათ შორის სექსუალურ ექსპლუატაციას, იძულებით შრომას, მომსახურებას, მონობას, სხეულის ორგანოების ამოღებას და სხვ.

ამრიგად, ზემოაღნიშნულ ელემენტთა განხილვა საშუალებას გვაძლევს გამოიკვეთოს ძირითადი განსხვავებანი ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგსა) და მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანას შორის.

³⁸⁶ *იხ. იქვე*

³⁸⁷ *იხ.: იქვე, მე-3(ბ) მუხლი.*

³⁸⁸ *იხ.: იქვე, მე-3(გ) მუხლი.*

³⁸⁹ *იხ.: იქვე*

³⁹⁰ *იხ.: იქვე*

პირველი და არსებითი განსხვავება მდგომარეობს ქმედებათა მიზანში. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიზანია ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის შემდგომი ექსპლუატაცია, რაც იწვევს მისი ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის უხემ შეზღუდვას და ადამიანის უფლებების დარღვევას წარმოადგენს, ხოლო მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანა გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიაზე მიგრანტთა არალეგალურად შესვლის ხელშეწყობას.³⁹¹ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისგან განსხვავებით, საზღვარზე უკანონოდ გადაყვანილი მიგრანტი თანახმაა მის მიერ საზღვრის უკანონო გადაკვეთაზე, რის შედეგადაც იგი აღწევს დანიშნულების ადგილს, დანიშნულების ქვეყანაში და მის მიერ საზღვრის უკანონო კვეთა სრულდება დანიშნულების ქვეყანაში მოხვედრით. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის შემთხვევაში კი, დანიშნულების ქვეყანაში მისი ჩასვლის შემდეგ იწყება მისი ექსპლუატაცია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარზე უკანონოდ გადაყვანილი მიგრანტიც შესაძლოა ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლი გახდეს, ვინაიდან ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) და საზღვარზე უკანონოდ გადაყვანას შორის არსებული გასხვავება ყოველთვის მკაფიო არ არის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა პირმა უკანონო გადაყვანის განმახორციელებელ პირს სთხოვა დანიშნულების ადგილამდე არალეგალურად შეღწევაში დახმარება, მაგრამ აღნიშნული ქმედება არ დასრულდა დანიშნულების სახელმწიფოში შესვლით და დასასრულს იგი ექსპლუატაციის მსხვერპლი აღმოჩნდა. ამ კონტექსტში განიხილება ასევე შემთხვევა, როცა მიგრანტი ქალებისათვის ცნობილია რომ დანიშნულების ქვეყანაში მათი შესვლის შემდეგ ისინი დაკავდებიან პროსტიტუციით, მაგრამ ისინი ვერ აცნობიერებენ მოსალოდნელი ძალადობის ხარისხს და ექსპლუატაციის შედეგებს. ორივე ეს შემთხვევა განხილულ უნდა იქნას როგორც ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)³⁹². აქედან გამომდინარე, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ითვლება ადამიანის უფლებათა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, ხოლო მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანა საიმიგრაციო კანონების და დადგენილი პროცედურების დარღვევაა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად უნდა იქნას განხილული.³⁹³ იმის განსაზღვრა, რომ ქმედება საზღვარზე უკანონო გადაყვანას წარმოადგენს თუ ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), იმ თვალსაზრისითაცაა მნიშვნელოვანი რომ ქვეყნების კანონმდებლობები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მიმართ უფრო მყარი უფლებებით დაცვის სისტემების ჩამოყალიბებას ცდილობს, ვიდრე საზღვარზე უკანონო მიგრანტთა უფლებების დაცვას. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგისათვის) დაწესებული სანქციები უფრო მაღალი და მკაცრია, ვიდრე საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის შემთხვევაში.³⁹⁴

³⁹¹ იხ.: სქოლიო 203, გვ. 785-787.

³⁹² იხ.: სქოლიო 2, მე-3 (ბ) მუხლი.

³⁹³ იხ.: იქვე

³⁹⁴ იხ.: სქოლიო 203, გვ. 786.

შემდეგი განსხვავება ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგსა) და მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანას შორის არის ის, რომ უკანონო გადაყვანის განხორციელებისას გადაბირების ეტაპი საჭირო არ არის. საზღვრის უკანონო გადაკვეთის მსურველი პირი თავად იწენს ინიციატივას, განსხვავებით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევებისგან, როცა ადამიანით მოვაჭრეები იყენებენ გადაბირების სხვადასხვა მეთოდებს, პირად კონტაქტებს, საზღვარგარეთ დასაქმების შესახებ სარეკლამო განცხადებებს და სხვა.³⁹⁵

აღნიშნული ორი ქმედების განმასხვავებელი შემდეგი ელემენტი თანხმობა. მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის შემთხვევაში ხდება იმ პირთა გადაყვანა, რომლებმაც აღნიშნულ ქმედებაზე თანხმობა განაცხადეს, თუნდაც საშიში პირობების მიუხედავად. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის შემთხვევაში კი მას ან არ განუცხადებია თანხმობა, ან თუ თავდაპირველად დათანხმდა, მის თანხმობას მნიშვნელობა არ ენიჭება ადამიანით მოვაჭრის (ტრეფიკერის) მიერ მის მიმართ იძულებითი და შეურაცხყოფელი ქმედებების გამოყენებასა და ექსპლუატაციაზე³⁹⁶, რომელიც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიზანს წარმოადგენს, განსხვავებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის შემთხვევისაგან, რომლის მიზანიც პირის ექსპლუატაცია არ არის.

რაც შეეხება შემდეგ განსხვავებას, ეს არის მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის ტრანსნაციონალური ხასიათი, რომელიც ამ ქმედების აუცილებელი მახასიათებელია, განსხვავებით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგისგან), რომლის დროსაც ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) შესაძლებელია ჩადენილი იქნას მსხვერპლის წარმომავლობის ქვეყანაშივე და აღნიშნული დანაშაულისათვის საზღვრის კვეთა მაკვალიფიცირებელი გარემოება არ არის³⁹⁷.

როგორც აღინიშნა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, რომლის დროსაც ხდება ადამიანის უფლებათა დარღვევა, პირი იძულების და ექსპლუატაციის მსხვერპლია, შესაბამისად, სახელმწიფო ამ პირს როგორც მსხვერპლს ისე უნდა მოექცეს. მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის დანაშაული ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, რომლის დროსაც ხდება საიმპერაციო კანონმდებლობის და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, ხოლო მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანა თავისთავად არ გულისხმობს გადაყვანილ მიგრანტთა მიმართ დანაშაულის ჩადენას.

მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის მიზანია სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვა, ხოლო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლით სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას, ვინაიდან სახელმწიფოს

³⁹⁵ იხ.: იქვე

³⁹⁶ იხ.: იქვე

³⁹⁷ იხ.: სისხლის სამართლის კოდექსის 143 1 მუხლი

ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს საკუთარ მოქალაქეთა უფლებების დაცვა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განხილულ საქმეში *სილიადინი საფრანგეთის წინააღმდეგ*³⁹⁸ მიუთითა, რომ დაუშვებელია პირის დამონება ან ყმობის მდგომარეობაში ჩაყენება და აღნიშნული გამოხატავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ პრინციპს. მხოლოდ ის ფაქტი რომ სახელმწიფოს მიერ არ დარღვეულა პირის უფლება, საკმარისად არ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს მიერ თავისი მოვალეობის შესრულებისას. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა სისხლის სამართლის ისეთი კანონმდებლობის შემუშავება და მისი ეფექტური განხორციელების მექანიზმების შექმნა, რომლითაც კონვენციის მე-4 მუხლით განსაზღვრული საქმიანობის დასჯადობა იქნება უზრუნველყოფილი.³⁹⁹ აქვე უნდა აღინიშნოს რომ *სილიადინი საფრანგეთის წინააღმდეგ* საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების აღნიშნული მუხლი სასამართლოს სხვა მსგავსი ხასიათის საქმეებზეც იქნა გამოყენებული.⁴⁰⁰

ადამიანით მოვაჭრეს და მსხვერპლს შორის ურთიერთობა მსხვერპლის ხანგრძლივ ექსპლუატაციაშია გამოხატული და ეს დამოკიდებულება მიმართულია ადამიანით მოვაჭრისთვის სარგებლის მიღებისაკენ, ხოლო მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაკვეთის შემთხვევაში, გადამყვანსა და გადაყვანილს შორის ურთიერთობა სრულდება მას შემდეგ, რაც გადამყვანმა უზრუნველყო საზღვრის უკანონო გადაკვეთა და გადაყვანილისგან მიიღო ამ მომსახურების საზღაური.

4.5. საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობების ანალოგიები და განსხვავებანი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიზანთან, ქმედებასთან და საშუალებებთან მიმართებაში

განვიხილოთ პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმისა⁴⁰¹ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დეფინიციები დანაშაულის მიზანთან მიმართებაში. როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ აღინიშნა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიზანს ექსპლუატაცია წარმოადგენს. პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ექსპლუატაციას

³⁹⁸ იხ.: სქოლიო 6.

³⁹⁹ იხ.: იქვე, 112 –ე პუნქტი.

⁴⁰⁰ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *ც.ნ. და ვ. საფრანგეთის წინააღმდეგ*, (*C.N. and V. v. France*)(11.01.2013) *European Court of Human Rights*, N. 67724/09.

ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *ც.ნ. დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ* (*C.N. v. the United Kingdom*)(13.02.2013) *European courts of Human Rights*, n. 4239/08.

⁴⁰¹ იხ.: სქოლიო 2.

სხვადასხვაგვარად განმარტავენ და განვიხილოთ ისინი კომპონენტების მიხედვით.

ა) იძულებითი შრომა – პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მიხედვით, ექსპლუატაციის დეფინიციაში გათვალისწინებულია იძულებითი შრომა ან მომსახურება, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 1431 მუხლით – იძულებითი შრომა. როცა ადამიანს უკანონოდ ეზღუდება თავისუფლება და მას აიძულებენ იმუშაოს თავისი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, აღნიშნული განხილული უნდა იქნას როგორც იძულებითი შრომა და შესაბამისად, ადგილი აქვს ადამიანის ექსპლუატაციას. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს იძულებითი შრომა რა პირობებში ხდება, ადგილი აქვს თუ არა ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახავ გარემოებებს, ანაზღაურებით ხდება თუ ანაზღაურების გარეშე.

ბ) ექსპლუატაციის ქართულ დეფინიციაში გათვალისწინებულია პირის დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმა, რაც პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმით გათვალისწინებული არ არის. სავარაუდოდ, აღნიშნული ტერმინი ქართულ კანონმდებლობაში რუსული კანონმდებლობის გავლენით მოხვდა და „შესაძლებლობას იძლევა ადამიანის ტრეფიკინგად შეფასდეს ნებისმიერი დანაშაულის წამქეზებლობა ან შეუაღობითი ამსრულებლობა, რამაც შესაძლებელია დანაშაულის კვალიფიკაციისას სერიოზულ პრობლემები წარმოშვას, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების რიგს მიეკუთვნება“⁴⁰².

გ) პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიციაში ექსპლუატაციად ითვლება პროსტიტუციის ექსპლუატაცია, ხოლო ქართული კანონმდებლობით – პროსტიტუციაში ჩაბმა; ასევე, პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიცია ითვალისწინებს სქესობრივ ექსპლუატაციას, ხოლო ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებულია სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევა⁴⁰³.

დ) პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მიხედვით, ექსპლუატაციის დეფინიცია ითვალისწინებს მონობას, მონობის მსგავს მდგომარეობას და სერვიტუტს, ხოლო ქართულ დეფინიციაში გამოტოვებულია ისეთი დანაშაულები, როგორცაა მონობის მსგავსი მდგომარეობა და სერვიტუტი. მონობის კლასიკური დეფინიციის ნაცვლად შემოტანილია ტერმინი „მონობის თანამედროვე პირობები“, რომელიც გულისხმობს, პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას.

⁴⁰² იხ.: სქოლიო 48, გვ. 27.

⁴⁰³ იხ.: იქვე

სასურველი იყო ქართულ კანონმდებლობაში გათვალისწინებული ყოფილიყო პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიციაში გამოყენებული ტერმინი - „მონობის მსგავსი მდგომარეობა“, რომელიც ქართული კანონმდებლობით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციაში არ გვხვდება, და რომელიც თავის თავში მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორც არის სავალო კაბალა და ყმობა, აგრეთვე, ქალის გათხოვება ან მასზე უფლების გადაცემა თანხის მიღებით, ქალის მემკვიდრეობით გადაცემა ან ბაშვის გადაცემა მისი ექსპლუატაციის მიზნით.

რაც შეეხება დანაშაულებრივ ქმედებებს, პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმისა და ქართული კანონმდებლობის მსგავსება და განსხვავება ასეთია:

ა) პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიცია არ შეიცავს ქართული დეფინიციით გათვალისწინებულ ყიდვა-გაყიდვას ან პირის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას. თუმცა ოქმის საშუალებათა ჩამონათვალში აღნიშნული ქმედებები ფორმულირებულია როგორც „საფასურის მიცემით ან მიღებით იმ პირისგან, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა ადამიანზე“, რაც შესაძლებელია გაგებულ იქნას როგორც ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა.⁴⁰⁴

ბ) პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმით გათვალისწინებული ქმედებები - გადაყვანა (*transportation*), გადამალვა (*harboring*) და მიღება (*receipt*) ასახულია ქართულ კანონმდებლობაში, როგორც ეს უკვე ზემოთ არის განხილული⁴⁰⁵. სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლის დეფინიცია არ შეიცავს პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმით გათვალისწინებულ ისეთ ქმედებას, როგორცაა გადაცემა (*transfer*).

გ) ინტერესმოკლებული არ იქნება ცალკე აღინიშნოს ორივე კანონმდებლობით გამოყენებული ისეთი ქმედება როგორცაა გადაბირება, ვინაიდან არსებობს მოსაზრება რომ ქართული დეფინიციაში გამოყენებული ტერმინი „გადაბირება“, რომელიც ინგლისური „recruitment“-ის თარგმანს წარმოადგენს, სრულად ვერ გამოხატავს იმ მოქმედების არსს, რომელიც ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება. მიუხედავად ამისა, გადაბირება გათვალისწინებულია როგორც პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლის დეფინიციით, ხოლო გადაბირების განმარტება მოცემულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით და როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, განიმარტება როგორც „ადამიანის დარწმუნება ან შეთავაზება შეასრულოს რაიმე სახის სამუშაო ან მომსახურება ან მონაწილეობა მიიღოს რაიმე სახის ქმედებაში.“

⁴⁰⁴ იხ.: სქოლიო 48, გვ. 30.

⁴⁰⁵ იხ.: იქვე

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმისა და სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლის დეფინიციით გათვალისწინებული საშუალებების შედარებითი ანალიზი ასეთია:

ა) პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმითაც და სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლითაც, ორივე დოკუმენტით გათვალისწინებულია ისეთი საშუალებები როგორცაა იძულება, მოტყუება, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ასევე უძველეს მდგომარეობის გამოყენება.

ბ) ისეთი საშუალება, როგორცაა ძალის გამოყენება, პალერმოს კონვენციის დამატებით ოქმში ასევეა ფორმულირებული, ხოლო ქართული კანონმდებლობის მიხედვით განიხილება როგორც სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა.

გ) შემდეგი საშუალება, რომელიც ქართულ კანონმდებლობაში გვხვდება ტერმინით „დამნაშავეზე მისი მატერიალური ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენება“, პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიციაში გამოყენებული ფორმულირება „საფასურის მიცემა იმ პირისათვის რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა ადამიანზე“ და „საფასურის მიღება იმ პირის მიერ რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა ადამიანზე“, შესაძლებელია ერთგვაროვნად იქნას გაგებული.

ქართულ დეფინიციაში ჩამოთვლილ საშუალებებს შორის გათვალისწინებულია შანტაჟი, რომელსაც პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიცია არ შეიცავს. ამავე დროს, გამოტოვებულია მუქარა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია და განიმარტება როგორც „სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში“.⁴⁰⁶

სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლის დეფინიციით, ასევე არაა გათვალისწინებული პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიციაში მოცემული ისეთი საშუალება, როგორცაა თაღლითობა. თაღლითობა სისხლის სამართლის კოდექსით 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია და განიმარტება როგორც „მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით“. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ტერმინი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციის მიღებამდე ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ამ ტიპის დანაშაულების მიმართ.

სისხლის სამართალში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, დანაშაულის საშუალებათა სიმრავლე პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიციის ნაკლოვანებად არის მიჩნეული და

⁴⁰⁶ იხ.: სისხლის სამართლის კოდექსი, 151-ე მუხლი.

ითვლება რომ მნიშვნელოვანია არა ის „საშუალება“, რომლის მეშვეობითაც პირი გახდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, არამედ თავად ფაქტი, რომ მოხდა ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადაცემა, გადაძალვა ან მიღება (სულ ერთია, რა საშუალებით) მისი იძულებითი შრომის ან მონობის ან მონობის მსგავსი მდგომარეობისათვის გამოყენების მიზნით.⁴⁰⁷

ამრიგად, წინამდებარე თავში განხილული იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიზანი, ქმედებები და დანაშაულის ჩადენის საშუალებები, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის ანალოგიები და განსხვავებანი, არასრულწლოვნით ვაჭრობის თავისებურებები, დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები. გარდა ამისა, განხილული იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის განსხვავება მსგავსი დანაშაულებისაგან.

თავი მეხუთე: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეების გამოძიება და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენებული მეთოდები

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი, როგორც უკვე წინა თავებში აღინიშნა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმია ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ⁴⁰⁸, რომელიც არამარტო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციის ძირითად დოკუმენტად ითვლება, არამედ მასში აღიარებულია სახელმწიფოთა მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დაცვის სისტემის შექმნის აუცილებლობა. პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით სახელმწიფოთა მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნას ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის აღკვეთა და მის წინააღმდეგ ბრძოლა⁴⁰⁹, ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და დახმარება მათი უფლებების სრული პატივისცემით⁴¹⁰. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფოთა მიერ კანონმდებლობის მოწყობა და მისი იმპლემენტაცია აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით. სახელმწიფოთა კანონმდებლობების მიმართ იგივე მოთხოვნებს ადგენს ევროპის საბჭოს კონვენცია

⁴⁰⁷ იხ.: სქოლიო 48, გვ. 32.

⁴⁰⁸ იხ.: სქოლიო 2.

⁴⁰⁹ იხ.: იქვე, მე-2(ა) მუხლი.

⁴¹⁰ იხ.: იქვე, მე-2(ბ) მუხლი.

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ⁴¹¹, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოთა მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა⁴¹²; მსხვერპლთა დაცვა და მათი დახმარების სისტემის შექმნა, ასევე ეფექტური გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის უზრუნველყოფა⁴¹³.

ნაშრომის მიზნისათვის, ინტერესმოკლებული არ იქნება ზემოაღნიშნული ფაქტორების, განსაკუთრებით სისხლის სამართლებრივი დევნის, გამოძიების ეფექტურობისათვის და დამნაშავეთა დასჯისათვის აუცილებელი ზომების, ასევე მსხვერპლთა დაცვის მექანიზმების განხილვა, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში.

5.1. სამართალდამცავი ორგანოების სტრატეგია და გამოძიების მეთოდები

სახელმწიფოთა მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მხოლოდ კრიმინალიზაცია საკმარისი არ არის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველსაყოფად. ამისათვის აუცილებელია სახელმწიფოთა მიერ გამოყენებული იქნას ყველა ზომა, მათ შორის გამოძიების ეფექტურად წარმოება და დანაშაულის დამტკიცებისათვის საჭირო მტკიცებულებათა მოგროვებისა და დამაგრების უზრუნველყოფა. არსებობს რიგი სპეციალური მეთოდები, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის არსებობისას, განსაკუთრებით კი ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ კომპონენტებს: რეკლამირებას, მსხვერპლის შესყიდვას და ტრანსპორტირებას, კომუნიკაციას და განხორციელებულ ფინანსურ ოპერაციებს.⁴¹⁴ რაც შეეხება გამოძიების მეთოდებს, არსებობს გამოძიების რამდენიმე მეთოდი, როგორცაა რეაქტიური, პროაქტიური და ჩაშლის მეთოდები⁴¹⁵. ინტერესმოკლებული არ იქნება მათი განხილვა.

რეაქტიური გამოძიების მეთოდი მსხვერპლზე ორიენტირებულ მეთოდად ითვლება, იგი მსხვერპლის მიერ მიცემულ ჩვენებებს ეყრდნობა, რასაც შემდეგ უნდა მოჰყვეს პოლიციის მიერ დანაშაულის გამოძიება. მსხვერპლის მიერ პოლიციისათვის ჩვენების ოფიციალურად მიცემის შემდეგ, მას მსხვერპლის სტატუსი ენიჭება⁴¹⁶, ხოლო პოლიცია იწყებს გამოძიებას შემდეგი ფაქტორების შეფასების შემდეგ: საჭიროა თუ არა

⁴¹¹ იხ.: სქოლიო 4.

⁴¹² იხ.: იქვე, 1 (ა) მუხლი.

⁴¹³ იხ.: იქვე, მე-1(ბ) მუხლი.

⁴¹⁴ იხ.: სქოლიო 120, გვ. 80-82.

⁴¹⁵ იხ.: იქვე

⁴¹⁶ იხ.: სქოლიო 95, გვ. 406-409.

პოლიციის დაუყოვნებლივი მოქმედება; ცნობილია თუ არა მოწმეთა ვინაობა და აქვთ თუ არა მათ გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი; არსებობს თუ არა მსხვერპლის ჩვენების მტკიცებულებები; საჭიროებს თუ არა მსხვერპლი ან მოწმე დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვას.⁴¹⁷ აღნიშნული ფაქტორების შეფასება სახელმწიფოს შესაძლებლობას აძლევს, აწარმოოს ეფექტური გამოძიება რეაქტიური გამოძიების მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის გამოყენება ძირითადად ხდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე ინფორმაციისას ჩარევის აუცილებლობის და დანაშაულებრივი ქმედების ფაქტის აღკვეთის აუცილებლობის არსებობისას. ასეთ შემთხვევაში, გამოძიების დაწყების დაგვიანებამ შესაძლებელია მსხვერპლს სერიოზული ზიანი მიაყენოს, ხოლო ეჭვმიტანილს მისცეს გაუჩინარების და მტკიცებულებათა განადგურების შესაძლებლობა.⁴¹⁸

გამოძიების ერთ-ერთი, ასევე ეფექტური მეთოდია პროაქტიური გამოძიების მეთოდი, რომელიც გამოძიების პროცესში წარმოებულ ოპერატიულ ანგარიშს ეყრდნობა და ძირითადად სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებზეა ორიენტირებული, მოიცავს გამოძიების განსაკუთრებულ მეთოდებს და დამოკიდებული არ არის მსხვერპლის მიერ მიცემულ ჩვენებაზე ან მსხვერპლის მიერ ჩვენების მიცემაზე. აღნიშნულ მეთოდს გამოძიება მაშინაც მიმართავს, როცა აუცილებელია ადამიანით მოვაჭრის დაპატიმრება და მისი გასამართლება, ხოლო მსხვერპლთან თანამშრომლობა შეუძლებელია. ძირითადად ეს მეთოდი ოპერატიული ინფორმაციის შეგროვების, თვალთვალის, ფარული აგენტების ჩანერგვის და გამოძიების სტანდარტული მეთოდების კომბინაციაა, რომელიც სახელმწიფოს და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოიყენება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლისათვის. როგორც აღინიშნა, გამოძიების ამ მეთოდის გამოყენება და გამოძიების დაწყება შესაძლებელია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ ინფორმაციის არსებობისას ან მსხვერპლისგან სიტყვიერად მიღებული საჩივრის შემთხვევაში, როცა მსხვერპლს არ სურს ჩვენების ოფიციალურად მიცემა, ან ინფორმაცია სამართალდამცავ ორგანოებს მიეწოდა მოწმის ან სხვა პირების მიერ. ამრიგად, პროაქტიური გამოძიება არის სამართალდამცავი ორგანოების მიერ წარმოებული გამოძიება, რომელიც დაიწყო ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე და მას მოსდევს ადამიანით მოვაჭრის დაპატიმრება და პასუხისგებაში მიცემა მსხვერპლთან თანამშრომლობის და მისი ჩვენების გარეშე.⁴¹⁹

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების რეაქტიური მეთოდი პროაქტიურთან შედარებით უფრო სუსტია, რაც გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: მსხვერპლი თავდაპირველად შესაძლოა თანახმა იყოს ჩვენების მიცემაზე, მაგრამ მოგვიანებით აზრი შეიცვალოს და უარი თქვას, რაც ართულებს გამოძიების პროცესს; მსხვერპლის მიერ გამოძიებას შესაძლოა ისეთი ინფორმაცია მიეწოდოს, რომელიც

⁴¹⁷ იხ.: იქვე

⁴¹⁸ იხ.: იქვე

⁴¹⁹ იხ.: იქვე

გადამოწმებას საჭიროებდეს და გადამოწმების გარეშე არ იძლეოდეს დამნაშავის დაკავების შესაძლებლობას; მტკიცებულებები შესაძლოა იყოს არასრული. როგორც აღინიშნა, ეს ფაქტორები გამოძიების პროცესს ართულებს და რეაქტიურ გამოძიებას უფრო არაეფექტურ მეთოდად აქცევს პროაქტიურთან შედარებით.⁴²⁰ გამოძიების პროაქტიური მეთოდის ერთერთი უპირატესობაა ასევე ისიც, რომ გამოძიების პროაქტიური მეთოდით წარმოებისას, პოლიციას შესაძლებლობა აქვს თავად შეარჩიოს ოპერაციის დაწყების ადგილი, აკონტროლოს გამოძიების მიმართულება და სიტუაციაზე კონტროლი გამოძიების საბოლოო დასრულებამდე შეინარჩუნოს. აქედან გამომდინარე, სამართალდამცავი ორგანოები უპირატესობას გამოძიების პროაქტიურ მეთოდს ანიჭებენ, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, ეს მეთოდი უფრო ეფექტურად ითვლება, რადგანაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები თავად ახორციელებენ კონტროლს გამოძიების დროსა და მობილურობაზე და ასეთ გარემოებებში ადამიანით მოვაჭრეებმა არ იციან სად, როდის და რას მოიმოქმედებს გამოძიება⁴²¹.

რაც შეეხება პროაქტიური გამოძიების მეთოდებს, ქართული კანონმდებლობით იგი რეგულირდება საქართველოს კანონით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ⁴²², რომელიც შემდეგ მეთოდებს მოიცავს: პირის გამოკითხვა⁴²³, რომელიც გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ იმ ფიზიკურ პირთან გასაუბრებას, რომელსაც შემთხვევის შესახებ ან შემთხვევასთან დაკავშირებული პირების შესახებ ინფორმაცია აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს (მიუხედავად იმისა, რომ პირადი მონაცემები კერძო ცხოვრების ნაწილია და პირადი მონაცემების შეგროვება კერძო ცხოვრების დარღვევას არ უნდა იწვევდეს, ასევე, პირადი ინფორმაციის თავმოყრა პირის თანხმობით უნდა მოხდეს). ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი ითვალისწინებს იმ გამონაკლისებს, როცა პირადი ინფორმაციის შეგროვება დასაშვებია პირის ნებართვის გარეშე. ასეთი გამონაკლისის გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულია დანაშაულთან ბრძოლისა და გამოძიების ინტერესებით, ასევე, ეროვნული უსაფრთხოებისა და უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე⁴²⁴; ცნობების შეგროვება⁴²⁵ - სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტობრივი მონაცემების ოფიციალურად მოპოვება (ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, დასაშვებია პირადი ინფორმაციის მოპოვება პირის თანხმობის გარეშე და დაშვებია მესამე პირისათვის ეჭვმიტანილის ფოტოს ან მის შესახებ ინფორმაციის

⁴²⁰ იხ.: იქვე

⁴²¹ იხ.: სქოლიო 351, გვ. 52.

⁴²² იხ.: საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, N.1933 (29.04.1999).

⁴²³ იხ.: იქვე, 1 (ა) მუხლი.

⁴²⁴ იხ.: ბიჭია, მ. (2012) *პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით*, გვ. 94.

⁴²⁵ იხ.: იქვე, 1(ბ) მუხლი.

გადაცემა, თუ ეს გამოძიების ინტერესებითაა ნაკარნახევი⁴²⁶); ვიზუალური კონტროლი⁴²⁷ - ოპერატიული თვალთვალი, რომელიც ხორციელდება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ უშუალოდ ან სხვა საშუალებების გამოყენებით; საკონტროლო შესყიდვა⁴²⁸ - ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საგნის ან ნივთიერების შეძენა ან შეძენის სიტუაციის შექმნა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ; კონტროლირებადი მიწოდება⁴²⁹ - დამნაშავის გამოსავლენად და დანაშაულის გასახსნელად ქვეყნის ტერიტორიაზე ან ტერიტორიის გარეთ ნივთიერი მტკიცებულების ან იმ საგნის კონტროლირებადი გადაადგილება, რომლის შეძენაც კანონით აკრძალული ან შეზღუდულია; პიროვნების იდენტიფიკაცია⁴³⁰ - ეჭვმიტანილის დადგენა დაქტილოსკოპიური კარტოტეკის, შემთხვევის ადგილზე დატოვებული კვალის, სუნის ან სხვა მახასიათებლის მიხედვით; საგნების და დოკუმენტების გამოკვლევა⁴³¹ ვიზუალური ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რაც ექსპერტის დასკვნად არ ჩაითვლება; ინფორმაციის მოხსნა კავშირგაბმულობის არხიდან⁴³²; საიდუმლო თანამშრომლის გამოყენება⁴³³ და კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა⁴³⁴ დანაშაულებრივ ფორმირებაში შესაღწევად. ამავე კანონითვე იკრძალება ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც საფრთხეს უქმნის: (ა) ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივს, ღირსებას, ქონებას; (ბ) იურიდიული პირის უფლებებს; (გ) დაკავშირებულია მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან, დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენასთან.⁴³⁵

იმისათვის რომ სახელმწიფოს მიერ პროაქტიური გამოძიება თანმიმდევრულად წარიმართოს და სათანადო რეაგირება უზრუნველყოფილი იყოს, პროაქტიური გამოძიების წარმართვისას რეკომენდირებულია შემდეგი თანმიმდევრობის გათვალისწინება: ინფორმაციის მიღება და გაანალიზება; ინფორმატორთა გამოვლენა და მიღებული ინფორმაციის გადამოწმება; მსხვერპლთა იდენტიფიკაცია, მათი გადაბირება ოპერატიული მიზნებისათვის და მათგან ჩვენებების მიღება; მოქმედი აგენტებისგან ჩვენებების მიღება; მსხვერპლის მგზავრობის მარშრუტის დადგენა, მსხვერპლის ნათესავთა შეძლებისდაგვარად მოძიება მსხვერპლის წარმოშობის ქვეყნებში, ასევე მისი ქვეყნის დატოვების მიზეზების გამორკვევა; ოპერაციის დაგეგმვა, ეჭვმიტანილთა დაპატიმრება; ნივთიერი მტკიცებულებების შეგროვება;

⁴²⁶ იხ.: ბიჭია მ. გვ. 95.

⁴²⁷ იხ.: იქვე, 1(გ) მუხლი.

⁴²⁸ იხ.: იქვე, 1(დ) მუხლი.

⁴²⁹ იხ.: იქვე, 1(ე) მუხლი.

⁴³⁰ იხ.: იქვე, 1(ვ) მუხლი.

⁴³¹ იხ.: იქვე, 1(ზ) მუხლი.

⁴³² იხ.: იქვე, 1(თ) მუხლი.

⁴³³ იხ.: იქვე, 1(ი) მუხლი.

⁴³⁴ იხ.: იქვე, 1(კ) მუხლი.

⁴³⁵ იხ.: იქვე, მე-3 მუხლი.

ორგანიზატორთა დაპატიმრება; მსხვერპლის მიმართ არსებული რისკის შეფასება, მისი რეფერირება და დაცვა.⁴³⁶

ამავდროულად, ძალიან მნიშვნელოვანია დაპატიმრების წინა ფაზაში პროაქტიური ტაქტიკის შემუშავება, რომელიც მიმართული უნდა იყოს იმ მტკიცებულების მოგროვებისაკენ, რომლითაც მოხდება ადამიანით მოვაჭრის დაკავება და გასამართლება, მისი ქონების კონფისკაცია; მსხვერპლის დახმარება და დაცვა. ადამიანით მოვაჭრის დაკავების ოპერაცია ისე უნდა დაიგეგმოს, რომ გათვალისწინებული იყოს ყველა საკითხი ოპერაციაში მონაწილე თითოეული პირისა და პროცესის თითოეული ეტაპის ჩათვლით, ხოლო ოპერაციის ამოცანები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, გათვალისწინებული იყოს ყველა სავარაუდო თუ მოსალოდნელი რისკი. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა მოსალოდნელი მოქმედება: შემთხვევის ადგილას შეღწევა და დანაშაულის ადგილის დაცულობა; შენობის ჩხრეკა დანაშაულის მტკიცებულებების მოპოვების და მოგროვების მიზნით; მსხვერპლის აღმოჩენა და დახმარება; ეჭვმიტანილთა დაკავება; მტკიცებულებათა ამოღება და კონფისკაცია (ნივთიერ მტკიცებულებებზე ჩაითვლება თანხა, პორნოგრაფიული ხასიათის მასალა, ჩანაწერი ან დოკუმენტი რომელიც ადასტურებს დანაშაულის ჩადენას); ორგანიზატორის შექმნის დაგეგმვად გამოვლენა და მისი დაკავება.

გამოძიების ერთ-ერთი მეთოდია ასევე ჩაშლის მეთოდი, რომელიც ძირითადად პოლიციის თანამშრომელთა მიერ განხორციელებულ ქმედებებს და ოპერაციას ეყრდნობა, რომელიც უკანონო ქმედების აღკვეთისკენაა მიმართული,⁴³⁷ თუმცა აღნიშნული მეთოდი ძალიან ფართო გამოყენების არ არის.

5.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მტკიცებულებები

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმის გამოძიების პროცესში, ისევე როგორც ყველა სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცებულებებს. როგორც აღინიშნა, ეს წესი ყველა დანაშაულის შემთხვევაზე ვრცელდება, თუმცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევათა სამართლებრივ დევნას ართულებს უტყუარ მტკიცებულებათა ნაკლები ხელმისაწვდომობა, რაც ძირითადად დანაშაულის ტრანსნაციონალური ხასიათით და სხვა სახელმწიფოდან მტკიცებულებათა მოპოვების სირთულითაა გამოწვეული. გარდა ამისა, დანაშაულის გამოძიებას აფერხებს

⁴³⁶ იხ.: სქოლიო 351, გვ. 54-55.

⁴³⁷ იხ.: სქოლიო 120, გვ. 80-82.

მსხვერპლის ფსიქო-ემოციონალური მდგომარეობა და აქედან გამომდინარე პრობლემები⁴³⁸.

მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია დანაშაულის ჩადენის ადგილის შესწავლა, თუმცა სხვა მძიმე დანაშაულთაგან განსხვავებით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევის ადგილის განსაზღვრა და იდენტიფიცირება რთულია, აქედან გამომდინარე, სამართალდამცავები დანაშაულის ადგილად დიდ არეალს განიხილავენ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემთხვევის ადგილად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ადგილი, სადაც შეხება ჰქონდა ადამიანით მოვაჭრეს ან მსხვერპლს. შესაძლებელია, ეს იყოს სახმელეთო საზღვრის გადაკვეთის ადგილი, საჰაერო ან საზღვაო შესვლის ადგილი, პორტიდან გასვლის ადგილი და სხვა. გარდა ამისა, დანაშაულის ადგილად შეიძლება ჩაითვალოს სასტუმრო, საროსკიპო, საუნა თუ ღამის კლუბი, სადაც შესაძლებელია მომხდარიყო მსხვერპლის გადაადგილება ან ექსპლუატაცია; ასევე ის ტრანსპორტი, რომლითაც მსხვერპლს უწევდა გადაადგილება.⁴³⁹ სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულის ადგილის შესწავლის მიზნით გამოყენებული უნდა იქნას დანაშაულის ადგილას ჩასატარებელი ყველა ისეთი პროცედურა, როგორცაა დანაშაულის ადგილის დაცვა, მტკიცებულებათა მოძიება და მათი ამოღება, ეჭვმიტანილი პირების დაპატიმრება, მოწმეების და თვითმხილველი პირების იდენტიფიცირება და სხვა მსგავსი ზომები.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ეტაპების დამტკიცების მიზნით ნებისმიერი სახის მტკიცებულება შეიძლება იქნას გამოყენებული. დანაშაულთან დაკავშირებული ფული, ტელეფონი, სექსუალური ექსპლუატაციის დამადასტურებელი რაიმე სამხილი და სხვა. აღნიშნული განეკუთვნება მატერიალურ მტკიცებულებებს⁴⁴⁰. დოკუმენტურ მტკიცებულებებად ჩაითვლება მსხვერპლის, ეჭვმიტანილის, მოწმის ჩვენებები, ფოტოსურათები თუ რაიმე სახის ჩანაწერები და სხვა.⁴⁴¹ რაც შეეხება გამაძლიერებელი მტკიცებულებების გამოყენებას, გამაძლიერებელ მტკიცებულებებად ჩაითვლება ნებისმიერი სახის მტკიცებულება, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტის დამტკიცებას, მაგალითად დამატებითი ჩვენებები, რომლებიც წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამამყარებელ ჩვენებებს⁴⁴².

უფრო მეტი სიცხადისათვის, შესაძლებელია ჩამოთვლილ მტკიცებულებათა კატეგორიზაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ქმედების, საშუალებისა და მიზნის დამტკიცებისათვის. მაგალითად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ქმედებათა დასამტკიცებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნას ისეთი

⁴³⁸ იხ.: სქოლიო 158, გვ. 27-28.

⁴³⁹ იხ.: იქვე

⁴⁴⁰ იხ.: სქოლიო 351, გვ. 58-59.

⁴⁴¹ იხ.: იქვე

⁴⁴² იხ.: იქვე

მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ ყიდვა-გაყიდვის, ასევე გადაყვანის, გადამალვის, გადაბირების და ტრანსპორტირების ფაქტებს, მსხვერპლის გადაცემას, შეფარებას ან მიღებას. ასეთი ფაქტების მტკიცებულებებად ჩაითვლება მსხვერპლის ჩვენებები, გარიგების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, საგაზეთო განცხადებები, იმ ადგილის მეპატრონის ჩვენებები, სადაც მსხვერპლის შეფარება მოხდა და სხვ.⁴⁴³

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის საშუალებების დასამტკიცებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნას მსხვერპლის ან მოწმეთა ჩვენებებიდან მიღებული ინფორმაცია მუქარის, მოტაცების, შანტაჟის, პიროვნების უმწეო მდგომარეობის გამოყენების შესახებ, იძულების ან ძალადობის სხვა ფორმების მტკიცებულებათა ტრამვის კვალის არსებობა და სამედიცინო დასკვნა და სხვ. რაც შეეხება ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიზნის - ექსპლუატაციის დატკიცებას, პირის მონობის მსგავს ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მტკიცებულებებად ჩაითვლება საცხოვრებელი ან სამუშაო პირობების ფოტოგრაფიული მტკიცებულებები, პირისათვის დოკუმენტების ჩამორთმევა და სხვა. სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევის დამტკიცებისას - სექსუალური მომსახურების გაწევის იძულების კვალის არსებობა, მსხვერპლის ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით გამოყენების შემთხვევაში - სამედიცინო ხასიათის მტკიცებულებები ან მოწმეთა ჩვენებებში არსებული ინფორმაცია ამ ფაქტების შესახებ.

ასევე, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების გამოძიებისას, აუცილებელია საგამოძიებო ორგანოების მიერ დამატებითი მტკიცებულებების მოძიება, ვინაიდან არ შეიძლება საქმე მთლიანად მსხვერპლის ჩვენებებს და ეჭვმიტანილის აღიარებას ეყრდნობოდეს. რაც შეეხება ინფორმაციის წყაროებს, შესაძლებელია მათი დაყოფა შემდეგნაირად:

ა) ღია წყაროები, რომელშიც იგულისხმება შიდა, საჯარო და რბილი (ანუ ინფორმატორების მეშვეობით მიღებული) ინფორმაცია. ღია წყაროდან მიღებული ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციაა, რომელიც შეიძლება მოპოვებული იქნას კანონიერი და ეთიკური გზებით და შესაძლებელია შეიცავდეს პირის, ჯგუფის, ფაქტების ან შემთხვევის ადგილის შესახებ ინფორმაციას და სხვა. რაც შეეხება შიდა ინფორმაციას, იგულისხმება ნებისმიერი სახის პოლიციის ანგარიში, რომელიც ეხება კონკრეტულ შემთხვევას, ინფორმაცია სხვა უწყებებიდან (ინტერპოლი, სოციალური სამსახური, ციხეები და სხვა).

ა) დახურული წყაროები, რაშიც ძირითადად მოიაზრება ის ინფორმაცია, რომელიც მოპოვებული იქნა კონკრეტული მიზნისათვის და შეზღუდულია გაცემისათვის ან წვდომისათვის. დახურულ წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ტექნიკური ხასიათის ინფორმაცია, ფიზიკური და ფოტო თვალთვალი და სხვა ამგვარი ფორმით მიღებული ინფორმაცია.

⁴⁴³ იხ.: იქვე

ბ) კლასიფიცირებული ინფორმაცია ფარული საშუალებებით და ადამიანური თუ ტექნიკური რესურსის საშუალებით შეგროვილი ინფორმაციაა. ამ დროს სამართალდამცავი ორგანოები უნდა იყენებდნენ მათ ხელთ არსებულ ყველა შესაძლო საშუალებას.

ამრიგად, ნებისმიერი დოკუმენტი თუ ფოტოგრაფიული მტკიცებულებები, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დასადასტურებლად, სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოძიებული და სათანადო წესით დართული უნდა იქნას გამოძიების მასალებს, რაც ხელს შეუწყობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სათანადოდ გამოძიებას.

5.3. ადამიანით მოვაჭრე და მისი დასჯისათვის აუცილებელი ღონისძიებები

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემთხვევების გამოძიებისას აუცილებელი ხდება სხვადასხვა საგამოძიებო მეთოდების გამოყენება, დანაშაულის სრულყოფილად გამოძიების, მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და შემდგომში მათი დაცვისა და დახმარების მიზნით, ასევე დამნაშავეთა გამოვლენისა და მათი დასჯის მიზნით. საგამოძიებო მეთოდების მრავალფეროვნება გამოძიების, მსხვერპლთა დაცვისა და დამნაშავეთა დასჯის მიზნით იმითაცაა განპირობებული, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), როგორც ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ფორმის არსებობისას, ადგილი აქვს კარგად ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში ან სხვადასხვა ტერიტორიებზე არსებული პატარა ჯგუფებისაგან შედგება, სადაც თითოეული ჯგუფის წევრს საკუთარი როლი და დანიშნულება აქვს.⁴⁴⁴ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიებას ართულებს ასევე ის გარემოება, რომ ქმედებათა ან საშუალებათა განხორციელებისას ბევრი ისეთი კომპონენტი, როგორიცაა გადაბირება, გადაყვანის ეტაპები ან სხვა, ფარული რჩება. გარდა ამისა, დანაშაულებრივი ჯგუფები ხშირად სხვა, კანონიერი ბიზნესით ინიღბებიან და ისე საქმიანობენ, აქვთ მატერიალური ბაზა, საფინანსო ანგარიშები და უძრავი ქონება, ოფიციალურად დარეგისტრირებული საწარმო, კაზინოს, სასტუმროს თუ სხვა სახით; ორგანიზაციის წესდება და საინფორმაციო ბაზაც კი. ზოგ შემთხვევაში, თანამზრახველები სახელისუფლებო თუ სამართალდამცავ სისტემაშიც კი.⁴⁴⁵

⁴⁴⁴ იხ.: ნაჭყებია, გ. (2012) *ორგანიზებული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგადთეორიული საფუძვლები*, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, ავტ. კრებული, გვ. 39-41.

⁴⁴⁵ იხ.: იქვე, გვ. 461.

ამდენად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიებისას ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანით მოვაჭრის იდენტიფიცირება დანაშაულის მიზნის, ქმედებებისა და საშუალებების გათვალისწინებით.

ქმედების ნაწილში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციის, როგორც პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის⁴⁴⁶, ისე სისხლის სამართლის კოდექსის⁴⁴⁷ თანახმად, ადამიანით მოვაჭრედ შეიძლება ჩაითვალოს პიროვნების მყიდველი ან გამყიდველი, ასევე ნებისმიერი პირი ვინც ახდენს გადაბირებას, გადაყვანას, გადამალვას ან დაქირავებას, პირი, რომელიც მოახდენს ტრანსპორტირებას, გადაცემას, პირი რომელიც შეიფარებს ან მიიღებს მსხვერპლს. გადაყვანის განხორციელებისას, გადამყვანი პირი ზოგ შემთხვევაში შესაძლოა თავად მართავდეს სატრანსპორტო საშუალებას, ან მის მიერ გამოყენებული იქნას სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტი, ტაქსი, ავტობუსი თუ კერძო ავტომობილი.⁴⁴⁸ რაც შეეხება გადამბირებელს, ხშირად იგი მსხვერპლისათვის კარგად ნაცნობი პირია, რომელთანაც მსხვერპლი ნდობაში იმყოფება ან მსხვერპლის ნათესავია. შეფარებისას შესაძლებელია დაქირავებული ბინების გამოყენება მოხდეს, სადაც ხშირ შემთხვევაში ექსპლუატაციაც ხდება.⁴⁴⁹

საშუალებების ნაწილში, ადამიანით მოვაჭრედ ჩაითვლება პირი, რომელიც მსხვერპლის წინააღმდეგ იყენებს ისეთ საშუალებებს - როგორცაა მუქარა, ძალადობა ან იძულების სხვა საშუალება, მოტაცება, შანტაჟი, თაღლითობა, მოტყუება, პირის უმწეო მდგომარეობის ან მასზე ძალაუფლების გამოყენება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადამიანით მოვაჭრე ზოგ შემთხვევაში თავად არის ყოფილი მსხვერპლი.⁴⁵⁰

რაც შეეხება ადამიანით მოვაჭრის განსაზღვრას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიზნის ნაწილის შესაბამისად, ადამიანით მოვაჭრედ ჩაითვლება პირი, ვინც ეწევა მსხვერპლის ექსპლუატაციას, იყენებს მსხვერპლს იძულებითი შრომის ან მომსახურების მიზნით; დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით; მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში მოქცევის მიზნით; სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის იძულების მიზნით; ორგანოს, ორგანოთა ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის მიზნით. როგორც წინა თავებში განიმარტა, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს პირადობის აღმნიშვნელი დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კონტაქტის დამყარების აკრძალვას, კორესპონდენციისა და სატელეფონო კავშირების ჩათვლით, კულტურულ

⁴⁴⁶ იხ.: იქვე

⁴⁴⁷ იხ.: იქვე

⁴⁴⁸ იხ.: სქოლიო 158, გვ. 105-110.

⁴⁴⁹ იხ.: იქვე

⁴⁵⁰ იხ.: სქოლიო 199, გვ. 55.

იზოლაციას, პიროვნების პატივისა და ღირსების შემლახავ პირობებში მუშაობის იძულებას ან შრომის ადექვატური ანაზღაურების გარეშე მუშაობას. შესაბამისად, ადამიანით მოვაჭრედ ჩაითვლება პირი, რომელიც მსხვერპლის მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩასაყენებლად ჩამოთვლილი მოქმედებებიდან ერთ-ერთს ან რამდენიმეს განახორციელებს.

ამრიგად, ადამიანით მოვაჭრე შესაძლებელია იყოს მსხვერპლის გადამბირებელი პირი; ასევე დამჭირავებელი, პირი ვინც ეძებს პოტენციურ მსხვერპლს; გადამყვანი პირი, ანუ ის პირი, ვინც ეხმარება მსხვერპლს ქვეყნიდან ან ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებაში ზღვით, ხმელეთით ან საჰაერო საშუალებებით. გარდა ამისა, ადამიანით მოვაჭრეებად შეიძლება ჩაითვალოს ის პირები, ვინც აფინანსებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულს ან დანაშაულის რომელიმე სტადიას, თვალყურს ადევნებს ოპერაციას. როგორც წესი, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ქმედებებით და საშუალებებით გათვალისწინებული რომელიმეს შემსრულებელი პირები დანაშაულის დამფინანსებლებს შესაძლოა არც იცნობდნენ და ორგანიზებული ჯგუფის საფარქვეშ მოქმედებდნენ.⁴⁵¹

ადამიანით მოვაჭრეთა კატეგორიას ზოგჯერ მიეკუთვნებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც კორუფციული დაინტერესებით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობენ უკანონო სამგზავრო დოკუმენტების დამზადების, მსხვერპლთა საზღვარზე გადაყვანაში და სხვა მსგავს ქმედებებში მონაწილეობით. ამ დროს, ისევე როგორც სხვა მნიშვნელოვან დანაშაულთა გამოძიებისას, რომლებიც მაღალჩინოსანთა მიერაა ჩადენილი, აუცილებელია შემდეგი გარემოებების დადგენა: რამდენიმე პირის და საერთო მიზნის არსებობა; დანაშაულებრივი ორგანიზაციის საერთო დანაშაულებრივი გეგმის არსებობა; ბრალდებულ პირთა მონაწილეობა და მათ მიერ კონკრეტული ქმედებების შესრულება გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში; ბრალდებულ პირთა დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობის განზრახვა და მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა დანაშაულებრივი ორგანიზაციის გეგმით გათვალისწინებულობა.⁴⁵²

ინტერესმოკლებული არ იქნება სახელისუფლო თანამდებობის პირთა მონაწილეობის განხილვა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), როგორც ორგანიზებული დანაშაულის განხორციელებაში გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ობიექტურ (*actus reus*)⁴⁵³ და სუბიექტურ (*mens rea*) ელემენტებთან⁴⁵⁴ მიმართებაში. გაერთიანებული ორგანიზებული დანაშაულის ობიექტური ელემენტები

⁴⁵¹ იხ.: სქოლიო 158, გვ. 95-97.

⁴⁵² იხ.: დვალდიე, ი. (2012) *გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია (Joint Criminal Enterprise) საერთაშორისო სისხლის სამართალში*, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, ავტ. კრებული, გვ. 215-216.

⁴⁵³ იხ.: იქვე, გვ. 206.

⁴⁵⁴ იხ.: იქვე, გვ. 206.

თეორიაში შემდეგნაირადაა განმარტებული: 1) პირთა სიმრავლე, რომლის დროსაც სავალდებულო არ არის მათი ორგანიზებულობა სამხედრო, პოლიტიკური ან ადმინისტრაციული სტრუქტურების ფორმით; 2) ერთიანი გეგმის ან მიზნის არსებობა, რომელიც გათვლილია დანაშაულის ჩასადენად. აუცილებელი არ არის ამგვარი გეგმა წინასწარ იყოს შეთანხმებული. შესაძლებელია პრაქტიკულად გაუთვალისწინებლადაც განხორციელდეს ან გამომდინარეობდეს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხასიათიდან; 3) ბრალად წარდგენილ საერთო გეგმაში მონაწილეობა. თანამონაწილეობისათვის სავალდებულო არ არის ჩადენილი იქნას ისეთი სპეციფიკური დანაშაულები, როგორცაა მკვლელობა, განადგურება, წამება და სხვა, რომელთა ჩადენაც უზრუნველყოფს დანაშაულებრივი გეგმის განხორციელებას. ამ შემთხვევაში საკმარისია გეგმის მიზნის განხორციელებაში დახმარება.⁴⁵⁵

რაც შეეხება სუბიექტურ ელემენტებს, იგი იყოფა გეგმის საერთო მონახაზისათვის დამოკიდებულების მიხედვით, რომელიც შემდეგ კატეგორიებად შეიძლება იქნას დაყოფილი: „პირველ კატეგორიასთან მიმართებით განზრახვის არსებობაა საჭირო არსებული დანაშაულის ჩასადენად. მეორე კატეგორიის მიმართ, სასტიკი მოპყრობის ცოდნა, რაც ნიშნავს რომ ამგვარი მოპყრობა გაგრძელდება სამომავლოდაც. მესამე კატეგორიის მიმართ, დანაშაულში ან სამომავლოდ განსახორციელებელ დანაშაულში აქტიური მონაწილეობის განზრახვაა საჭირო ანდა ჯგუფის მიზნის განხორციელების მიმართ განზრახვის არსებობა და გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის ხელშეწყობა ან ჯგუფის მიერ ჩადენილ რაიმე დანაშაულის განსახორციელებელ მოვლენებში წვლილის შეტანა. დასასრულ, პასუხისმგებლობა დადგება აგრეთვე იმ დანაშაულებისთვისაც, რომლებიც საერთო გეგმით არ იყო გათვალისწინებული, თუმცა: 1) შესაძლებელი იყო იმის წინასწარ განჭვრეტა რომ ჯგუფის რომელიმე წევრი ამ დანაშაულს ჩაიდენდა და 2) ბრალდებული მისი ჩადენის რისკს ნებაყოფლობით უშვებდა“⁴⁵⁶.

ზემოთ ჩამოთვლილ პირთა გარდა, ადამიანით მოვაჭრედ შეიძლება ჩაითვალოს ის პირები, ე.წ. ინფორმატორები, რომლებიც აგროვებენ ინფორმაციას სასაზღვრო კონტროლზე, საიმპიგრაციო და სატრანზიტო პროცედურებსა და სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებებზე, ასევე გიდები და ეკიპაჟის წევრები, რომლებიც პასუხს აგებენ მსხვერპლის ერთი სატრანზიტო პუნქტიდან მეორეში გადაყვანაზე ან მსხვერპლს ეხმარებიან დანიშნულების ქვეყანაში შესვლაში ასევე, დამხმარე პერსონალი, რომელიც ხშირ შემთხვევაში შეიძლება იყოს სატრანზიტო პუნქტებში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც უზრუნველყოფს მსხვერპლთა განთავსებას ან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის განხორციელებაში სხვა სახის დახმარებას.⁴⁵⁷

⁴⁵⁵ იხ.: სქოლიო 452, გვ. 205-206.

⁴⁵⁶ იხ.: იქვე, გვ.206.

⁴⁵⁷ იხ.: იქვე

ადამიანით მოვაჭრედ ასევე შეიძლება ჩაითვალოს ის პირები, რომელთა მეშვეობითაც ხდება დანაშაულის ჩადენით მიღებული თანხების გათეთრება, რასაც ისინი ახერხებენ მთელი რიგი ოპერაციების ჩატარებით დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული ფულის წარმოშობის კვალის გასაქრობად და ამ ფულის კანონიერ ბიზნესში დასაბანდებლად.⁴⁵⁸

რაც შეეხება ადამიანით მოვაჭრის პროფილირებას ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას რომ საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურათა წარმომადგენლების შეფასებით⁴⁵⁹ და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით, ადამიანით მოვაჭრეთა უმრავლესობა პატარა დაჯგუფებების სახით მოქმედებს და ხშირად რამდენიმე ისეთ ფუნქციას თავადვე ითავსებს, როგორცაა გადამბირებლის მიერ მსხვერპლის თავად გადაყვანა საზოგადოებრივი თუ კერძო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებით, ხოლო დანიშნულების ქვეყანაში ან ადგილზე მისი გადაყვანის შემდეგ, ექსპლუატატორისათვის მისი გადაცემა.

ამრიგად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), როგორც ორგანიზებული დანაშაულის გამოძიებისათვის და დამნაშავეთა დასჯისათვის აუცილებელია ეფექტური სისტემის არსებობა და თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებს შორის. ამისათვის კი „მონაწილე სახელმწიფოებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან, თავიანთი შიდა სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემების შესაბამისად, რათა აამაღლონ სამართალდამცავი საქმიანობის ეფექტიანობა⁴⁶⁰“, რათა მოახდინონ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირების პირადობის, ადგილსამყოფელის და საქმიანობის, ასევე მასთან დაკავშირებულ სხვა პირთა ადგილსამყოფელის დადგენა, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების და ქონების გამოვლენა და სხვა.⁴⁶¹ გარდა ამისა, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ „მათი კომპეტენტური ორგანოების, დაწესებულებების და სამსახურების ეფექტურ კოორდინაციას⁴⁶²“.

ამრიგად, ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, წინამდებარე თავში განხილული იქნა სამართალდამცავი ორგანოების სტრატეგია, გამოძიების მეთოდები და დანაშაულის მტკიცებულებები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ, ასევე, ადამიანით მოვაჭრის პროფილი და მისი დასჯისათვის აუცილებელი ღონისძიებები.

⁴⁵⁸ იხ.: იქვე

⁴⁵⁹ იხ.: იქვე

⁴⁶⁰ იხ.: სქოლიო 2, 27-ე მუხლი.

⁴⁶¹ იხ.: იქვე, 27(1) მუხლი.

⁴⁶² იხ.: იქვე

თავი მეექვსე: ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და რეფერირების სისტემა

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის⁴⁶³ თანახმად, სახელმწიფოებმა ისე უნდა მოაწიონ თავიანთი საკანონმდებლო სისტემა და აღსრულების მექანიზმები, რომ უზრუნველყოფილი იქნას ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის აღკვეთა და მის წინააღმდეგ ბრძოლა⁴⁶⁴ და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, მათი უფლებების სრული პატივისცემა⁴⁶⁵. შესაბამისად, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ღონისძიებების განხორციელებისას, ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა. ევროპის საბჭოს კონვენციის⁴⁶⁶ მიხედვით სახელმწიფოთა მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს „ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დაცვა, მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვისა და დახმარების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნა, რომელშიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გენდერული თანასწორობა და ასევე, ეფექტური გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის უზრუნველყოფა“⁴⁶⁷.

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის თავისებურებიდან გამომდინარე, აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლის განმარტებაც გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობით „მსხვერპლი“ და „დაზარალებული“ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ქმედებაში მოქცეული პირის განსხვავებულ სამართლებრივ სტატუსს გამოხატავს. მსხვერპლის განსაზღვრება გამოხატავს ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას მას შემდეგ, როცა მის მიმართ განხორციელდა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულით გათვალისწინებული ქმედებები.⁴⁶⁸ ევროპის საბჭოს კონვენციის მიხედვით, მსხვერპლია „ნებისმიერი პირი, რომელიც წარმოადგენს ადამიანთ ვაჭრობის ობიექტს [კონვენციის] მუხლის განსაზღვრების შესაბამისად“⁴⁶⁹, რაც გულისხმობს ნებისმიერ ადამიანს, რომელიც დაექვემდებარა კონვენციის მე-4 მუხლის (ა) პუნქტით

⁴⁶³ იხ.: სქოლიო 3.

⁴⁶⁴ იხ.: იქვე, მე-2(ა) მუხლი.

⁴⁶⁵ იხ.: იქვე, მე-2(ბ) მუხლი.

⁴⁶⁶ იხ.: სქოლიო 4.

⁴⁶⁷ იხ.: იქვე, 1(ბ) მუხლი.

⁴⁶⁸ იხ.: ხუციშვილი, ქ. (2010) ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და დახმარება საქართველოში ევროპის საბჭოს კონვენციის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მექანიზმები, სტატიათა კრებული, რედ.

კეორკელია, გვ. 235.

⁴⁶⁹ იხ.: სქოლიო 4, მე-4(ე) მუხლი.

დადგენილი ელემენტების (იგულისხმება მიზანი, ქმედება და საშუალება) ერთობლიობას.⁴⁷⁰

აღნიშნული დებულება პირდაპირ ვერ იქნება გაზიარებული სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დროს, ამიტომ საჭიროა პირს კანონმდებლობით დადგენილი პროცესუალური ნორმების შესაბამისად მიენიჭოს სტატუსი სისხლის სამართლის პროცესში. აქედან გამომდინარე, კონვენციის განმარტებით „მსხვერპლი“ სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელობით „დაზარალებულ“ პირად ვერ იქნება აღქმული.

აღამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისათვის სახელმწიფოთა მიერ რეფერალური მექანიზმებით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას აუცილებელია იმ თავისებურებათა გათვალისწინება, რომელიც თითოეული მსხვერპლის შემთხვევას ახლავს და რაც შეიძლება განპირობებული იყოს მსხვერპლის ასაკით, სქესით, კულტურული გარემოს თავისებურებებით, ასევე ექსპლუატაციის ფორმით, ხანგრძლივობით თუ პირობებით და სხვა.⁴⁷¹

აღამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიებისას, საკმაოდ პრობლემატურია მსხვერპლთა გამოვლენა, მით უმეტეს ისეთ შემთხვევებში, როცა მსხვერპლი თავად ვერ ახდენს თავისი თავის მსხვერპლად იდენტიფიცირებას. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოთა მიერ კანონმდებლობისა და მსხვერპლთა დაცვის სისტემის მოწყობას ზემოაღნიშნული საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ევროპის საბჭოს კონვენციის⁴⁷² მიხედვით, სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მსხვერპლთა, მათ შორის ბავშვების იდენტიფიცირებისა და მათთვის დახმარების სფეროში სხვადასხვა ორგანოების თანამშრომლობა⁴⁷³, რისთვისაც კონვენციის თითოეული მონაწილე სახელმწიფო, „სხვა მონაწილეებთან და შესაბამის დამხმარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, მიიღებს ისეთ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლთა იდენტიფიცირების მიზნით⁴⁷⁴“, ხოლო თუ არსებობს სათანადო საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ესა თუ ის პირი წარმოადგენს აღამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, თითოეულ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მსხვერპლთა ყოფნა თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე დანაშაულის მსხვერპლის იდენტიფიცირების პროცესის დასრულებამდე.

⁴⁷⁰ იხ.: განმარტებითი მოხსენება, ევროპის საბჭოს კონვენცია აღამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ, მე-100 პუნქტი.

⁴⁷¹ იხ.: სქოლიო 468, გვ. 77.

⁴⁷² იხ.: იქვე

⁴⁷³ იხ.: სქოლიო 4, მე-10(1) მუხლი.

⁴⁷⁴ იხ.: იქვე

ინტერესმოკლებული არ იქნება მსხვერპლთა დაცვის სისტემათა განხილვა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობებით გათვალისწინებულ რამდენიმე ასპექტში.

6.1. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის იდენტიფიცირება

ევროპის საბჭოს კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოთა მიერ მიღებული უნდა იქნეს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, „რომლებიც აუცილებელია მსხვერპლთა იდენტიფიცირების მიზნით“⁴⁷⁵. არასრულწლოვანი მსხვერპლის იდენტიფიცირებისას, თუ აღმოჩნდება რომ არასრულწლოვანი უპატრონო ბავშვია, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კანონიერი მეურვის დანიშვნა, ორგანიზაცია ან ორგანო რომელიც ბავშვის ინტერესებს დაიცავს⁴⁷⁶, მიიღოს აუცილებელი ზომები მისი ვინაობისა და მოქალაქეობის დასადგენად⁴⁷⁷, ყველა ზომა გამოიყენოს მისი ოჯახის ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე⁴⁷⁸. ასევე, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ „ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვის ვინაობა ან მისი ვინაობის დასადგენად საჭირო მონაცემები არ გახდეს საჯაროდ ცნობილი საინფორმაციო საშუალებებით ან ნებისმიერი სხვა გზით, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა ეს საჭიროა ბავშვის ოჯახის წევრების დადგენის ან მისი კეთილდღეობის ან/და დაცვის სხვაგვარად უზრუნველყოფის მიზნით“⁴⁷⁹.

საქართველოს კანონმდებლობით, სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლას და მსხვერპლთა დაცვას ახორციელებენ, შეიმუშავენ შესაბამის მითითებებს და უზრუნველყოფენ სპეციალური მოსამზადებელი კურსების ჩატარებას „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების, მათდამი მოპყრობისა და ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეთა წარმოების თავისებურებებზე“⁴⁸⁰.

საქართველოს კანონმდებლობით დარეგულირებულია მსხვერპლთა იდენტიფიცირების პროცედურები, რაც საშუალებას აძლევს პირს ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით და სახელმწიფო საშუალებას აძლევს პირს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარებისათვის მიიღოს „მსხვერპლის“ ან „დაზარალებულის“ სტატუსი. ამ სტატუსთა მიღების პროცედურები განსხვავებულია, მაგრამ მთავარი ის არის რომ

⁴⁷⁵ იხ.: სქოლიო 4, მე-10 მუხლი.

⁴⁷⁶ იხ.: იქვე, მე-10(4)(ა) მუხლი.

⁴⁷⁷ იხ.: იქვე, (ბ) პუნქტი.

⁴⁷⁸ იხ.: იქვე, (ც) პუნქტი.

⁴⁷⁹ იხ.: იქვე, მე-11(2) მუხლი.

⁴⁸⁰ იხ.: სქოლიო 223, მე-7(3) მუხლი.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირს, თუ მის მიმართ განხორციელებული იყო ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულით გათვალისწინებული ქმედებები, უფლება აქვს მიიღოს აღნიშნულ სტატუსთან ერთ-ერთი და სრულად ისარგებლოს სახელმწიფოს მიერ შესაბამისი სტატუსის მქონე პირისათვის დადგენილი უფლებებით.

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის სამოქმედო ინსტრუქცია (*შემდგომში - ეროვნული რეგულაციური მექანიზმი*) და მსხვერპლის იდენტიფიცირების პროცედურები შემუშავდა და მიღებული იქნა 2006 წელს. აღნიშნულ დოკუმენტში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმები წარმოდგენილია სამი ძირითადი მიმართულებით: ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის იდენტიფიკაცია და სტატუსის მინიჭება; მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვა და დახმარება; მსხვერპლთა და დაზარალებულთა რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია. მოგვიანებით, 2007 წელს, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტები და წესი დადგინდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, რომელიც მოგვიანებით, 2014 წელს, მცირეოდენი ცვლილებებით დამტკიცებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ.⁴⁸¹

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პირველ კონტაქტს იმ პირთან, რომლის შესახებაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი რომ ის შესაძლებელია იყოს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, ამყარებენ სასაზღვრო პოლიციის ან პოლიციის თანამშრომლები, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის, არასამთავრობო ორგანიზაციების ან სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლები.⁴⁸² თუ ასეთი კონტაქტისას წარმოშვა ეჭვი, რომ პირი ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლია, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არსებობს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის იდენტიფიცირების და მსხვერპლის სტატუსის მინიჭების ორი ძირითადი მექანიზმი: პირველი, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევისას გამოძიების დაწყება და დაზარალებულის სტატუსის მინიჭება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, და მეორე, პირისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭება სპეციალურად შექმნილი – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან⁴⁸³ არსებული მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ.⁴⁸⁴

სავარაუდო მსხვერპლთან პირველი შეხებისათანავე აუცილებელია მას განემარტოს, რომ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობისათვის, თუ მისი მართლსაწინააღმდეგო

⁴⁸¹ იხ.: საქართველოს მთავრობის დადგენილება ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესის დამტკიცების შესახებ, N.284. (10.04.2014).

⁴⁸² იხ.: იქვე

⁴⁸³ იხ.: სქოლიო 223, მე-11 მუხლი.

⁴⁸⁴ იხ.: სქოლიო 481.

ქმედებაში მონაწილეობა გამოწვეულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო და საქართველოს კანონმდებლობით⁴⁸⁵ დადგენილი წესის შესაბამისად, მას უფლება აქვს მიმართოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებას (თავშესაფარს)⁴⁸⁶. ამასთანავე, სავარაუდო მსხვერპლის მიერ მისთვის სტატუსის მინიჭების სურვილის გამოხატვის შემთხვევაში, იდენტიფიცირების პროცედურების შესასრულებლად უნდა ჩაერთოს სპეციალური მობილური ჯგუფი,⁴⁸⁷ რომელიც შედგება 2 პირის – ფსიქოლოგისა და იურისტისაგან. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს ორი მობილური ჯგუფი, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში⁴⁸⁸. როგორც აღინიშნა, სავარაუდო მსხვერპლის გამოვლენის ან თვითიდენტიფიცირებისას ხდება მობილური ჯგუფის გამოძახება, რომლის მიერაც სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრებისას ხდება სპეციალური, კონფიდენციალური საიდენტიფიკაციო კითხვარის შევსება.⁴⁸⁹ მობილური ჯგუფის წევრები ვალდებული არიან „საიდუმლოდ შეინახონ სავარაუდო მსხვერპლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები მისთვის სტატუსის მინიჭების ან სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის მიუხედავად. მონაცემების გამჟღავნება იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით⁴⁹⁰“.

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხს წყვეტს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფი (*შემდგომში- მუდმივმოქმედი ჯგუფი*)⁴⁹¹, რომელიც პირისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ზემოაღნიშნული, სპეციალური მობილური ჯგუფის მიერ წარდგენილი საიდენტიფიკაციო კითხვარის ინფორმაციაზე დაყრდნობით.⁴⁹² სავარაუდო მსხვერპლის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია მუდმივმოქმედი ჯგუფის შეხვედრა და გასაუბრება მსხვერპლთან.⁴⁹³ ასევე აღსანიშნავია ის გარემოება რომ მუდმივმოქმედი ჯგუფი მსხვერპლისთვის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილებას იღებს სავარაუდო მსხვერპლის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებისათვის ან რეფერირების სისტემით გათვალისწინებული ნებისმიერი სტრუქტურისათვის მიმართვიდან 48 საათის განმავლობაში.⁴⁹⁴

⁴⁸⁵ იხ.: სქოლიო 223, მე-14(2) მუხლი.

⁴⁸⁶ იხ.: სქოლიო 281, 1(3) მუხლი.

⁴⁸⁷ იხ.: იქვე, მე-4 პუნქტი.

⁴⁸⁸ იხ.: იქვე, მე-2(4) მუხლი.

⁴⁸⁹ იხ.: იქვე

⁴⁹⁰ იხ.: იქვე, მე-6 პუნქტი.

⁴⁹¹ იხ.: იქვე, მე-2(1) მუხლი,

ასევე, სქოლიო 223, მე-11(1) მუხლი.

⁴⁹² იხ.: იქვე, მე-2 პუნქტი.

⁴⁹³ იხ.: იქვე, მე-3(2) მუხლი.

⁴⁹⁴ იხ.: იქვე, მე-3(1) პუნქტი.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება - „პირი რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ და 143² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად, სამართალდამცავი ორგანოს მიერ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილ იქნა დაზარალებულად, გათანაბრებულია მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მინიჭებულ მსხვერპლის სტატუსის მქონესთან და შეუძლია ისარგებლოს თავშესაფრით, კომპენსაციით, სამედიცინო დახმარების და სხვა პროგრამებით, რის შესახებაც მას ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დაზარალებულად ცნობისას⁴⁹⁵“. ეს ჩანაწერი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით რომ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლისათვის იდენტიფიცირებისა და სტატუსის მინიჭებისათვის ალტერნატიული მექანიზმის არსებობას, რომელიც საშუალებას აძლევს სავარაუდო მსხვერპლს, მიიღოს სახელმწიფოსაგან დაცვა იმ შემთხვევაშიც კი, როცა მას არ შეუძლია სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვა ადამიანთ მოვაჭრის მიერ მისი დაშინტაჟების, დაშინების ან სხვა გარემოებათა გამო.

რაც შეეხება უცხო სახელმწიფოს ან უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსის მქონე პირს, საქართველოში მსხვერპლის სტატუსის მინიჭებისათვის მანაც ასევე უნდა მიმართოს მუდმივმოქმედ ჯგუფს, ვინაიდან უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ან უცხოეთის არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსის გამო მას საქართველოში სტატუსი ავტომატურად არ ენიჭება⁴⁹⁶. ასეთ პირს მსხვერპლის სტატუსი მიენიჭება, თუ „მის მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედება დაიწყო, გაგრძელდა ან დამთავრდა საქართველოში⁴⁹⁷“. მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ ამ შემთხვევების განხილვა ხდება სხვა შემთხვევების თანაბრად, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.⁴⁹⁸

მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრები, ისევე როგორც სპეციალური მობილური ჯგუფის წევრები, ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ სავარაუდო მსხვერპლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები მისთვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების ან სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის მიუხედავად.

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირება ძირითადად ეყრდნობა სამ კომპონენტს: ქმედება, საშუალება და მიზანი.

მსხვერპლის იდენტიფიცირებისას ქმედებასთან მიმართებაში საჭიროა დადგინდეს შემდეგი გარემოებები: ჰქონდა თუ არა ადგილი მსხვერპლის ყიდვას ან გაყიდვას; გადაბირებას; იყო თუ არა იგი

⁴⁹⁵ იხ.: იქვე, მე-3(5) პუნქტი.

⁴⁹⁶ იხ.: იქვე

⁴⁹⁷ იხ.: იქვე

⁴⁹⁸ იხ.: იქვე

უკანონო გარიგების საგანი; მოხდა თუ არა მისი გადაყვანა, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება. ინდიკატორები, რომლებიც ეხმარება მსხვერპლის იდენტიფიცირების პროცესს ქმედების ნაწილში შემდეგია: მსხვერპლს ეტყობა სტრესის ნიშნები, რაზეც მიუთითებს პირის მერყეობა, მისი დაურწმუნებლობა საკუთარ პასუხებში, ვერ ასახელებს მგზავრობის მიზეზს, არ აქვს დოკუმენტაცია და დოკუმენტები მის გამცილებელ პირს აქვს. გარდა ამისა, იძლევა არადამაჯერებელ პასუხს და იშველიებს არადამაჯერებელ არგუმენტაციას, არ შეუძლია დეტალებზე საუბარი; მისი ჩაცმულობა და გარეგნული იერი მგზავრობის მარშრუტთან შეუსაბამოდ გამოიყურება; დამოკიდებულია გამცილებელ პირზე; მის მიერ მითითებული მგზავრობის მიზანი არ შეესაბამება მგზავრობის მარშრუტს ან ღარიბულად ჩაცმული პიროვნება პირველი კლასით მგზავრობს, ან მგზავრობს სრულიად განსხვავებული პროფილის პირთა ჯგუფთან ერთად.⁴⁹⁹

მსხვერპლის იდენტიფიცირებისას, საშუალებების ნაწილში, საჭიროა შემდეგი გარემოებების დადგენა: გამოყენებული იყო თუ არა მის მიმართ მუქარა, მოტაცება, შანტაჟი, თაღლითობა ან მოტყუება; ადგილი ჰქონდა თუ არა მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებას, ან საზღაურის მიცემას ან მიღებას იმ პირის თანხმობის მისაღებად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. საშუალებათა ინდიკატორებად ძირითადად შემდეგი ფაქტორები ითვლება: მსხვერპლის სახის გამომეტყველება; მგზავრობის მიმართ მისი ინფორმირებულობა; სხეულზე ძალადობის კვალის არსებობა; მსხვერპლის დაშინებული მეტყველება და ფაქტების არასწორი ინტერპრეტაციით გადმოცემა ან გაზვიადება; მისი ასაკის და სხვა პირობების შეუსაბამობა მის მიერ აღწერილ გარემოებებთან.⁵⁰⁰

რაც შეეხება მსხვერპლის იდენტიფიცირებას დანაშაულის მიზანთან მიმართებაში, დადგენილი უნდა იქნას შემდეგი გარემოებები: რა მიზნით მოხდა მსხვერპლის ექსპლუატაცია, ადგილი ჰქონდა თუ არა მის ჩაბმას იძულებით შრომასა თუ მომსახურებაში, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ მოქმედებაში, ჰქონდა თუ არა ადგილი მის პროსტიტუციაში ჩაბმას, მონობის მსგავს ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენებას, სექსუალურ ექსპლუატაციას ან სხვა სახის მომსახურების იძულებით გაწევას ან მის გამოყენებას ადამიანის ორგანოს, ორგანოთა ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის მიზნით, ან მოხდა თუ არა მისი სხვაგვარად გამოყენება, ჰქონდა თუ არა ადგილი მისი იძულებითი ან სავალდებულო შრომის გამოყენებას, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევებს წარმოადგენს და ევროპული კონვენციის თანახმად, არავის შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი ან სავალდებულო შრომის განხორციელება.⁵⁰¹

ექსპლუატირებული მსხვერპლის ძირითად ინდიკატორებად ითვლება მისი დაშინებული მზერა, სხეულზე ან სახეზე ძალადობის

⁴⁹⁹ იხ.: სქოლიო 23, გვ. 35-37.

⁵⁰⁰ იხ.: იქვე

⁵⁰¹ იხ.: იქვე

კვალის არსებობა, აქვს სხეულის დაზიანებები ან ემჩნევა მძიმე სამუშაოს შესრულების ნიშნები, არ აქვს დოკუმენტები ან მორჩილად ასრულებს თანმხლების მითითებებს.

ამრიგად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლის იდენტიფიცირება და მისთვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებისას იდენტიფიცირების პროცედურები უნდა წარმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისად და დადგენილი წესების დაცვით; სპეციალური მობილური ჯგუფის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მუდმივმოქმედი ჯგუფი 48 საათის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას პირისათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭებაზე ან სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ; მსხვერპლს რომელსაც უცხო ქვეყანაში მიენიჭა მსხვერპლის სტატუსი, საქართველოში სტატუსის მინიჭებისათვის შეუძლია მიმართოს მუდმივმოქმედ ჯგუფს; სპეციალური მობილური ჯგუფისა და მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრები ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

6.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და დახმარება

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის⁵⁰² მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის პირადი ცხოვრება და ვინაობა, უზრუნველყოს ტრეფიკინგის მსხვერპლის ინფორმირება სასამართლო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების შესახებ⁵⁰³; ხელი შეუწყოს ტრეფიკინგის მსხვერპლის „ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ გამოჯანმრთელებას“⁵⁰⁴ და უზრუნველყოს შესაბამისი საცხოვრებელი პირობებით⁵⁰⁵, ინფორმაციის მიწოდებით მათთვის გასაგებ ენაზე⁵⁰⁶, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და მატერიალური დახმარებით⁵⁰⁷ და დასაქმებით, განათლებით და შესაბამისი სწავლებით⁵⁰⁸. აღნიშნული ზომების განხორციელებისას სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის ასაკი, სქესი, სპეციალური მოთხოვნილებები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არასრულწლოვნის სპეციალურ მოთხოვნილებებს, შესაბამისი საცხოვრებელი პირობების, განათლების და ზრუნვის ჩათვლით.⁵⁰⁹ სახელმწიფომ უნდა დაიცვას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის ფიზიკური უსაფრთხოება ქვეყნის ტერიტორიაზე მისი

⁵⁰² იხ.: სქოლიო 3.

⁵⁰³ იხ.: იქვე, მე-6(2)(ა) მუხლი.

⁵⁰⁴ იხ.: იქვე, მე-3 მუხლი.

⁵⁰⁵ იხ.: იქვე, მე-3(ა) მუხლი.

⁵⁰⁶ იხ.: იქვე, მე-3(ბ) მუხლი.

⁵⁰⁷ იხ.: იქვე, მე-3(ვ) მუხლი.

⁵⁰⁸ იხ.: იქვე, მე-3 (დ)მუხლი.

⁵⁰⁹ იხ.: იქვე, მე-4 პუნქტი.

ყოფნის განმავლობაში⁵¹⁰ და შექმნას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისთვის კომპენსაციის მიღების მექანიზმები⁵¹¹.

სახელმწიფოს მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დახმარების გაწევის ვალდებულებას ითვალისწინებს ასევე ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ⁵¹², რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ ტრეფიკინგის მსხვერპლის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური რეაბილიტაცია უნდა უზრუნველყოს მსხვერპლისათვის შემდეგი პირობების შექმნით: მსხვერპლისათვის სათანადო და უსაფრთხო საცხოვრებელი ბინით, ფსიქოლოგიური და მატერიალური დახმარებით⁵¹³; პირველადი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობით⁵¹⁴; საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მომსახურებით⁵¹⁵ და მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდებით მათი იურიდიული უფლებებისა და მომსახურების შესახებ⁵¹⁶; სამართალწარმოების შესაბამის ეტაპებზე მათი ინტერესების წარმოდგენის უზრუნველყოფით⁵¹⁷; არასრულწლოვანი მსხვერპლის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით⁵¹⁸. ამასთანავე, სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნას მსხვერპლის სამედიცინო ან სხვა სახის დახმარება, თუ იგი საჭიროებს ასეთ დახმარებას და არ აქვს ამისათვის საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა⁵¹⁹.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც კონვენციით არის გათვალისწინებული, სახელმწიფოებს ავალდებს ქვეყანაში ისეთი კანონმდებლობის თუ სხვა მექანიზმების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ მსხვერპლის დაცვასა და დახმარებას, მიუხედავად იმისა, იგი ითანამშრომლებს თუ არა სამართალდამცავ ორგანოებთან.⁵²⁰ აღნიშნული დებულება ძალიან მნიშვნელოვანია და ბევრი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობითაც გათვალისწინებული იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა როგორც იდენტიფიცირების ეტაპზე, ასევე მსხვერპლთა დაცვის მექანიზმების შექმნის პროცესში.

რაც შეეხება მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებას, საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილია მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა⁵²¹, მსხვერპლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან

⁵¹⁰ იხ.: იქვე, მე-5 პუნქტი.

⁵¹¹ იხ.: იქვე, მე-6 პუნქტი.

⁵¹² იხ.: სქოლიო 4.

⁵¹³ იხ.: სქოლიო 3, მე-12(1)(ა) მუხლი.

⁵¹⁴ იხ.: იქვე, მე-12(1)(ა) მუხლი.

⁵¹⁵ იხ.: იქვე, მე-12(1)(ბ) მუხლი.

⁵¹⁶ იხ.: იქვე, მე-12(1)(დ) მუხლი.

⁵¹⁷ იხ.: იქვე, მე-12(1)(ე) მუხლი.

⁵¹⁸ იხ.: იქვე, მე-12(1)(ფ) მუხლი.

⁵¹⁹ იხ.: იქვე, მე-3 პუნქტი.

⁵²⁰ იხ.: იქვე, მე-6 პუნქტი.

⁵²¹ იხ.: სქოლიო 223, მე-14 მუხლი..

გათავისუფლება⁵²², ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის უფლება⁵²³, მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მექანიზმები⁵²⁴.

როგორც აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის მართლმსაჯულების ხელისაწვდომობა⁵²⁵. გარდა ამისა, სამართალდამცავმა ორგანოებმა მსხვერპლს, დაზარალებულს უნდა განუმარტონ მისი უფლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრისათვის) მიმართვის შესახებ⁵²⁶. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იქნას მსხვერპლისთვის ინფორმაციის მიწოდება მისი უფლება-მოვალეობების და სამართლებრივი სტატუსის შესახებ, გამოძიებასა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ მისთვის გასაგებ ენაზე⁵²⁷. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დაზარალებულს, მოწმეს ან იმ პირს, რომელიც მათ დახმარებას უწევს, აქვთ პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნის უფლება და მათ მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას დაცვის სპეციალური ღონისძიებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად⁵²⁸. დაცვის სპეციალური ღონისძიებები ითვალისწინებს მოსამართლის მიერ, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე შემდეგი ღონისძიებების გამოყენებას: დაზარალებულის ან მოწმის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა შემცველი ინფორმაციის შეცვლა ან ამოღება საჯარო რეესტრის ან სხვა სახის საჯარო ხასიათის ჩანაწერებიდან⁵²⁹; დაზარალებულის ან მოწმის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი დოკუმენტების გასაიდუმლოება⁵³⁰; ფსევდონიმის მინიჭება⁵³¹; მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიება⁵³². მოსამართლის გარდა, პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენებაზე დადგენილების გამოტანის უფლებამოსილება აქვს პროკურორს, რომელსაც შეუძლია მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიების; საცხოვრებელი ადგილის დროებითი ან მუდმივი შეცვლისა და გარეგნობის შეცვლის ღონისძიებათა გამოყენება⁵³³. მოსამართლის გადაწყვეტილება დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, ხელმისაწვდომია მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის, შუამდგომლობის განხილვაში მონაწილე პირებისა და იმ

⁵²² იხ.: იქვე, მე-15 მუხლი.

⁵²³ იხ.: იქვე, მე-16 მუხლი.

⁵²⁴ იხ.: იქვე, მე-18 მუხლი.

⁵²⁵ იხ.: იქვე, მე-14(1) მუხლი..

⁵²⁶ იხ.: იქვე, მე-14(2) მუხლი.

⁵²⁷ იხ.: იქვე, მე-14(3) მუხლი.

⁵²⁸ იხ.: იქვე

⁵²⁹ იხ.: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ.109პრიმა მუხლი.

⁵³⁰ იხ.: იქვე

⁵³¹ იხ.: იქვე

⁵³² იხ.: იქვე

⁵³³ იხ.: იქვე

უფლებამოსილ თანამდებობის პირთათვის, რომლებმაც ეს გადაწყვეტილება უნდა აღასრულონ.⁵³⁴

რაც შეეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის და დაზარალებულის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, აქ საყურადღებოა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხის განხილვა დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ურთიერთკავშირის გათვალისწინებით. დანაშაულის ცნება სამი ელემენტისაგან შედგება - დანაშაულის შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. შესაბამისად, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების დასადგენად ერთი მხრივ გამოკვლეული უნდა იქნას მართლწინააღმდეგობისა და ბრალის კავშირურთიერთობა, მეორე მხრივ, მართლწინააღმდეგობისა და დანაშაულის შემადგენლობის დამოკიდებულება.⁵³⁵

კანონმდებლობის შესაბამისად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლები თავისუფლებიან საზღვრის უკანონო გადაკვეთის, ყალბი პასპორტის გამოყენებისგან, ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა „მართლწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობისათვის, თუ იგი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად, დაზარალებულად ყოფნის გამო“⁵³⁶, მათ მიერ ჩადენილ ისეთ სამართალდარღვევებზეც, რომლებიც მათ მიერ ჩადენილი იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სტატუსის მოპოვებამდე⁵³⁷.

როგორც პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტით⁵³⁸ იქნა განსაზღვრული, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს უფლება აქვს მოითხოვოს მის მიმართ ჩადენილი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება და კომპენსაცია. საქართველოს კანონმდებლობით, ასევე უზრუნველყოფილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიყენებული მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ხოლო თუ შეუძლებელია მსხვერპლს, დაზარალებულს აუნაზღაურდეს ზემოაღნიშნული ზიანი, ასეთ შემთხვევაში მსხვერპლს, დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით⁵³⁹. კომპენსაცია გაიცემა მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მსხვერპლისთვის სტატუსის მინიჭებისას, ხოლო თუ პირს სამართალდამცავი ორგანოების მიერ მინიჭებული აქვს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დაზარალებულის სტატუსი, ასეთ შემთხვევაში კომპენსაცია გაიცემა ორი გარემოებიდან ერთ-ერთის არსებობისას: ა) საქმეზე გამოძიების

⁵³⁴ იხ. იქვე, 109 5პრიმა მუხლი.

⁵³⁵ იხ.: გამყრელიძე, ო. (2013) *სისხლის სამართლის პრობლემები*, ტ. II, გვ. 89.

⁵³⁶ იხ.: იქვე, მე-15 მუხლი.

⁵³⁷ იხ.: იქვე

⁵³⁸ იხ.: სქოლიო 3.

⁵³⁹ იხ.: სქოლიო 223, მე-16 მუხლი.

დაწეებიდან 3 თვის განმავლობაში ვერ მოხერხდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ჩამდენი პირის იდენტიფიცირება ან მისი დაკავება; ბ) საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის დადგომიდან 6 თვის განმავლობაში ვერ მოხერხდა ადამიანით მოვაჭრის მიერ დაზარალებულისათვის მატერიალური, მორალური ან ფიზიკური ზიანის ანაზღაურება. ამასთანავე, კომპენსაციის თანხის გაცემა დაკავშირებული არ არის მსხვერპლის, დაზარალებულის სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაზე. ხოლო თუ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლმა, დაზარალებულმა მიიღო კომპენსაცია, ხოლო სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელი გახდა ადამიანებით მოვაჭრის დაკავება, მიღებული კომპენსაცია მსხვერპლს, დაზარალებულს არ აბრკოლებს მოითხოვოს მატერიალური, მორალური და ქონებრივი ზიანის ანაზღაურება.⁵⁴⁰

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ფონდები. საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდგომში - სახელმწიფო ფონდი)⁵⁴¹. სახელმწიფო ფონდის მიერ ხორციელდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარება და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა; თავშესაფრით, იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სხვა სახით მომსახურების უზრუნველყოფა; რეაბილიტაციის, ოჯახსა და საზოგადოებაში მსხვერპლთა სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობა; მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემა.⁵⁴² სახელმწიფო ფონდის მეშვეობით ხდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების დაფინანსება; მსხვერპლთა იდენტიფიცირების ფინანსური უზრუნველყოფა; მსხვერპლთა, დაზარალებულთა პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების სრული დაცვა და მათი პერსონალური მონაცემების დაცულობის უზრუნველყოფა.⁵⁴³

⁵⁴⁰ იხ.: სამოქმედო ინსტრუქცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარებად, ეროვნული რეფერალური მექანიზმი და მსხვერპლის საიდენტიფიკაციო პროცედურები (დამტკიცებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინაღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ 22.12. 2006 წელს).

⁵⁴¹ იხ.: სქოლიო 223, მე-7 მუხლი.

⁵⁴² იხ.: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების დამტკიცების თაობაზე, მე-2 მუხლი.

⁵⁴³ იხ.: იქვე, მე-3 მუხლი.

მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შემდეგ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს ან დაზარალებულს ეძლევა უფლება ისარგებლოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლით (თავშესაფრით), რომელიც შექმნილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის, დახმარების, რეაბილიტაციის და ოჯახსა და საზოგადოებაში სრული ინტეგრაციის მიზნით. თავშესაფარში მსხვერპლის ან დაზარალებულის განთავსება ხდება მხოლოდ მისი თანხმობის საფუძველზე, მხოლოდ სტატუსის მინიჭების შემთხვევაში და თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება დამოკიდებული არ არის მის მზადყოფნაზე ითანამშრომლოს სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებთან შესაბამის დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის განხორციელებაში.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, მისი თანხმობით, უფასო სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას, აგრეთვე, უფასო იურიდიულ კონსულტაციასა და დახმარებას უწევენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) უზრუნველყოფს შემდეგი სახის მომსახურებას: ღირსეული არსებობისათვის შესაფერისი, უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილი; საკვები და ტანსაცმელი; სამედიცინო დახმარება; ფსიქოლოგიური კონსულტაცია; იურიდიული დახმარება და სასამართლო წარმომადგენლობა (მათ შორის სარჩელის შეტანასთან, სისხლის სამართლის პროცესზე მოწმედ გამოსვლასთან, თავშესაფრის (*asylum*) მოთხოვნასთან, დოკუმენტების აღდგენა-მოწესრიგებასთან დაკავშირებით წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების მიზნით); ინფორმაციის მიწოდება მსხვერპლისათვის გასაგებ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მომსახურება; მონაწილეობა რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მოკლე და გრძელვადიან პროგრამებში (პროფესიული სწავლებისა და საგანმანათლებლო პროგრამები, ხელშეწყობა დასაქმებაში).⁵⁴⁴ თავშესაფარში მსხვერპლის და დაზარალებულის (მათ შორის არასრულწლოვნის) მოთავსება ხდება მისი ასაკის, სქესისა და სპეციალური მოთხოვნების გათვალისწინებით, ინდივიდუალური კონტრაქტის საფუძველზე.

კანონმდებლობით დადგენილია თავშესაფარში ყოფნის ხანგრძლივობა და არსებული რეგულაციების თანახმად განისაზღვრება 3 თვით, შესაბამისი კონტრაქტის საფუძველზე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ვადის გაგრძელება. თავშესაფრის დატოვება შესაძლებელია ნებაყოფლობით, მსხვერპლის მიერ, ვადის ამოწურვამდე.⁵⁴⁵ თავშესაფრის ფუნქციონირება უნდა ხორციელდებოდეს თავშესაფრის შინაგანაწესის საფუძველზე და შინაგანაწესი უნდა შეესაბამებოდეს თავშესაფრის დადგენილ სტანდარტებს, ხოლო მისი შესრულება სავალდებულო უნდა იყოს პერსონალისა და მსხვერპლთათვის. თავშესაფრის ადმინისტრაცია

⁵⁴⁴ *იხ.*: იქვე, მე-13 მუხლი.

⁵⁴⁵ *იხ.*: იქვე

ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს მსხვერპლის, დაზარალებულის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. მონაცემების გამჟღავნება იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.⁵⁴⁶

ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ბევრ მექანიზმს აყალიბებს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ შეზღუდვებსაც ითვალისწინებს, როგორცაა ჯანდაცვის პროგრამების ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მხოლოდ კანონიერად მყოფი პირებისათვის⁵⁴⁷. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიუხედავად მისი საემიგრაციო სტატუსისა, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს და დაზარალებულს უფლება აქვს ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი სამედიცინო დახმარების პროგრამებით. ამ პროგრამების შესახებ მსხვერპლს და დაზარალებულს ინფორმაციას აწვდის მუდმივმოქმედი ჯგუფი ან სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები, შესაბამისად, მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისას.

ევროპის საბჭოს კონვენციის⁵⁴⁸, ასევე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს და დაზარალებულს ასევე აქვს უფლება ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებით. ამ დახმარების შესახებ და დახმარების აღმომჩენი ორგანიზაციების შესახებ მსხვერპლს და დაზარალებულს ინფორმაციას აწვდის მუდმივმოქმედი ჯგუფი ან სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები, შესაბამისად, მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისას.

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მათი რეინტეგრაცია და რეაბილიტაცია. მსხვერპლთა და დაზარალებულთა რეინტეგრაციისა და რეაბილიტაციის მიზნით მსხვერპლთა და დაზარალებულთა მომსახურების დაწესებულებების მიერ უნდა შეიქმნას მსხვერპლთა და დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და ოჯახისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროგრამები, რაც ითვალისწინებს პროფესიული სწავლებისა და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში მსხვერპლთა და დაზარალებულთა ჩართვას მათი თანხმობით. გარდა ამისა, მსხვერპლთა და დაზარალებულთა პირადი უსაფრთხოების დაცვა და სამედიცინო – ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს მსხვერპლთა და დაზარალებულთა თანხმობითა და მათი პერსონალური მონაცემების სრული გასაიდუმლოებით.

სახელმწიფო სტრუქტურების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთათვისაც ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და

⁵⁴⁶ იხ.: იქვე, მე-13 (4) მუხლი.

⁵⁴⁷ იხ.: სქოლიო 4, მე-12(3) მუხლი.

⁵⁴⁸ იხ.: იქვე, მე-15 მუხლი.

დაზარალებულთა საიდენტიფიკაციო მონაცემები ცნობილი გახდა მათი სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელებისას, ვალდებულნი არიან საიდუმლოდ შეინახონ მსხვერპლისა და დაზარალებულის საიდენტიფიკაციო ყველა მონაცემი.

6.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა რეპარტაცია და დაბრუნება

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისი მოქალაქის ან მუდმივად მცხოვრები პირის უკან დაბრუნებას დაუბრკოლებლად, მისი პირადი უსაფრთხოების სათანადო დაცვის გათვალისწინებით, თუ ეს პირი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი გახდა მიმღებ სახელმწიფოში.⁵⁴⁹ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის დაბრუნებისას იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც ან მუდმივად მცხოვრები პირიცაა, გათვალისწინებული უნდა იქნას პირადი უსაფრთხოება, ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე დაწყებული სამართალწარმოება, ხოლო პირის დაბრუნება სასურველია მოხდეს ნებაყოფლობით.⁵⁵⁰ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას სათანადო დოკუმენტის არქონის შემთხვევაში, წარმოშობის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ტრეფიკინგის მსხვერპლის სამგზავრო დოკუმენტის ან სხვა ისეთი ნებართვის გადაცემა მიმღები სახელმწიფოსთვის, რაც აუცილებელია ტრეფიკინგის მსხვერპლის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისათვის.⁵⁵¹

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის რეპარტაცია და დაბრუნება ასევე გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს კონვენციითაც, რომლის მიხედვითაც იმ სახელმწიფომ რომლის მოქალაქეც ან მუდმივად მცხოვრები პირიცაა მსხვერპლი, მიმღები სახელმწიფოს მიერ მსხვერპლის უკან დაბრუნების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს მისი დაბრუნება „უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე“, პირის უფლებებისა და ღირსების დაცვით.⁵⁵² მსხვერპლის დაბრუნებისას სახელმწიფოს მიერ ასევე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი უსაფრთხოება და სასამართლო პროცესზე იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ იგი მსხვერპლია.⁵⁵³

ევროპის საბჭოს კონვენცია ასევე ითვალისწინებს ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც შესაბამისი დოკუმენტაციის არქონე ტრეფიკინგის მსხვერპლის წარმოშობის სახელმწიფო უზრუნველყოფს მიმღები

⁵⁴⁹ იხ.: სქოლიო 2, მე-8(1) მუხლი.

⁵⁵⁰ იხ.: იქვე, მე-8(2) მუხლი.

⁵⁵¹ იხ.: იქვე, მე-8(4) მუხლი.

⁵⁵² იხ.: სქოლიო 4, მე-16(1) მუხლი.

⁵⁵³ იხ.: იქვე, მე-16(2) მუხლი.

სახელმწიფოსათვის სამგზავრო დოკუმენტაციის ან ნებართვის გადაცემას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება მსხვერპლის მის ტერიტორიაზე შესვლა.⁵⁵⁴ სახელმწიფოს მიერ, ასევე უზრუნველყოფილ უნდა იქნას ისეთი საკანონმდებლო ზომების და აღსრულების მექანიზმების შექმნა, რომელიც აუცილებელია რეპატრაციის პროგრამების განხორციელებისათვის და უნდა უზრუნველყოს ამ პროგრამებში ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა. ამგვარი პროგრამების არსებობა ხელს უწყობს რევიქტიმიზაციის თავიდან აცილებას.⁵⁵⁵ არასრულწლოვნის შემთხვევაში, აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებული უნდა იქნას მისი განათლების უფლებითა და შესაბამისი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის საკითხი, ასევე არასრულწლოვნის მზრუნველობით დაწესებულებაში ან ოჯახში დაბინავების საკითხი.⁵⁵⁶ არ უნდა მოხდეს არასრულწლოვნის დაბრუნება სხვა სახელმწიფოში, თუ არსებობს რისკის შემცველი ინფორმაცია და მონაცემები ამ სახელმწიფოში არასრულწლოვნის დაბრუნებისას და დაცული ვერ იქნება მისი უსაფრთხოება.⁵⁵⁷

ასევე, ევროპის საბჭოს კონვენცია სახელმწიფოს ავალებს შესაბამისი ზომების გატარებას, რომლითაც მსხვერპლი უზრუნველყოფილ იქნება იმ სტრუქტურების შესახებ ინფორმაციით, რომელსაც მისთვის დახმარების გაწევა შეუძლია იმ ქვეყანაში, სადაც მოხდა მისი დაბრუნება ან რეპარტაცია. მაგალითად, სამართალდამცავი სტრუქტურები ან არასამთავრობო ორგანიზაციები, იურიდიული ფირმები, სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოები და სხვა.⁵⁵⁸

საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, გათვალისწინებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ უცხოელთა სტატუსი და მათი რეპარტაცია⁵⁵⁹, ასევე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირთა უსაფრთხო რეპატრაციის⁵⁶⁰ საკითხები.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უცხოელს რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი ან დაზარალებულია, შეუძლია ისარგებლოს იგივე უფლებებით, რომლითაც სარგებლობს აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლი ან დაზარალებული პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირია.⁵⁶¹ გარდა ამისა, დაუშვებელია უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის გაძევება საქართველოს ტერიტორიიდან,

⁵⁵⁴ იხ.: იქვე, მე-16(4) მუხლი.

⁵⁵⁵ იხ.: იქვე

⁵⁵⁶ იხ.: იქვე, მე-16 (5) მუხლი.

⁵⁵⁷ იხ.: იქვე, მე-16 (6) მუხლი.

⁵⁵⁸ იხ.: იქვე

⁵⁵⁹ იხ.: სქოლიო 223, მე-20 მუხლი.

⁵⁶⁰ იხ.: იქვე, მე-21 მუხლი.

⁵⁶¹ იხ.: იქვე, მე-20 (1) მუხლი.

თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი ან დაზარალებულია.⁵⁶² ამ პირებზე, მოსაფიქრებელი ვადის პერიოდში, ბინადრობის მოწმობას გასცემს იუსტიციის სამინისტრო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) ან პროცესის მწარმოებელი ორგანიზაციის შუამდგომლობის შესაბამისად. აღნიშნულ შუამდგომლობაში მითითებული პირის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია საიდუმლო ინფორმაციაა და მისი გამჟღავნება იწვევს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხისმგებლობას. აღნიშნული ინფორმაციის გასაიდუმლოება ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად და გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.⁵⁶³

უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ ეჭვის არსებობისას, რომ იგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი ან დაზარალებულია, აღნიშნული მსხვერპლის მიერ სისხლის სამართლის პროცესში სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილის შემთხვევაში, მას პროცესის დასრულებამდე ეძლევა ბინადრობის მოწმობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.⁵⁶⁴ მას ამ პერიოდში ასევე ეძლევა მუშაობის უფლება საქართველოს ტერიტორიაზე და მის მიმართ ვრცელდება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი შრომითი უფლებები და გარანტიები.⁵⁶⁵ სისხლის სამართლის პროცესის დასრულების შემდეგ, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა ზომა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მქონე უცხოელის წარმოშობის სახელმწიფოში უსაფრთხო დაბრუნებისათვის.⁵⁶⁶ თუმცა, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე მსხვერპლი ან დაზარალებული გამოხატავს საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენის სურვილს, მას შეიძლება მიეცეს თავშესაფარი, თუ არსებობს ვარაუდი იმისა, რომ თავის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.⁵⁶⁷

რაც შეეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირთა უსაფრთხო რეპატრაციას, საკონსულო დაწესებულებები და დიპლომატიური წარმომადგენლობები, იუსტიციის სამინისტროსთან და სხვა შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფენ მსხვერპლზე ან დაზარალებულზე პირადობის ან საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობების გაცემას და მათ უსაფრთხო დაბრუნებას საქართველოში.⁵⁶⁸

⁵⁶² იხ.: იქვე, მე-20 (3) მუხლი.

⁵⁶³ იხ.: იქვე, მე-20 (4) მუხლი.

⁵⁶⁴ იხ.: იქვე, მე-20 (5) მუხლი.

⁵⁶⁵ იხ.: იქვე

⁵⁶⁶ იხ.: იქვე

⁵⁶⁷ იხ.: იქვე, მე-20 (7) მუხლი.

⁵⁶⁸ იხ.: იქვე, მე-21 (1) მუხლი.

ამრიგად, წინამდებარე თავში განხილულ იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და რეფერირების სისტემა, მსხვერპლთა იდენტიფიცირების მექანიზმები და პროცედურები, მსხვერპლთა დახმარების სისტემა და მსხვერპლთა რეპატრიაციისა და დაბრუნების საკითხები.

დასკვნა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევაა და ადამიანის სხვა უფლებებთან ერთად ირღვევა ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი უფლება – მონობისგან თავისუფლების უფლება, ხოლო ადამიანის უფლებათა დარღვევა შესაძლოა მოხდეს როგორც ერთ სახელმწიფოში, ისე სხვა სახელმწიფოებშიც, საერთაშორისო საზღვრის კვეთისას. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ აღინიშნა, რომ „ადამიანით ვაჭრობა არის ადამიანის უფლებების დარღვევა და დანაშაული, მიმართული ადამიანის ღირსების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ... ტრეფიკინგი პირდაპირ უთხრის ძირს იმ ღირებულებებს, რომლებსაც ევროპის საბჭო ეფუძნება“.⁵⁶⁹

საერთაშორისო და ქართული კანონმდებლობის დახვეწისათვის მნიშვნელოვანი იყო არსებულ კანონმდებლობათა ანალიზი. მნიშვნელოვანი იყო ასევე იმ პრაქტიკის მიმოხილვა, რომელიც არსებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე ჩამოყალიბდა, მსხვერპლთა იდენტიფიცირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. როგორც წინამდებარე თავებში მოცემული მსჯელობა ცხადყოფს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სისხლის სამართლებრივი დევნის მექანიზმები, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების, დაცვისა და დახმარების პროცედურები. არსებული მექანიზმების განვითარებისა და დახვეწის მიზანი გვაძლევს შემდეგი რეკომენდაციების საფუძველს:

ა) საქართველოში ჩამოყალიბებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ არსებული საკანონმდებლო ბაზისა და პრაქტიკის ანალიზის მიხედვით, შემუშავებულია მსხვერპლთა იდენტიფიცირების პროცედურები, რაც კონვენციის მიზნების შესაბამისად, უზრუნველყოფს მონურ მდგომარეობაში აღმოჩენილ ადამიანთა დახმარებას, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს აღიდგინონ შელახული ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობა, საკუთარი თავის რწმენა და თავისუფლება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით

⁵⁶⁹ იხ.: სქოლიო 468, გვ. 253.

პროგრესული იყო პირის იდენტიფიცირების ალტერნატიული მექანიზმის შემოღება და რეფერირების სისტემის შექმნა.

თუმცა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის იდენტიფიცირების არსებული პროცედურებით⁵⁷⁰ გათვალისწინებული არ არის მსხვერპლისთვის მინიჭებული სტატუსის ხანგრძლივობა. პირს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭება შესაძლებლობას აძლევს ისარგებლოს დაცვის და დახმარების პროგრამების ერთობლიობით, რაც მიზნად ისახავს მის რეაბილიტაციას, შედეგად გამოიღებს მის ოჯახში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრუნებას და ხელს შეუწყობს მის ინტეგრირებას (ჯანმრთელობის აღდგენა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შექმნა, ისეთი განათლების ან უნარ-ჩვევების მიცემა, რაც ხელს შეუწყობს მის დასაქმებას). აღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის შესაბამისი ინდივიდუალური გეგმა თითოეული მსხვერპლის ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა იქნას შემუშავებული, რაც, ბუნებრივია, გულისხმობს დროის სხვადასხვა მონაკვეთს, თუმცა მსხვერპლის სტატუსის ქონა მთელი ცხოვრების ხანგრძლივობით, გაუმართლებელია. შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობით განსასაზღვრია პირისათვის მსხვერპლის სტატუსის ქონის ხანგრძლივობა. არსებული პრაქტიკის და სარეაბილიტაციო სტრატეგიის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნებოდა მსხვერპლის სტატუსის ხანგრძლივობა განისაზღვროს არაუმეტეს ხუთი წლის ვადით, ვინაიდან სწორად დაგეგმილი სარეაბილიტაციო სტრატეგიის პირობებში, ამ პერიოდში შესაძლებელია პირის რესოციალიზაცია საზოგადოებასა და ოჯახში.

ბ) წინა მსჯელობის ნაწილია ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის შეწყვეტის წესი, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნას მსხვერპლის ცხოვრებაში მომხდარი პოზიტიური ან ნეგატიური ცვლილებებით. პოზიტიური ცვლილებები შესაძლოა გამოხატული იყოს მსხვერპლის ცხოვრების წესისა თუ პირობების, საცხოვრებელი ქვეყნის თუ ქალაქის შეცვლით, მსხვერპლის დაოჯახებით ან რაიმე სხვა პატივსადები მიზეზით, რის გამოც მსხვერპლი თავად ამბობს უარს სტატუსზე და ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად გაწვეტოს კავშირი წარსულთან. რაც შეეხება ნეგატიურ პირობებს, შესაძლოა გამოხატული იყოს მსხვერპლის მიერ განხრახი დანაშაულის ჩადენაში, რომელიც გამოწვეული არ არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გარემოებათა გამო. ამგვარ ვითარებაში გაუმართლებელია პირი სარგებლობდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსით და დაცვისა და დახმარების პროგრამებით.

ც) წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი იქნა არასრულწლოვნით ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირება საერთაშორისო ინსტრუმენტებით და საქართველოს კანონმდებლობით. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, განსაკუთრებით არასრულწლოვანი,

⁵⁷⁰ იხ.: იქვე

განიცდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმებს და ამ ფორმების დამანგრეველ გავლენას. აღნიშნული ფორმების გამოყენება რისკის წინაშე აყენებს არასრულწლოვნის სიცოცხლეს, თავისუფლებას, უსაფრთხოებასა და თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გარდა, ტრეფიკინგის მსხვერპლი არასრულწლოვანი ხშირად განიცდის სექსუალურ ძალადობას, ამის გამო მას ეუფლება სირცხვილის გრძნობა და საკუთარი თავის დადანაშაულების განცდა რომ რადგან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი აღმოჩნდა, მოხდება მისი, როგორც მეძავის სტიგმატიზაცია. ხშირად არასრულწლოვანი, ისევე როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლი ზოგადად, განიხილება როგორც დამნაშავე ან თანამონაწილე და არა როგორც დაზარალებული. მას დაცვის და დახმარების ნაცვლად ბრალს სდებენ დანაშაულის ჩადენაში, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მის მდგომარეობას. აღნიშნულ მომენტს მეორადი ვიქტიმიზაციის სახელითაც იხსენიებენ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტრეფიკინგის მსხვერპლი არასრულწლოვნის დაცვისა და დახმარების მიზნით, საქართველოს კანონში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ⁵⁷¹, 2012 წელს შევიდა სპეციალური თავი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ არასრულწლოვანთა სოციალური და სამართლებრივი დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია“⁵⁷². დადებითად ვაფასებთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული თავით განისაზღვრა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი არასრულწლოვნის სოციალური, სამართლებრივი დაცვის და დახმარების საფუძვლები და მექანიზმები. გარდა ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ამ ცვლილების კიდევ ერთი პროგრესული ნაბიჯი, რაც ეხება უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი არასრულწლოვნის სტატუსის მინიჭებისა და რეპატრიაციის პროცედურებს. აღნიშნული ცვლილება, ისევე როგორც საქართველოს მიერ განხორციელებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მთელი პოლიტიკა უდავოდ პოზიტიურად უნდა შეფასდეს. ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს შემდეგი რეკომენდაციის საფუძველს: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მასშტაბების ზრდის ტენდენციის და ადამიანით მოვაჭრეთა მიერ თავიანთი მეთოდების გამოყენების ხშირი ცვლიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისაგან დაცვის მექანიზმების გაძლიერებას. განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველ ოჯახებს მიუთვნიებულ არასრულწლოვანთა დაცვას ტრეფიკინგისაგან, ვინაიდან სწორედ დაბალი სოციალური ფონი განსაკუთრებით ზრდის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად გახდომის რისკს.

დ) წინა თავებში დეტალურად განვიხილეთ არასრულწლოვნით ვაჭრობის ისეთი ფორმით გავრცელება როგორცაა, არასრულწლოვანთა გამოყენება მათხოვრობაში. ქუჩის ბავშვების პრობლემა ფართოდაა გავრცელებული მთელს მსოფლიოში, მათ შორის არანაკლებ

⁵⁷¹ *იხ.: სქოლიო 223.*
⁵⁷² *იხ.: ცვლილება, 10.04.2012. N 6012*

მტკივნეულად – საქართველოშიც. მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული ქუჩის ბავშვების პრობლემის არასრულწლოვნით ვაჭრობის დანაშაულის რანგში განხილვა, თუმცა არც იმის გამორიცხვა შეიძლება რომ ამ კატეგორიას მიკუთვნებული არასრულწლოვანი ტრეფიკინგის რისკ ჯგუფს მიეკუთვნება. შესაბამისად, აუცილებელია ქვეყანამ შეიმუშაოს ქუჩის ბავშვებთან მიმართებით ხედვა და კონცეფცია, სადაც ჩამოყალიბებული იქნება მათი დანაშაულისგან, მათ შორის ტრეფიკინგისგან დაცვის და დახმარების მექანიზმები. უკანასკნელი წლების განმავლობაში აღნიშნული საკითხი ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხად განიხილება, თუმცა საჭირო და დროული იქნება ნათელი პოლიტიკის ჩამოყალიბება ამ პრობლემასთან მიმართებაში.

ე) ქვეყანაში შექმნილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმები, არსებობს სპეციალური თავშესაფრები და მსხვერპლთა დაცვის სხვა ზომები. არასრულწლოვანი ტრეფიკინგის მსხვერპლის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია სოციალური მომსახურების შესაბამისი სამსახურების გაძლიერება და მათი აქტიურად ჩართვა არასრულწლოვანთა დაცვის და დახმარების ზომების განხორციელების პროცედურებში. სახელმწიფო ინსტიტუციებში განთავსებისას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი არასრულწლოვნის რეაბილიტაციაში ერთ-ერთი წამყვანი როლი სწორედ სოციალურ სამსახურს ენიჭება და შესაბამისად, უადრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურათა კოორდინირებული მოქმედება. ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ უფრო გააძლიერებს არასრულწლოვნით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას და ხელს შეუწყობს ეფექტური ღონისძიებების განხორციელებას ამ მიმართებით.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში განხილული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის, როგორც ადამიანის უფლებათა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები, კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრ ვალდებულებათა შესაბამისად, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას იძლევა უზრუნველყოფილი იქნეს ამ უმძიმესი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების სრულყოფა.

ბიბლიოგრაფია:

ქართულენოვანი ლიტერატურა:

ადამიანით ვაჭრობის შემთხვევების გამოძიება (სახელმძღვანელო სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისათვის (2008), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

ბაძალუა, მ. (2011) ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგი (საქართველოს მაგალითზე), დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი.

ბიჭია, მ. (2012) პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“.

გამყრელიძე, ო. (2013) სისხლის სამართლის პრობლემები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“.

დადუნაშვილი, ი. (2008) საქართველო, როგორც შრომითი მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის წყარო ქვეყანა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი“, ტ.2 No.3, გვ. 152.

დვალიძე, ი. (2012) გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია (*Joint Criminal Enterprise*) საერთაშორისო სისხლის სამართალში, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, ავტ. კრებული, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, შპს „ფავორიტი პრინტი“.

თოდუა, ნ. (2012) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სისხლისსამართლებრივი დახასიათება და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, ავტ. კრებული, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, შპს „ფავორიტი პრინტი“.

თანამშრომლობა ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში (2008), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

იძულებითი შრომა და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)- სასამართლო გადაწყვეტილებების პრევენციების კრებული (2010), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრებული, პირველი გამოცემა.

კორკელია, კ., მჭედლიძე, ნ. და სხვ., (2005) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ).

ლობჯანიძე, გ. (2005) ტრეფიკინგის კრიმინოლოგიური ასპექტები, ტრანსნაციონალური დანაშაული და კორუფცია საქართველოში, ავტ. კრებული. ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრის საქართველოს ოფისი, შპს „პოლიგრაფი“.

მამულაშვილი, გ. (2012) არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) სამართლებრივ-სოციოლოგიური ანალიზი; ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, ავტ.კრებული, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, შპს „ფავორიტი პრინტი“.

მერაბიშვილი, დ. (2009) ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში, ჟურნალი „კომერსანტი“ 1(6).

მესხი, მ., ბაქაური, ნ., (2006) ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)- თეთრი მონობა ოცდამეერთე საუკუნეში – ტრეფიკინგთან ბრძოლის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია.

მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ. (2014) სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული, გამომცემლობა „მერიდიანი“.

ნაჭყებია, გ. (2012) ორგანიზებული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგადთეორიული საფუძვლები, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, ავტ. კრებული, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, შპს „ფავორიტი პრინტი“.

სასწავლო მასალა მოსამართლეთა და პროკურორთათვის ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ (2006), ICMPD.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (2005), (რედ. გ. ტყეშელიაძე) წიგნი I, გამომცემლობა „მერიდიანი“.

სულაქველიძე, დ. (2012) ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, ავტ. კრებული, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, შპს „ფავორიტი პრინტი“.

შაგულაშვილი, თ. (2008) ტრეფიკინგი ანუ მონობა ოცდამეერთე საუკუნეში, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი“, ტ.2 No.3,

ხუციშვილი, ქ. (2011) გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციები, გამომცემლობა „უნივერსალი“.

ხუციშვილი, ქ. (2010) ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და დახმარება საქართველოში ევროპის საბჭოს კონვენციის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მექანიზმები, სტატიათა კრებული, რედ. კ.კორკელია, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ).

ღლონტი, გ. (2008) ადამიანის ტრეფიკინგის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი კანონმდებლობის მიხედვით, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი კრიმინოლოგი 2(3).

ჯიშკარიანი, ბ. (2013) ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“.

ინგლისურენოვანი ლიტერატურა:

Arbor, A. (2011) *Successes and Failures in International Human Trafficking Law*, Michigan Journal of International Law. Vol 33. N 37.

Bales, K. (1999) *Disposable People: New Slavery in the Global Economy*, Michigan Journal of International Law, Vol.7.

Barnhart, M. (2009) *Sex and Slavery: An Analysis of the Three Models of State Human Trafficking Legislation*, William and Mary Journal of Women and the Law, Vol.16.

Birkenthal, S. (2011) *Human Trafficking: A Human Rights Abuse with Global Dimenstios*, Interdisciplinary Journal of Human Rights Law, Vol.6.

Bruch, E.M. (2009) *Models Wanted: The Search for Effective Response to Human Trafficking*, 40 Stanford Journal of International Law, t. 1, N.41.

- Crile, S. (2012) *A Minor Conflict: Why The Objectives of Federal Sex Trafficking Legislation Preempt the Enforcement of State Prostitution Law Against Minors*, American University Law Review, Vol. 61.
- Chaudory. S, (2011) *Trafficking in Europe: An Analysis of the Effectiveness of European Law*, Michigan Journal of International Law, Vol. 33.
- Day,K. (2012)*Addressing the Sex Trafficking Crisis: How Prostitution Laws Can Help*,Creighton International and Comparative Law Journal, N.2.
- Draft Code of Crimes against the Peace and Security of Making with commentaries, UNDocA/51/10 at 48.
- Dunne, J.I. (2011-2012) *Hijacked:How Efforts to Redefine the International Definition of Human Trafficking Threaten its Purpose*, Williamete Law Review,N 48.
- Duong, K.A. (2012) *Human Trafficking in a Globalized World: Gender Aspects of the Issue and Anti-Trafficking Politics*, Journal of Research in Gender Studies, Vol 2, N.1.
- Gallagher, A.T (2010) *The International Law of Human Trafficking*, Cambridge University Press, www.cambridge.org/9781107624559
- Greenhill, K. (2007) *Human Trafficking and Migrant Smuggling - New Perspectives on an old Problem*, Harvard University Press, www.upress.umn.edu
- Herburn.S, Simon.R,J. (2013) *Human Trafficking Around the World*, Columbia University Press.
- Hua, J. (2011) *Trafficking Women's Human Rights*, University of Minnesota press.
- Jordan, A.(2002), *The Annotated Gude to the Complete UN Trafficking Protocol , Initiavice againt Trafficking in Persons*, International Human Rights Law Group.
- Mandel, J. (2012) *Out of Sight, out of Mind: The Lax and Underutilized Prosecution of Sex Trafficking in the United Kingdom and Israel*, Tulane Journal of International and Comparative Law, N21.
- Mattar.M. (2011) *Interpreting Judicial Interpretations of the Criminal Statutes of the Trafficking Victims Protection Act: Ten Years Later*, Journal of Gender, Social Policy and the Law,
- Serave, m., Milojevic, S. (2010)*Auduting the Australian Response to Trafficking*, Current Issues in Criminal Justice, N 22.
- Surteest,R. (2006) *Child Trafficking in Southeastern Europe:Different Forms of Trafficking and Alternative Interventions*, 14 Tuline Journal of International and Comparative Law., Vol.14.

Stoyanova, V. (2011) *Complementary Protection for Victims of Human Trafficking under the European Convention on Human Rights*, Goettingen Journal of International Law, Vol.3. N.2.

Todres, J. (2011-2012) *Widening our lens: Incorporating Essential Perspectives in the Fight Against Human Trafficking*, Michigan Journal of International Law, Vol.53.

Plant, R. (2004) *Human Trafficking: The Forced Labour Dimension*, Michigan Journal of International Law, Vol.3.

Vanderberg, M. E. & Levy, A. F. (2012) *Human Trafficking and Diplomatic Immunity: Impunity no more?*, Intercultural Human Rights Law Review, Vol 77.

Waltmen, M. (2011) *Prohibiting Sex Purchasing and Ending Trafficking: The Swedish Prostitution Law*, Michigan Journal of International Law, Vol 33.

Weitzer, R. (2012) *Sex Trafficking and the Sex Industry: The Need for Evidence-Based Theory and Legislation*, Journal of Criminal Law and Criminology, N101.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ც.ნ. დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (*C.N. v. the United Kingdom*) (13.02.2013) *European courts of Human Rights*, n. 4239/08.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ც.ნ. და ვ. საფრანგეთის წინააღმდეგ (*C.N. and V. v. France*) (11.01.2013) *European Court of Human Rights*, N. 67724/09.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ (*Rantsev v. CYPRUS and RUSSIA*) (10.05.2010) *European Courts of Human Rights*, N. 25965/04.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე სილიდინი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Silidan v. France*) (26.10.2005) *European Court of Human Rights*, N. 77316/01.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: ივერსენი ნორვეგიის წინააღმდეგ (*Iversen v NORWAY*) (17.12.1963) *European Courts of Human Rights*, 1468/62.

საერთაშორისო კონვენციები და სხვა საერთაშორისო წყაროები:

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია,

<http://www.conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=005&CM=8&DF=24/05/2014&CL=ENG> (ნანახია: 22.11. 2013).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ,

[*Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, Supplementing the United Nations Convention Against Transnational Organized Crime, UN Convention \(Palermo Protocol\)*](#) (ნანახია: 12/03/2014).

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ დამატებითი ოქმი

http://www.childtrafficking.org/eng/conventions_end_guidelines/ctoc_palermo_protocol.pdf

[*Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, Supplementing the United Nations Convention Against Transnational Organized Crime, UN Convention \(Palermo Protocol\)*](#) (ნანახია: 12/03/2014).

ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ (ევროპის საბჭოს ხელშეკრულებების სერია, (CETS No.197)

www.coe.int/trafficking (ნანახია: 7.11.2013).

ქალის ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია www.un.org/DPCSD/daw/cedaw.htm (ნანახია: 7.11.2012).

თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულება, 18.05.1904,

<http://www1.umn.edu/humanrights/instate/whiteslavetraffic1904.html> (ნანახია: 24.10.2013).

თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის კონვენცია, 4.05.1910,
<http://www1.umn.edu/humanrights/instree/whiteslavetraffic1910.html> (ნანახია:
24.10.2013)

ქალებით და ბავშვებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ
საერთაშორისო კონვენცია, 30.09.1921,
<http://www.paclii.org/pits/en/treatydatabase/1921/2.html>(ნანახია: 24.10.2010).

საერთაშორისო კონვენცია მონობის შესახებ, 25.09.1926,
<http://www.ohchr.org/english/law/slavery.html> (ნანახია: 24.10.2013).

მონობის, მონური შრომისა და მონობის მსგავსი მდგომარეობის
გაუქმების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1956 წლის 7
სექტემბრის დამატებითი კონვენცია.
<http://www.ohchr.org/english/law/slavery.html>(ნანახია: 24.10.2013).

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია იძულებითი შრომის
აკრძალვის შესახებ №29, <http://www.umn.edu/humanrights/instree/ilo29.html>
(ნანახია: 24.01.2014).

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება
http://www.icc-cpr.int/library/about/officialjournal/Rome_Statute_English.pdf
(ნანახია: 13.02.2014).

საერთაშორისო კონვენცია სრულწლოვან ქალთა ვაჭრობის წინააღმდეგ,
11.10.1933, <http://www.oas.org/Juridico/MLA/entreaties-inter-woman/1933.pdf>
(ნანახია: 24.10.2010).

გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ,
http://childtrafficking.org/eng/conventions_and_guidelines/convention_on_the_rights_of_the_child.pdf

ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის,
ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ,2000,
http://www.childtrafficking.org/eng/conventions_end_guidelines/ctoc_palermo_protocol.pdf(ნანახია: 10.12.2013)

ევროკავშირის პარლამენტის და საბჭოს დირექტივა ტრეფიკინგთან
ბრძოლის შესახებ,ABI.L 101, 15.04.2011. ამ დირექტივამ ჩაანაცვლა მანამდე
მოქმედი ჩარხო გადაწყვეტილება (ABI. L 203, 1.08.2002, 1).

ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის
დირექტივა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა

პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ABI.L 335, 17.12.2011,1;
მოცემული დირექტივა ჩაენაცვლა მანამდე მოქმედ ხარხო
გადაწყვეტილებას (ABI.L 13,20.1.2044,44).

ევროკავშირის საბჭოს ხარხო გადაწყვეტილება ტრეფიკინგთან ბრძოლის
შესახებ, 2002 წლის 19 ივლისი. (ნანახია: 27.02.2013)

<http://europa.eu.int/eur-lex/pri/en/oj/dat/2002/l-203/l-20320020801en00010004.pdf>

კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და
დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ;

http://www.childtrafficking.org/eng/conventions_end_guidelenes/ctoc_palermo_protocol.pdf(ნანახია: 10.12.2013)

*Abolition of forced labour, General Survey by the Committee of Experts on the
application of Convention and Reccomendadtions* (1979) ILC, 65th Session, Geneva.

*ILO, Report of the Committee set up examine the Article 24 representation concerning
Portugal* (1985).

UN Migrant smuggling. http://www.unodc.org/unodc/en/human-trafficking/smuggling_of_migrants.html(ნანახია 24.10.2010)

*U.S. Government, Assesment of U.S. Government activities to Combat Trafficking in
Persons,*

www.state.gov/civiliansecurityanddemocracy/traffickinginhumanpersons/reports

საქართველოს კანონმდებლობა:

საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ
ბრძოლის შესახებ (28.04.2006) N.2944.

საქართველოს კანონი ოპერატიულ – სამძებრო საქმიანობის შესახებ
(29.04.1999) N.1933.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საჯარო სამართლის
იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,
დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის
დებულების დამტკიცების თაობაზე (17.07.2006) N.437.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ (31.08.2006) N.534.

საქართველოს მთავრობის დადგენილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების დამტკიცების თაობაზე (12.02.2014) N.146.

საქართველოს მთავრობის დადგენილება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესის დამტკიცების შესახებ (10.04.2014) N.284.

სამოქმედო ინსტრუქცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დასაცავად , ეროვნული რეფერალური მექანიზმი და მსხვერპლის საიდენტიფიკაციო პროცედურები (22.12.2006).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, (2010 წ. რედაქცია) იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“.

საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ (6.06.2003) N.2355.

საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ (8.05.2007) N.4706.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2011 წლის 20 ივლისის მდგომარეობით), იურიდიული ფორმა „ბონა კაუზა“.